უზენაესი სასამართლო ტერორისტობაში ბრალდებულებს ასამართლებს A7

ბეისბოლისტ ტედ უილიამსის თავი A8

კვირის TV პროგრამა B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 10 ოქტომბერი, 2003 წელი. №268 (480)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**პარალელური ინტერვიუ**

მომავალი საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას დღეს საქართველოში ყველა შესანიშნავად აცნობიერებს. თუმცა, წინასაარჩევნო პროცესების მიმდინარეობის თაობაზე ყველას საკუთარი მოსაზრებები აქვს. "თავისუფალი არჩევნები" და ცესკო – როგორ აფასებენ ისინი წინასაარჩევნო ვითარებას.

A2

### ეკონომიკა

**გამგებელ-გუბერნატორების "გსეკ"-თან დაპირისპირება გრძელდება**

"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა" (გსეკ) და ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება. "გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი პრეზიდენტის რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთის მხარეში გელა კვარაცხელიას "არმენერგოსთან" მიმდინარე მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობაში ადანაშაულებს.

A4

### უცხოეთი

**ყაზახეთი ჩინეთამდე მილსადენის მშენებლობას აპირებს**

ეს პირველი მსხვილი მილსადენია, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნავთობს ჩინეთს მიაწვდის.

A5

### საზოგადოება

**„წყალკანალი" საკრებულოს ზურგსუკან მოქმედებს", - აცხადებენ „ლეიბორისტები"**

არჩევნების მოახლოებასთან ერთად სოციალური თემებისადმი პოლიტიკური პარტიების ინტერესი უფრო და უფრო იზრდება.
გუშინ "ლეიბორისტებმა" "თბილწყალკანალის" "ჯენერალ დეზოსთვის" მართვის უფლებით გადაცემის საკითხი ისევ წამოწიეს და, საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა აზრიც მოიშველიეს.

A6

### სამართალი

**ოთხმხრივი შეხვედრები კრიმინოგენულ სიტუაციას გალში ვერ ცვლის**

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში დაძაბულობის განმუხტვისა და უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების ღონისძიებები ჯერ ძალაშიც არ შესულა; გალის რაიონში კი კიდევ ერთი თავდასხმა განხორციელდა.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 33 |
| ბათუმი | 32 |
| სოხუმი | 33 |
| ფოთი | 33 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1025 |
| ევრო | 2.4864 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4990 |
| რუბლი | 0.0692 |

# პარლამენტის თავმჯდომარის ულტიმატუმი

გიორგი ასანიშვილი

*ნინო ბურჯანაძეს, როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა პირადად მისი და მისი მეგობრების წინააღმდეგ "სახელისუფლებო ძალების მხრიდან მომდინარე ბინძური, ალვირახსნილი, ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც ბოლო ხანს განსაკუთრებით გაძლიერდა და პიკს ამ დღეებში მიაღწია"; ამიტომ, გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ ოფიციალურად მიმართა უშიშროების მინისტრს, რომ მისი "მამხილებელი" დოკუმენტები, რომელიც ხაბურძანიას სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა გადასცა, სასწრაფოდ გამოქვეყნდეს და საჯარო განხილვის საგნად იქცეს. გარდა ამისა, ბურჯანაძე მოითხოვს (არა მარტო როგორც ოპოზიციური ბლოკის ლიდერი, არამედ როგორც პარლამენტის თავმჯდომარე), რომ უშიშროების სამინისტრომ სამი დღის ვადაში წარმოადგინოს კომპეტენტური დასკვნა იმის თაობაზე, არის თუ არა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტი ან ამ სამსახურებთან რაიმე კავშირში შემჩნეული. "არა მარტო ჩემი, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის თავმოყვარეობის საკითხია, რაც შეიძლება სწრაფად გაიგოს - არის თუ არ ქვეყნის მეორე პირი სხვა სახელმწიფოს აგენტი და, აქედან გამომდინარე, შემჩნეულია თუ არა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში", - აცხადებს ბურჯანაძე. იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების სამინისტრო დადებით ან უარყოფით დასკვნას არ წარმოადგენს, პარლამენტის თავმჯდომარე ამ უწყების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## წილი ნაყარია, ადგილები - განაწილებული

ლელა მჭედლიძე



ცესკო-ს დაძაბული სამუშაო დღეები აქვს.

*1.სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის" 2.დემოკრატიული აღორძინების კავშირი 3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" 4.ლეიბორისტული (შრომის) პარტია, 5. ბლოკი „სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა," 6.ერთიანი კომუნისტური პარტია, 7.ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები", 8.ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი", 9.პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველო", 10. არ გაცემულა, 11.არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო", 12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები," 13.ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა", 14.გაერთიანება „დედა-სამშობლო", 15.ბლოკი „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება", 16.კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია, 17.მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია, 18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია," 19. საქართველოს სახალხო კაპიტალისტური პარტია, 20.სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი, 21.პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი", 22.საქართველოს ადვოკატები.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## საარჩევნო ფინანსები და მონიტორინგი

ეროვნულ ანტიკორუფციულ საბჭოსთან არსებული, საარჩევნო კამპანიათა დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფი გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ჯგუფის წევრებს საკმაოდ ბევრი პრეტენზია აქვთ ერთმანეთისადმი – დეკლარაციების დროზე წარმოუდგენლობასთან, კომისიაში აქტიურობასთან და კონკრეტული შედეგების არქონასთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი მათიაშ იორში მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ გამართულ დახურულ შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული, უკიდურესად სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, რაც მათთან პოლიტიკური ლიდერების შეხვედრებითაც დასტურდება, დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები ამ ჯგუფის ფარგლებში ერთიანი გადაწყვეტილების მიღებას რომ ახერხებენ, უკვე მიღწევა ჰგონიათ.

მაგალითად, გუშინ მათიას იორშთან შეხვედრამდე გამართულ სხდომაზე ჯგუფი შეთანხმდა, რომ მიღებული "სიგნალების" შესახებ ინფორმაციას ცესკო-ს გადაუგზავნის და მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, თავიდან აიცილონ ისეთი დარღვევები, როგორიც არის სამუშაო კაბინეტებისა და სახელმწიფო უწყებების შენობების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიისთვის და ა.შ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რატომ ყარს ასე ვაკის პარკის მიწისქვეშა გასასვლელი?

*ჩვენი ქუჩები რომ ნაგვის ყუთებს დაემსგავსა, ეს ამას წინათ ქვეყნის პრეზიდენტმაც კი შეამჩნია თავისი ბრონირებული მანქანის შავი მინებიდან. მაგრამ, ნაგავიც არის და ნაგავიც... ვაკის პარკის წინ მდებარე მიწისქვეშა გასასვლელზე მინდა გიამბოთ - იმ გასასვლელზე, დიდი რომაა, სამი გვირაბით და შუაში მრგვალი სივრცით - საახალწლოდ მერია იქედან მახინჯ ნაძვის ხეს რომ ამოჩრის ხოლმე.*

ნინო ცინცაძე

ამ გასასვლელით, როგორც წესი, მშობლები ან ძიძები სარგებლობენ, რომლებსაც პარკში ბავშვები სუფთა ჰაერის გადასაყლაპად მიჰყავთ. ამ გასასვლელით სარგებლობენ პენსიონერებიც, რომელთათვისაც პარკში ჯდომა და 14-ლარიან პენსიაზე საუბარი ცხოვრებაზე გულის მოოხების ერთადერთი საშუალებაა. ამ გასასვლელს ეწვევიან ხოლმე ახალგაზრდა წყვილებიც, რომლებსაც პარკის მოყუჩებულ სკამებზე ურჩევნიათ განმარტოება... ეს ყველაფერი მშვენიერია. ცუდია მხოლოდ ის, რომ პარკში მისვლამდე მათ ამ გასასვლელის გავლა უწევთ.

რამდენიმე დღის წინათ მე და ჩემს შვიდი წლის შვილს იქ ჩასვლა მეორედ რომ მოგვიხდა, მან ცხვირზე ხელი აიფარა და მითხრა, – "დე, მოდი რა, სხვა ქვეყანაში გადავცხოვრდეთ!" ჰოდა, მეც, როგორც იქნა, მოქალაქეობრივმა სინდისმა შემაწუხა და გადავწყვიტე, გამომეკვლია, რატომ არის გასასვლელი ამ დღეში.

გაგრძელება A6 გვერდზე

## სააკაშვილი "კაციჭამიების, ყაჩაღებისა და ბანდიტების" წინააღმდეგ

*ეს ზღაპარი არ გეგონოთ და არც პერსონაჟები არიან ზღაპრულნი. ეს იმ სიუჟეტის ნაწილია, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" პასიურ მაყურებლად გადაქცეულ ხალხს 2 ნოემბრისთვის სთავაზობს.*

მაია მოსიაშვილი

ბოლნისის ინციდენტმა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ჭკუა ასწავლა. მიხეილ სააკაშვილი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მას შემდეგ უკვე ორჯერ იმყოფებოდა და ადგილზე არც ერთი პოლიციელი ან ხელისუფლების წარმომადგენელი არ დახვედრია, შესაბამისად მთავარი "ნაციონალის" ვოიაჟებიც, ჯერჯერობით, გართულებებისა და ხმაურის გარეშე ტარდება.

გუშინ სააკაშვილი რუსთავს თავისი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ხევიაშვილის წარსადგენად ეწვია. შეგვიანებულ სტუმარს მოთმინებით ელოდა რამდენიმე ასეული კაცი, რომელთა დიდი ნაწილი პენსიონერები იყვნენ.

- ნეტავ, ცოლიც ჩამოიყვანოს, - ნატრობდა ერთი ქალბატონი და მას სხვებიც ეთანხმებოდნენ. სააკაშვილმა მათი ეს ნატვრა ვერ შეასრულა, სამაგიეროდ ისეთები ილაპარაკა, რუსთაველებს მისი ცოლის ხიბლი აღარც გახსენებიათ.

**"ხალხო, დროა გამოვფხიზლდეთ და მივხვდეთ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ აღარ გვექნება ქვეყანა, ჩვენს შვილებს აღარ ექნებათ მომავალი. ისეთ ქვეყანაში, რომლის მმართველები იქნებიან ეს კაციჭამიები, ქვეყანაში, სადაც მამალაძეს შეუძლია იაროს და უტიფრად იძახოს, რომ ის არის სახელმწიფო მოღვაწე, ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენი პრობლემა იმაში კი არ არის, რომ ჩვენი ხალხი უნიჭო და გაუნათლებელია, საუბარია იმაზე, რომ საზოგადოების ყველაზე უტიფარი, ყველაზე თავზეხელაღებული,**

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტის არადემოკრატიული გადაწყვეტილება არაკონსტიტუციური მუხლებით მყარდება

რამდენიმე დღის წინათ ქართველი პოლიტიკოსების დიდმა ნაწილმა ხმამაღლა გააპროტესტა ხელისუფლების წინასაარჩევნო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პოლიტიკურ ძალებს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე აქციების და მანიფესტაციების ჩატარება ეკრძალებათ. მათ პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებასა და ამომრჩევლებთან შეხვედრაში დაბრკოლებების შექმნის მცდელობად მიიჩნიეს. თავად პრეზიდენტმა კი საკუთარი პოზიციის გამყარება კანონის საშუალებით სცადა და საზოგადოების თვალში გადაწყვეტილების გასამართლებლად სახელმწიფო ბეჭდვით ორგანოს "საქართველოს რესპუბლიკას" "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის" სრული ტექსტის გამოქვეყნება სთხოვა.

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დამცველების მიერ დაწუნებული ეს კანონი საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო. ამ ხუთი წლის მანძილზე კანონში რამდენიმე ცვლილება შევიდა, რაც მისი გამოქვეყნების დროს კიდეც გაუთვალისწინებიათ; რასაც ვერ ვიტყვით იმ მუხლებზე, რომელიც კანონიდან საერთოდ ამოღებულია საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ძლიერი აფეთქება ბაღდადში

ესპანელი მზვერავის და ამერიკელი ჯარისკაცის მკვლელობები

გუშინ დილით, ბაღდადის ერთ-ერთ საპოლიციო უბანთან ავტომანქანაში ჩამონტაჟებული ბომბი აფეთქდა. აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლების ცნობით, ტერაქტის შედეგად ათი ადამიანი დაიღუპა. აფეთქება სადრ-სიტის უბანში მოხდა. ეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ბაღდადის ერთ-ერთ უღარიბეს რაიონად ითვლება, რომელიც, ძირითადად, შიიტი მუსულმანებით არის დასახლებული. ერაყის პოლიციის მაიორის მაჯიდ აბდელ-ჰამიდის განცხადებით, ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანა კამიკაძე-ტერორისტმა პირდაპირ პოლიციის შენობისკენ მიმართა და ეზოს ჭიშკარი შეანგრია. პოლიციელებმა ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგაც ტერორისტმა ბომბი ააფეთქა. ტერაქტის შემდეგ, ამერიკულმა სპეცრაზმმა რაიონს ალყა შემოარტყა და მოსახლეობის მკაცრი კონტროლი დაიწყო.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

აფეთქების შემდეგ.

## საქართველოს დაშინების თემა დღეს კარგად "იყიდება" რუსეთში

*რუსეთის გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდ ივაშოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული ახალი სამხედრო დოქტრინა, დსთ-ს ისედაც სუსტი ინტეგრაციის დასაშლელადაა ჩაფიქრებული.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- ივანოვის დოქტრინაში ყურადღება გამახვილებული იყო რუსეთის მხრიდან სხვა სახელმწიფოებზე პრევენციული დარტყმების უფლებაზე, რამდენად რეალურია ამ პუნქტის ამოქმედება?**

- სამწუხაროდ, ყველამ იცის, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია დღეს რუსეთის არმია, რომელსაც უკვე არსებული დოქტრინის კორექტირებაც კი ვერ დაუბრუნებს დაკარგულ ძლიერებას. ივანოვის დოქტრინას აკლია სტრატეგიული ლოგიკა. მაშინ, როცა რუსეთს სერბიიდან სამშვიდობოები გამოჰყავს და ერაყში აგზავნის, ეს სხვა არაფერია, თუ არა ვაშინგტონის მაამებლობა. რაც შეეხება საქართველოს, მინდა დაგამშვიდოთ: რუსეთის პრეზიდენტის დღევანდელ გარემოცვას საქართველოს დაბომბვის პოლიტიკური ნება არ ეყოფა. საბედნიეროდ, არიან კრემლში საღი ძალებიც, ვინც წინ აღუდგება მსგავს უგონობას. გაუგებარია, ვის ემუქრება რუსეთი დღეს ისეთი არმიით, სადაც ყოველი ასი ჯარისკაციდან ერთსაც ვერ ვიწვევთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში? ვინც საქართველოში ტერორისტების ბაზებზე რუსეთის ავიაციით გალაშქრებას გეგმავს, რა, არ იცის, რა დღეშია დღეს რუსეთის ავიაცია? პილოტებიც აღარ გვაყავს, რომ ბომბდამშენები ჰაერში ავწიოთ...

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 რეკლამა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# სააკაშვილი "კაციჭამიების, ყაჩაღებისა და ბანდიტების" წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

გაუნათლებელი, უცნობი და უნიჭო ნაწილი მოექცა ხელისუფლების სათავეში. თქვენ ცუდად ცხოვრობთ არა იმის გამო, რომ არ გაქვთ მონაცემები, არამედ იმის გამო, რომ ეს გვიდევ 15 ოჯახი ცხოვრობს კარგად იმის ხარჯზე, რომ მოიპარა თქვენი აზარები, პენსიები, ხელფასები, თქვენი სამუშაო ადგილები და ახლა იპარავენ და აცინებენ თქვენი შვილების მომავალს. ამაზე დღეს საუბარი. თქვენი ბავშვები, რაც უნდა განსწავლულები ხვდებოდნენ ცილან, მაინც უარესად იცხოვრებენ, ვიდრე მათი შვილები, და თუ მოვამავარგოდ დაუდლებით მათ, შეიძლება თავიანთი ნასუფრალიდან პატარა ნატეხი გადმოგიგდონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც თქვენ და არც მთლიანად ქვეყანას არანაირი შანსი და მომავალი არ ექნება. ჩვენ ერთი ადამიანის მეორით შეცვლა კი არ გვინდა, სისტემის შეცვლას ვაპირებთ, რომ ეს გარყვნილი პოლიტიკური ელიტა, რომელსაც საერთოდ არაფერი საერთო აღარ აქვს თავის ხალხთან, რომელიც წარმოდგენილია ცხოვრებაზე იმდენად განსხვავებული წარმოდგენებისაგან, რომ ვეღარაფერს მიხვდებიან, რატომაა მნიშვნელოვანი ადამიანისათვის დროულად მიიღოს 14 ლარიანი პენსია, რას ნიშნავს თუნდაც პენსიის 3 ლარით გაზრდა, უფასო საცხრავო... ნილი პოლიტიკური კლანი თავისი მრწამსით ანტიხალხურია და უნდა შეიცვალოს," - სააკაშვილის ამ მონოლოგს მქუხარე ტაში მოჰყვა.

- ამისი ლაპარაკი გულს მოგაფხანინებს ცოტაო, - ეუბნებოდა ერთი მოხუცი მეორეს.

სააკაშვილი და "ნაციონალები" რუსთავში პრინციპული წინასაარჩევნო ბრძოლის დაწყებას აპირებენ სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატის გოგი სალაყაიასა და რუსთავის მერის პროტეჟეს, სოსო ალავიძის წინააღმდეგ.

**"ბრძოლა იქნება ძალიან პრინციპული, რადგან აქ კენჭს იყრის სალაყაია, რომელმაც მამალაძის დავალებით გაიტაცა საარჩევნო ბიულეტენები და ხახვივით შერჩა და უფრო მეტად პრინციპული, რადგან საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ბანდიტი, ნაძირალა და კაციჭამია სოსო ალავიძე ცდილობს, თქვენი ხმების მეშვეობით შეძვრეს პარლამენტში და მიიღოს იმუნიტეტი,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მისი მტკიცებით, მათი კანდიდატი "პატიოსანი და ერთგული" კაცია და სხვებს არ ჰგავს.

სოსო ალავიძის გამო ნაციონალები "ბურჯანაძე-დემოკრატებსაც" უპირისპირდებიან. მათი ლიდერის თქმით, ის, რომ ამ პარტიამ თავისი კანდიდატი რუსთავში არ წამოაყენა, პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი "დემოკრატები" მხარს უჭერენ ალავიძეს. **"არ მინდა დავიჯერო, რომ ეს დემოკრატების ცენტრალური ხელმძღვანელობისთვის სანქცირებული ქმედებაა. მივმართავ ჩემს მეგობარ გიორგი ბარამიძეს, გამოვიდნენ და საჯაროდ თქვან, რომ "დემოკრატები" ალავიძის კანდიდატურას წინააღმდეგებიან. ყველა პარტია უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ ისინი ყაჩაღების მხარეზე არ არიან,"** - თქვა მთავარმა "ნაციონალმა".

აქვს თუ არა სააკაშვილს იმის დამადასტურებელი საბუთები, რაც ლაპარაკობს სალაყაიასა და ალავიძეზე? - ამ კითხვაზე ის ასე პასუხობს: **"რა დამატებითი საბუთი უნდა, ესენი მოსიარულე კომპრომატები არიან".**

ორივე მათგანის კომენტარი ვთხოვეთ "ნაციონალების" ბრალდებებზე.

სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატმა გიორგი სალაყაიამ განაცხადა, რომ არავისგან ბრალდებები არ დაუმსახურებია. კითხვაზე, რა კავშირი აქვს გატაცებულ ბიულეტენებთან, სალაყაია პასუხობს: "აქამდე პოლიტიკასთან შეხება არ მქონია, თვითმმართველობის არჩევნები როდის იყო, ახლა თქვენ გამახსენეთ, თორემ ვერც მახსოვდა. მასე, ალბათ, ყველაფერს იქმა შეიძლება. ეს წინასაარჩევნო კამპანიაა, უამრავი ტალახი იქნება ნასროლი და არ ვაპირებ ვუპასუხო."

**"24 საათი": - "ბიულეტენების საქმის" მასალებში მართლაც ფიგურირებს მიკროავტობუსი, რომლითაც თავდამსხმელები გადაადგილდებოდნენ. ის "რუსთავცემენტს" ეკუთვნოდა, რომლის დირექტორიც მაშინ თქვენ იყავით...**

გ. ს.: - მე ვერ გეტყვით, ქარხანას 200 მანქანა ეკუთვნის და არასამუშაო საათებში თითოეული მძღოლის გადაადგილებას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ.

რაც შეეხება სოსო ალავიძეს, მან განაცხადა, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრები აქვს და სააკაშვილის უაზრო გამონათქვამებზე კომენტარს მოგვიანებით გააკეთებს.

მოკლედ, გუშინ სააკაშვილმა მშვიდობიანად დატოვა რუსთავი. როგორც გია ხევიაშვილმა განაცხადა, მისი ლიდერი ამის შემდეგ ხშირად ჩამოვა რუსთავში და პირადად დაეხმარება ნაციონალების კანდიდატს რუსთაველების გულის მოგებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშვიდობა მუდმივი ვერ იქნება.

როგორც გუშინ ნინო ბურჯანაძემ და გია ბარამიძემ განაცხადეს, მათთვის მიხეილ სააკაშვილის განცხადება მოულოდნელი იყო, რადგან ისინი რუსთავში "ბურჯანაძე-დემოკრატებიდან" კანდიდატს არ აყენებენ იმის გამო, რომ მხარს "ნაციონალ" გია ხევიაშვილს უჭერენ.

# საქართველოს დაშინების თემა დღეს კარგად "იყიდება" რუსეთში



ლეონიდ ივაშოვი.

პირველი გვერდიდან

**- გამოდის, რომ ასეთი განცხადებები მხოლოდ ელექტორატზეა გათვლილი?**

- საქართველოს დაშინება დღეს ზოგი რუსი პოლიტიკოსის სტილია. ეს თემა დღეს კარგად "იყიდება" რუსეთში. მაინცდამაინც ახლა, ამ საარჩევნო პერიოდში რატომ გახმოვანდა ივანოვ-პუტინის დოქტრინა? რატომ მოგვეწოდა ახალი სამხედრო სტრატეგიის სახით? იმიტომ, რომ ეს გახლავთ მორიგი პიარაქცია. რა არის ეს? ბატონი ივანოვის ახალი სამხედრო დოქტრინა თუ ძველის კორექტირება? ფაქტია, რომ უმაღლესი სამხედრო პირების ულოგიკობასთან გვაქვს საქმე. ივანოვი 2002 წელს რუსეთის პარლამენტში გამოსვლისას ჩიოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ცუდ ყოფაზე, ახლა, ერთ წელიწადში ისეთი მაგრები გავხდით, რომ საქართველოს დაბომბვაც გადავწვიტეთ? რატომ ირჩევს ასეთი არმია პრევენციული დარტყმების კოზირს? ეს ყველაზე საშიში მოსახვევია მაშინ, როცა პუტინის გამოსვლა გაერო-ში ამ ორგანიზაციის ალმატებულობაზე მიუთითებს. გამოდის, რომ რუსეთი ამ ფონზე მაინც იარაღს აჟღარუნებს, ან პრეზიდენტს საკუთარი არმია აღარ ემორჩილება.

მაგრამ საშიში ისაა, რომ პრევენციული დარტყმების იდეოლოგიას რუსეთი დღეს აშშ-ს კარნახითა და მითითებებით ატარებს. ესაა აშშ-ს სამხედრო პოლიტიკის პროპაგანდა, რასაც დღეს პუტინის ადმინისტრაცია და მისი თავკაცი ატარებს, საერთაშორისო სტრუქტურებთან, კლანებთან შეკრული. აი, სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ, პატრიოტი გენერლები დიდ საშიშროებას არა მარტო რუსეთის, არამედ საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებისადმი. ვის ემუქრება ივანოვი? ერაყში რუსი სამშვიდობოების გაგზავნით - ისლამურ ქვეყნებსა და დსთ-ს რესპუბლიკებს, ეს კი დსთ-ში ისედაც სუსტ ინტეგრაციულ პროცესებს დაანგრევს.

**- იქნებ ახალი დოქტრინა რუსეთის თავდაცვის მინისტრს ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარებისთვის გამოადგეს?**

- მან, პირველ რიგში საქართველოს უნდა შესთავაზოს ამ დარეგულირებაში შუამდგომლობა, რადგანაც ჩვენი გადამოწმებული და უტყუარი ინფორმაციით, დღესაც საქართველოდან გადადიან ჩეჩნეთში საერთაშორისო ტერორისტები. ეს კი არა მარტო საქართველოს, რუსეთის ეროვნულ უშიშროებასაც ემუქრება. ამაში მხოლოდ მესამე ძალას ვადანაშაულებ. ამ პროცესებს მართავენ კრემლის ოლიგარქიულ კაპიტალთან დაახლოებული წრეები.

პარალელური ინტერვიუ

*მომავალი საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას დღეს საქართველოში ყველა შესანიშნავად აცნობიერებს. თუმცა, წინასაარჩევნო პროცესების მიმდინარეობის თაობაზე ყველას საკუთარი მოსაზრებები აქვს. მაშინ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ უკვე დღეს სახეზეა საკმაოდ სერიოზული დარღვევები ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან, თავად კომისიის წევრები აცხადებენ, რომ ამ მხრივ, სერიოზული დარღვევები თითქმის არ არის.*

# "ძალადობაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება"

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნების აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი



**- მარკირება ახალი ხილია ქართველი ამომრჩევლისთვის. როგორ გგონიათ, რამდენად მისაღები აღმოჩნდება იგი ქართული საზოგადოებისთვის. რა პრობლემები შეიძლება შექმნას ამ საარჩევნო პროცედურას?**

- ამომრჩეველთა მარკირების პროცესს ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს. ვხედავ, რომ ქართული საზოგადოება მზად არის სამართლიანი არჩევნებისათვის, ხოლო მარკირება გაყალბების თავიდან აცილების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია.

კარუსელებს იგივე მარკირება აგვაცილებს თავიდან. ისე, ნამდვილად გასაკრიტიკებელია ხელისუფლება. თუნდაც იმიტომ, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა მარკირების იდეის პროპაგანდას. ერთ-ერთ გაზეთში ვნახე, თითქოს ნანა დევდარიანს ეთქვას, რომ მარკირება საშიშ დაავადებებს და იმპოტენციასაც კი იწვევს. ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, იმ ადამიანისთვის, ვისაც ცესკო-სთან საკმაოდ ახლო შეხება აქვს, დაუჯერებელია, რომ ნანა დევდარიანს შეეძლო, ასეთი რამ ეთქვა. თუ მაინც ეს მისი სიტყვებია, მაშინ დევდარიანი ცესკო-ს თავმჯდომარე არ უნდა იყოს.

საერთოდ, როდესაც მედიის საშუალებებიდან დეზინფორმაციის ნიაღვარი ილვრება, როცა არის მცდელობები, საზოგადოებას მიაწოდონ ყალბი ინფორმაციები მარკირებასთან დაკავშირებით, ეს ძალიან ცუდია. საერთოდ, არც ერთი ასეთი ღონისძიება პანაცეა არ არის, თუმცა არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ყველა ხერხი უნდა გამოვიყენოთ. თუ საარჩევნო ადმინისტრაციებმა განახორციელეს ყველა ის პროცედურა, რომელიც დაგეგმილია, მათ შორის – მარკირება, და ამომრჩეველიც მზად იქნება ამისთვის, მაშინ გაყალბების საკმაოდ დიდ პროცენტს თავიდან ავიცილებთ.

**- როგორ გგონიათ, როგორ წარიმართება სიების გადამოწმების პროცესი და რამდენად მოისურვებს ხელისუფლება, შესაბამისი სტრუქტურები ამის გაკეთებას?**

- რამდენადაც ვიცი, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ პროცესის დასრულების ვადა 23 ოქტომბრამდე გადაწია. ეს, ერთი მხრივ, ცუდია, რადგან ავტომატურად გადაიწევს სხვა ღონისძიებების განხორციელების ვადაც. თუმცა, მეორე მხრივ, ახლა მოქალაქეებს მეტი დრო ექნებათ საარჩევნო სიებში საკუთარი მონაცემების გადასამოწმებლად. ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები, კონკრეტულად - "სამართლიანი არჩევნები", მოვუწოდებთ ამომრჩეველს: ყველა ამომრჩეველმა თავად უნდა იაქტიუროს და საკუთარი მონაცემები თავის საარჩევნო უბანზე გადაამოწმოს. თუ საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრმა ხელი შეუშალა გადამოწმების პროცესს, ის უნდა დაისაჯოს.

**- დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი საარჩევნო ოლქებში. ოპოზიციონერი კანდიდატების განცხადებებით, მათ რეგისტრაციიდან პოლიტიკური ნიშნის მიხედვით ხსნიან. მაგალითად, გურჯაანში კომისიამ მხოლოდ ერთი კანდიდატი დატოვა - სახელისუფლებო ბლოკის პროტეჟე ნიკა კვეზერელი**

- გურჯაანზე ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ხედავთ, ტყიბულში რა მოხდა? ბონდო შალიკიანის გარდა, ყველა სხვა კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი უთხრეს. ერთ-ერთი კანდიდატის მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა 250-კაციანი სია გაყალბებულად ცნეს, რადგან 250-ივემ დაწერა, რომ ამ სიისთვის ხელი არ მოუწერია. ბუნებრივია, საქმე გვაქვს აშკარა ძალადობასთან.

ეუთო-ს გრძელვადიან დამკვირვებლებს პირდაპირი კავშირი აქვთ "სამართლიანი არჩევნების" რეგიონულ კოორდინატორებთანც და მათ პირდაპირ აწვდიან ინფორმაციას დარღვევების თაობაზე.

**- საერთოდ, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში შექმნილ წინასაარჩევნო ფონს?**

- სხვათა შორის, გამოვყოფდი როგორც უარყოფით, ასევე პოზიტიურ მხარეებსაც. მაგალითად, კანონმდებლობა ძალიან კარგი გვაქვს, არის პოლიტიკური პლურალიზმი. 1999 წელს, რეალურად, მხოლოდ ორი პარტია ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას, დღეს კი 5-6 მაღალრეიტინგული პარტია იბრძვის გამარჯვებისთვის, მათმა ურთიერთკონტროლმა უნდა განაპირობოს არჩევნების სამართლიანობა. რაც შეეხება უარყოფით მხარეს: ეს, პირველ რიგში, ძალადობაა და ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები. ძალადობაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება.

# "წინასაარჩევნო ფონი, ჯერჯერობით, ასატანია"

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი მიქანაძე



**- როგორ გგონიათ, რამდენად შესაძლებელია პროცედურული თვალსაზრისით, ამომრჩეველთა მარკირება, რამდენად არის მზად ქართული საზოგადოება ამისთვის და საარჩევნო ადმინისტრაციებს, ამ მხრივ, რა ფუნქცია ეკისრებათ?**

- ძალიან მიკვირს, რომ ჩვენ საზოგადოებაში, ამასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი დარწმუნებულია, რომ მარკირების საშუალებები მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. არადა, როგორც ამბობენ, ეს მეთოდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული და გამოყენებულია. რაც შეეხება თავად მისი გამოყენების მექანიზმებს: კანონი არ მოითხოვს მარკირებას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც 2000-ზე ნაკლები ამომრჩეველია. სხვაგან კი ვმსჯელობთ, რა ფორმებით ჩატარდეს ეს პროცედურა. ცესკო-ს სხდომაზე, შესაძლოა, მივიღოთ რეკომენდაციები ამასთან დაკავშირებით. არჩევნების დღეს კენჭისყრით განაწილდება, კომისიის რომელი წევრი რა ფუნქციას შეასრულებს. ერთი წევრი ამომრჩეველზე იქნება მიმაგრებული და მარკირებისათვის აუცილებელ სითხეს ხელზე მიასხურებს. აქვე უნდა ვთქვა, რომ კანონში ჩადებულია სხვა მექანიზმებიც, რომლებიც არჩევნებს გაყალბებისაგან დაიცავს – აღვნიშნავ თუნდაც იმას, რომ ხმის მიცემის კაბინა იქნება ღია და კომისიის თითოეულ წევრს შეეძლება შეამოწმოს, რას აკეთებს ამომრჩეველი. ამით თავიდან ავიცილებთ "მარაოს" დატრიალების შესაძლებლობას და ა.შ.

**- როგორ გგონიათ, 23 ოქტომბრამდე მოესწრება თუ არა ამომრჩეველთა სიის გადამოწმება? ამ მხრივ საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი. ოპოზიციური პარტიების ნაწილი ამტკიცებს, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა ნახევარ მილიონზე მეტით არის გაზრდილი.**

- ცენტრალური საარჩევნო კომისია, ქვედა დონის საარჩევნო კომისიები ამისთვის ყველა ღონეს ვხმარობთ. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ საჭიროა, ყველა აქტიურად ჩაერთოს გადამოწმების პროცესში და საარჩევნო კომისიებთან ერთად გააკონტროლოს, რა ვითარებაა ამ მხრივ. ეს ეხება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს (მათ შორის - საპასპორტო მაგიდებს, ადგილობრივ გამგეობებს), ისე თავად ამომრჩევლებს. თავად მოსახლეობამ უნდა გამოიჩინოს სამოქალაქო აქტიურობა და თავად შეამოწმოს, არის თუ არა მისი მონაცემები ამომრჩეველთა სიებში. ეს ქვეყანა ხომ ჩვენი ქვეყანაა, ამ ქვეყანას პატრონი სჭირდება. ახლა საკმაოდ სერიოზული გამოცდის წინაშე ვდგავართ – ამ არჩევნების შემდეგ ან წინ წავალთ ოთხი წლით, ან უკან დავიხევთ ორმოცი წლით მაინც. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ.

**- და მაინც: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციის მიერ საკმაოდ სერიოზული დარღვევებია გამომჟღავნებული მათი კანდიდატების მიმართ, აშკარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადგილებზე ვერც საარჩევნო კომისიები და ვერც ხელისუფლება ამ არჩევნების მნიშვნელობას ვერ გრძნობს. იგივე ტყიბულში, სადაც კომისიამ რეგისტრაციაში მხოლოდ ბონდო შალიკიანი გაატარა, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის მიერ არის წარდგენილი, სხვას კი რეგისტრაციაზე უარი უთხრა.**

- თავად ბონდო შალიკიანი რომ მოხსნილიყო რეგისტრაციიდან, ასეთ შეკითხვას ხომ არავინ დასვამდა? არც გურჯაანში, არც ტყიბულში განსაკუთრებული არაფერი ხდება. არიან კანდიდატები, რომლებმაც სწორად ვერ მოახერხეს სათანადო ფორმების შევსება. დარღვეულია კანდიდატთა წარდგენის წესები. ნუთუ დეპუტატობის კანდიდატმა იმდენი ვერ უნდა მოახერხოს, რომ მხარდამჭერთა სიები სწორად წარმოადგინოს? საერთოდ, საარჩევნო ადმინისტრაციები არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ რატომღაც ყველას სურს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია, ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციები პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში დაადანაშაულოს.

**- როგორ დაახასიათებდით წინასაარჩევნო ფონს?**

- ჯერჯერობით, ასატანია. პოლიტიკურ პროცესებს თან სდევს წინააღმდეგობები, მაგრამ, ჯერჯერობით, სერიოზული პრობლემები ამ მხრივ არ შექმნილა. მაგრამ, თუკი საარჩევნო ადმინისტრაციები, პოლიტიკური პარტიები არ იმოქმედებენ ისე, როგორც ამას კანონი ითხოვს, ფონი, ბუნებრივია, დამძიმდება.

# სიცრუე და ორპირობა...

გიორგი ასანიშვილი

დღეს ძალიან ადვილია ხელისუფლების გულის მოგება. ამისთვის საკმარისია, ოპოზიციის ლიდერების ან მათი ოჯახის წევრების "უწესობა" და "კრიმინალური საქმიანობა" ამხილო. სამთავრობო გუნდის ზოგიერთმა "ახალმა სახემ" ასეთ განწყობას უცებ აუღო ალღო და ახალი კაბინეტი ჯერ კარგადაც კი არ ჰქონდა შეთვალიერებული, რომ "ქვეყნის დამაქცევართ" ეძგერა. მაგალითად, ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ კობიაშვილი აღშფოთებით ალაპარაკდა პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეზე, გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეზე ბადრი ბიწაძეზე, რომელიც მთავარ სამხედრო პროკურორ გია ჯიქიასთან ერთად, თურმე, **"სამხედრო ნაწილებზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელებას ცდილობდა, რათა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკმა "ბურჯანაძე-დემოკრატები" სამხედრო მოსამსახურეთა ხმები მიიღოს."**

ერთი სიტყვით, კობიაშვილმა სიტყვა დააგდო და იფიქრა, რომ ხელისუფლების წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა. ლოგიკურად, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, სანამ მისი სიტყვების "ჭეშმარიტება" საბოლოოდ დადგინდებოდა, არჩევნები ჩაივლიდა და გუბერნატორის ბრალდებები აღარავის ეხსომებოდა. მაგრამ მთლად ისე არ წავიდა საქმე, როგორც პრეზიდენტის რწმუნებული ვარაუდობდა: მის მიერ მასმედიაში ბრალდებების გახმოვანებისთანავე, გუბერნატორს გენერალური პროკურორი შეეხმიანა, რომელთანაც კობიაშვილი უკვე სულ სხვაგვარად ალაპარაკდა.

**"მე ვესაუბრე ზურაბ კობიაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ჟურნალისტებთან საუბარში ბიწაძისა და ჯიქიას გვარები არ უხსენებია (?!). ამის შემდეგ გუბერნატორს ვთხოვე, დაესახელებინა სამხედრო მოსამსახურეებზე ზემოქმედების მოხდენის კონკრეტული ფაქტები, თუ ისინი გააჩნდა. ამაზე ბატონმა ზურაბმა მიპასუხა, რომ ვაზიანის სამხედრო პროკურატურის თანამშრომლებს, თითქოს, მეთერთმეტე ბრიგადასთან ჰქონდათ კონტაქტები. ასე რომ, ჩემთვის რაიმე კონკრეტული ფაქტი ცნობილი არ არის. გარდა ამისა, დავუკავშირდი უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელობას და როგორც ირკვევა, მათაც არა აქვთ არავითარი ინფორმაცია. თუმცა, კობიაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით შემოწმებას მაინც ვაწარმოებ და თუ ზეწოლის ფაქტებს მართლა ჰქონდა ადგილი, მკაცრ რეაგირებას მოვახდენ,"** - განაცხადა გუშინ გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

ნამდვილად არ არის ლამაზი, როდესაც პრეზიდენტის რწმუნებული ორპირობს: ტელეკამერების წინ ნათქვამს გენერალურ პროკურორთან საუბარში უარყოფს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ბურჯანაძე - დემოკრატების" საარჩევნო ბლოკმა გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში წინასაარჩევნო გასვლა მოაწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ონი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"-ს ლიდერებმა დავით გამყრელიძემ და ფიქრია ჩიხრაძემ ონის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი - დავით საგანელიძე წარადგინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკ "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ბათუმის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დავით ბერძენიშვილმა ხუთშაბათიდან ბათუმში საარჩევნო პლაკატების გაკვრა დაიწყო წარწერით "ბათუმი აბაშიძის გარეშე". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ ღამით გადმოასვენეს მიმდინარე წლის 4-5 ოქტომბერს გალის რაიონის სოფლებში გაგიდასა და დიხაზურგაში შეტაკებების დროს დაღუპული ორი ქართველის - კოპალიანისა და ზარანდიას ცხედრები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი ჩამოვიდა. დღესვე დახურულ კარს მიღმა საქართველოსა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ორ ქვეყანას შორის კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე და მის შემდგომ პერსპექტივებზე იმსჯელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საკონტროლო აღწერის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გივი ცივაძე უახლოეს დღეებში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აჭარაში რამდენიმე დამატებითი საარჩევნო ოლქის გახსნის მოთხოვნით მიმართავს. მისი თქმით, ამის მიზეზი აჭარაში ამომრჩეველთა გაზრდილი რაოდენობაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შესამუშავებლად ქართულ-აფხაზური კონსულტაციები 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ გაიმართება. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზურ მხარეს კარგად ესმის, რომ 2 ნოემბრის წინა პერიოდში აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შექმნა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის და თავად ხელისუფლებისთვის "არაპოპულარული თემაა". **ინტერ-პრესი**

btc

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა - მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად (RFP)

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტებისათვის

SCP South Caucasus Pipeline

კონფერენცია ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის

2003 წლის 1 სექტემბერს, კომპანია "BP"-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) აქციონერი კომპანიების სახელით მოქმედმა ოპერატორმა კომპანიამ, გამოაქვეყნა მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და საქართველოში რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ – BP-ს და აქციონერი კომპანიების სახელით "გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის" (EIP) რეალიზაციის მიზნით.

ორშაბათს, 13 ოქტომბერს, დილის 10-დან 12 საათამდე, BP-საქართველოს პროექტის თბილისის ოფისში, საბურთალოს ქუჩა № 38-ში, კომპანია "BP" მართავს განმარტებით შეხვედრას ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციებისთვის. შეხვედრა განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც გამოგზავნეს განზრახვათა წერილი სატენდერო წინადადების წარმოდგენის თაობაზე, მათთვისაც, ვინც შეიმუშავებს სატენდერო წინადადებას. შეხვედრა მიზნად ისახავს პასუხების გაცემას იმ ორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც გეგმავენ სატენდერო წინადადების წარმოდგენას და ესაჭიროებათ განმარტებები, რათა მათ მიერ წარმოდგენილი წინადადება პასუხობდეს "მოწვევის" პირობებს.

გთხოვთ, დაადასტუროთ თქვენი მხრიდან განმარტებით შეხვედრაში მონაწილეობის სურვილი, რისთვისაც შეტყობინება ელექტრონული ფოსტით უნდა გაუგზავნოთ ჯანეტ სტიუარტს, საქართველოს SCM-ის მენეჯერს მისამართზე: **stewarjb@bp.com**, ხოლო ასლებში უნდა მიუთითოთ **okropirm@bp.com.**

ვინაიდან ტენდერში მონაწილეობის მსურველთა საინფორმაციო კონფერენცია დაგვიანებით იმართება, ავტომატურად, წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა 20 ოქტომბრამდე არის გაზრდილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## სიები 25 პროცენტითაც ვერ ემთხვევა რეალობას

"ახალი მემარჯვენეები" პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩეველთა სიების სრულყოფის საკუთარ ვარიანტს სთავაზობენ. გუშინ "ახლების" ოფისში ამ საკითხთან დაკავშირებით სახელისუფლებო ბლოკის, ცესკო-ს, "ნაციონალური მოძრაობის", "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "მრეწველების" წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

როგორც ოპოზიციური, ისე სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ 2 ნოემბრის არჩევნებს ქვეყანა სრულიად მოუწესრიგებელი საარჩევნო სიებით ხვდება.

"ახალი მემარჯვენეების" მიერ მარტ-აპრილში ჩატარებული, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები ცესკო-ს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა სიებს 25 პროცენტითაც არ ემთხვევა. იგივეს აცხადებენ სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც, რომლებსაც, "ახლების" მსგავსად, გააჩნიათ გარკვეული მონაცემები ამომრჩეველთა რაოდენობასთან დაკავშირებით.

"ახლების" აზრით, ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია, შეჯამდეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ხელთ არსებული საარჩევნო სიები, რაც, მათი თქმით, ამომრჩეველთა რაოდენობის გაცილებით უფრო ზუსტ სურათს მოგვცემს, ვიდრე ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული საარჩევნო სიებია.

**"ამისთვის საჭიროა მხოლოდ ცესკო-ს ნებართვა. თუ მოხერხდება სხვადასხვა პარტიების ხელთ არსებული მონაცემების შეჯამება, გპირდებით, რომ თანხვედრა იქნება 70-80 პროცენტი და, შედეგად, გაცილებით კომპეტენტურ და ზუსტ სიებს მივიღებთ. რაც შეეხება დროს, ამის მოხერხება საკმაოდ მოკლე დროშია შესაძლებელი, მთავარია ცესკო-ს გადაწყვეტილება,"** - აცხადებს "ახლების" წარმომადგენელი ირაკლი იაშვილი. დღეს "ახლები" საკუთარ ინიციატივას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს გაუზიარებენ.

*24 საათი*

## სიებზე სახელისუფლებო ბლოკიც ალაპარაკდა

სახელისუფლებო ბლოკი გუშინ საარჩევნო სიების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა. **"1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაცემებით, საქართველოში სულ 3 მილიონ 100 ათასი ამომრჩეველია. ეს ის ციფრია, რომელზეც ჩვენ ორიენტირება უნდა გავაკეთოთ. სახელისუფლებო კომისიებმა და სათანადო უწყებებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2 მილიონ 900 ათასი ამომრჩევლის მონაცემები გადასცეს. ანუ ციფრი შემცირებულია და არა გაზრდილი, როგორც ამას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გვსაყვედურობენ,"** – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა გუშინ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

სახელისუფლებო ბლოკის მონაცემებით, რომლებიც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელ ოქმს ეყრდნობა, გლდანისა და ნაძალადევის რაიონებში 224 ათასი ამომრჩეველია. **"ძალიან მაინტერესებს, სად, როდის და ვის მიერ მიემატა ამ რაოდენობას 56 ათასი ამომრჩეველი, რადგან ცესკო-სთვის გადაცემული სიის მიხედვით, გლდანი-ნაძალადევში 280 ათასი ამომრჩეველი ცხოვრობს,"** – უკვირს ქუცნაშვილს.

ქუცნაშვილმა გუშინ, სახელისუფლებო ბლოკის სახელით, ყველა შესაბამის უწყებას მიმართა - უახლოეს დღეებში მოაწესრიგონ ამომრჩეველთა სიების მდგომარეობა. **"მივმართავ ამომრჩევლებს, გამონახონ ათი წუთი, მივიდნენ თავიან საარჩევნო უბნებში და შეამოწმონ, არიან თუ არა შეტანილი საარჩევნო სიებში. მივმართავ ასევე ყველა პოლიტიკურ პარტიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დახმარება აღმოუჩინონ მოსახლეობას საარჩევნო სიებთან დაკავშირებით,"** – განაცხადა ქუცნაშვილმა.

*24 საათი*

## ევროსაბჭოს დელეგაცია გენპროკურატურაში

საქართველოში სტუმრად მყოფი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა წინასაარჩევნო მისიის წარმომადგენლები გუშინ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს შეხვდნენ. სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელთან მათ საუბარს კონკრეტული წინაპირობა ჰქონდა - ოპოზიციის ლიდერებთან დიალოგმა ევროსაბჭოს წარგზავნილები დაარწმუნა, რომ 2 ნოემბრის არჩევნებზე კანონდარღვევათა "ეპიდემიაა" მოსალოდნელი. ამიტომ, ევროდამკვირვებლები აქედანვე იჭერენ თადარიგს და გენერალურ პროკურორს სთხოვენ, მისმა უწყებამ თითოეულ კანონდარღვევაზე სათანადო რეაგირება მოახდინოს.

**"დამკვირვებლები ითხოვენ, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს მშვიდობიან ვითარებაში, იყოს წესრიგი და არ დაირღვეს საარჩევნო კანონი. ეს ჩვენს ინტერესებშიც შედის",** - აცხადებს სტუმრებთან შეხვედრის შემდეგ ნუგზარ გაბრიჩიძე, რომელიც ხაზს უსვამს, რომ გენერალური პროკურატურა დეპოლიტიზებული ორგანოა და ამდენად, უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერევა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კამპანიის ან თავად არჩევნების მიმდინარეობისას რაიმე დანაშაული და სამართალდარღვევა მოხდება, პროკურატურა მასზე აუცილებლად მოახდენს რეაგირებას.

*24 საათი*

# პარლამენტის თავმჯდომარის ულტიმატუმი

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული განცხადებების კასკადის მიზანია, საზოგადოების ყურადღება არჩევნებიდან სხვა, მეორეხარისხოვან საკითხებზე გადავიდეს და მაშინ, როდესაც ასობითათასი ამომრჩეველი, პრაქტიკულად, ხმის უფლების გარეშეა დარჩენილი, აქცენტი თითიდან გამოწოვილ, "სენსაციურ" თემებზე გაკეთდეს.

ამასთან, გუშინდელ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებას და მადლობა გადაუხადა მას იმისთვის, რომ მან (ჯაფარიძემ) მოუწოდა ყველა პოლიტიკურ ლიდერს, არ ჩაერთონ ბინძურ და ცილისმწამებლურ წინასაარჩევნო კამპანიაში. **"ამით თედო ჯაფარიძემ დაადასტურა, რომ ის ბრალდებები, რომლებიც ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მისამართით გაისმის, სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო შავი პიარტექნოლოგიების ნიმუშები,"** - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი, რომელმაც, სხვათა შორის, ირინა სარიშვილი იმის "ღირსადაც" კი არ ჩათვალა, რომ ბრიფინგის დროს მთელი ამ აურზაურის მომწყობის გვარი და სახელი ეხსენებინა.

ბურჯანაძის თქმით, იგი ხელისუფლებიდან მომდინარე ცილისწა-



ნინო ბურჯანაძე უშიშროების სამინისტროს დასკვნის გამოქვეყნებისთვის სამ დღეს აძლევს.

მებებს მომავალში აღარ გამოეხმაურება და არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ არ გაჰყავს გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე. **"მე და ჩემს გუნდს არაფერი გვაქვს სალაპარაკო დღევანდელ ხელისუფლებასთან, სახელისუფლებო ბლოკის არც ერთ წარმომადგენელთან. არ ავყვებით მათ იმ კინკლაობაში, რომელშიც გულმოდგინედ ცდილობენ ჩვენს ჩათრევას და არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმემ საარჩევნო კამპანიის ნორმალურად წარმართვას მოგვწყვიტოს,"** - დასძენს ბურჯანაძე.

თავისი ნათქვამის "გასამყარებლად" პარლამენტის თავმჯდომარე ბრიფინგის დასრულებისთანავე პირდაპირ საარჩევნო უბანზე მივიდა და "წართმეული" საკონსტიტუციო უფლება "დაიბრუნა" - საკუთარი თავი ვისთვის გაბერილ, ვისთვის კი შეკვეცილ საარჩევნო სიებში შეატანინა.

# წილი ნაყარია, ადგილები - განაწილებული

პირველი გვერდიდან

ასე განისაზღვრა, საბოლოოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რიგითობა. პირველ ცხრა პოლიტიკურ ორგანიზაციას ნომერი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული შედეგების მიხედვით ერგო. დანარჩენებმა საკუთარი ბედი თავად განსაზღვრეს - ცესკო-ს სხდომაზე სპეციალურ ყუთში ჩაყრილი ნომრები თავად ამოიღეს. მეათე ნომერი, წესით, "ინტელექტუალთა ლიგას" უნდა რგებოდა. თუმცა, "ლიგა" ცესკო-მ რეგისტრაციაში არ გაატარა. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მეათე ნომერი თავისუფალი დარჩა, თუმცა, "ლიგას" სარჩელი საბოლოოდ არც სასამართლომ დაუკმაყოფილა. შეგახსენებთ, ცესკო-მ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის დეპუტატობის კანდიდატთა ასაკი დაიწუნა, ბევრი მათგანი 25 წლამდე ასაკის გახლდათ. პარტიების რიგითობის განსაზღვრით ცესკო-ს მართლაც დიდი ტვირთი მოეხსნა.

თუმცა, ახალი "თავის ტკივილი" შეძლება რამდენიმე საოლქო კომისიის თავმჯდომარის გამო გაჩნდეს. ცესკო-მ თანამდებობიდან გაათავისუფლა ყვარლისა და თელავის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები. შეგახსენებთ, გაურკვევლობა თავიდან ერთგვარი "ორხელისუფლებიანობის" გამო დაიწყო. ახლად დანიშნულ საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს ძველი კომისიის თავმჯდომარეების გამო გაუჩნდათ პრობლემები. ყვარელში "დემოკრატების" წარდგენილ ნ.ავაზაშვილს 2003 წლის 2 ოქტომბრამდე საუბნო კომისიების თავმჯდომარეების ხელახლა დანიშვნა და საუბნო კომისიების სხდომების მოწვევა დაევალა. ცესკო-ს რამდენიმეკაციანი "სარევიზიო" კომისიის დასკვნით, **"ავაზაშვილმა არ გამოიყენა მის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რის გამოც დაისვა მისი პასუხისმგებლობის საკითხი"**. ამავე კომისიის დასკვნით, თელავში ცესკო-ს ახლად დანიშნულმა თავმჯდომარემ ჭონიშვილმა ადრინდელი თავმჯდომარის - სიამაშვილის მიერ დანიშნულ თავმჯდომარეებს **"თავიანთი მოვალეობის შესრულების საშუალება არ მისცა".** ეს ცესკო-ს კომისიის დასკვნაა, რომელიც ერთსულოვნად მართლაც არ მიუღიათ; სხვათაშორის, თელავის საოლქო კომისიის თავმჯდომარის საკითხთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობის გრძნობა თავად ცესკო-ს თავმჯოდმარეს ნანა დევდარიანსაც კი გაუჩნდა. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა ნუგზარ კუპრეიშვილმა კი ჭონიშვილის გათავისუფლება პოლიტიკურ დაკვეთად შეაფასა და თელავის რაიონის გამგებელი მედეა მეზვრიშვილი ცესკო-ზე ზეწოლაში დაადანაშაულა. მისი თქმით, **"ჭონიშვილი 75 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებიდან თითქმის ერთადერთია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" წარდგინებით დაინიშნა. ეს კი, ბუნებრივია, ხელისუფლებას (კერძოდ – მეზვრიშვილს) ხელს არ აძლევდა და ცესკო-მ ასეთი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო".** მისივე თქმით, საოლქო საარჩევნო კომისიის ძველი წევრები სწორედ მეზვრიშვილის მითითებით არ აძლევდნენ ჭონიშვილს მუშაობისა და ცესკო-ს გადაწყვეტილებათა შესრულების საშუალებას. სხვათა შორის, ჭონიშვილისათვის მუშაობაში ხელის შეშლაზე საუბრობდა "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელი კარლო ბარდაველიძეც.

გარდა ამისა, ცოტა ხანში უკვე სერიოზული ხმაურია მოსალოდნელი ტყიბულის საოლქო კომისიის თავმჯდომარის გამოც, ამჯერად უკვე ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ. ირა სოფრომაძეს ოპოზიცია სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატისთვის ოპოზიციონერი კონკურენტების ხელოვნურად ჩამოცილებას ედავება."ახლების" ერთ-ერთი კანდიდატია იური ელიაშვილი. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ, ისე ცესკო-ში "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელმა ელდარ გოგიაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ სოფრომაძემ, ზედმეტი გულმოდგინების გამო, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიები შესამოწმებლად გენერალურ პროკურატურასაც კი გადაუგზავნა. კანონით კი, საარჩევნო კომისიის წევრთა გარდა, ამ სიების ნახვის უფლება, ამომრჩევლის ინტერესებისა და უფლებების დაცვიდან გამომდინარე, მხოლოდ სასამართლოს აქვს. ჭონიშვილი აპირებს ცესკო-ს გადაწყვეტილების საოლქო სასამართლოში გასაჩივრებას.

ცესკო-ს წევრიც ადამიანია და, ბუნებრივია, რომ შეცდომებისგან დაზღვეული არც ის არის. ერთი ეგ არის, რომ ამ შეცდომებს თავად კომისიის წევრები ცოტა გვიან ხვდებიან. მაგალითად იმას, რომ სამი დღის წინ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება "ჭკუაში არ უჯდებათ". საქმე ცესკო-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება, რომლის თანახმადაც, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ამომრჩეველთა სპეციალური სიები უნდა შეიქმნას დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისთვის. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი მამუკა გობეჩია მიიჩნევს, რომ "სპეციალური სიების შედგენა არჩევნების გაყალბებისა და ქაოსის შექმნის მცდელობაა". როგორც იგი ამტკიცებს, სპეციალური სია (დამატებითი სიის მსგავსად) ხმების გაყალბების ტექნოლოგიური მეთოდია, რისი საშუალებითაც არჩევნების მიმდინარეობისას კარუსელი „ტრიალებს". იმავეს ამტკიცებდა მოგვიანებით "სოციალისტების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მინდელიც. თუმცა, ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, სპეციალურ სიაში შესაყვანი ამომრჩევლის რეგისტრაცია არჩევნებამდე ათი დღით ადრე უნდა მოხდეს. ეს კი მათი მხრიდან არჩევნების დღეს ხმის რამდენჯერმე მიცემას გამორიცხავს. გარდა ამისა, თავის საქმეს ე.წ. მარკირებაც გააკეთებს.

ეკა კვესიტაძის სვეტი

## შევარდნაძე საკუთარი კარიერის დასასრულს ირჩევს, ხალხი კი - მისი ეპოქისას

როდესღაც ყველაფერი მთავრდება. შევარდნაძის ეპოქაც დასრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაში თაობები დაიზარდნენ და განცდა იმისა, რომ ის არასოდეს დამთავრება, ჯერ კიდევ არსებობს.

კითხვაზე: თუ როგორი იქნება ამ ეპოქის დასასრული – პასუხი ჯერ კიდევ არ არის, ან ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის.

კითხვაზე: როგორ დაასრულებს შევარდნაძე ამ ეპოქას, პასუხი უკვე არსებობს: ეს არ იქნება ღირსეული დასასრული.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში პრეზიდენტის მრჩევლები და გარემოცვა გულმოდგინედ ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ამერიკის წარმომადგენლობითი დელეგაცია თბილისში შევარდნაძესთან რევერანსებისთვის ჩამოვიდა.

ამის დამამტკიცებლად პრეზიდენტის მრჩევლებმა რამდენჯერმე გაიმეორეს შევარდანძისთვის სენატორ მაკკეინის მიერ ნათქვამი ფრაზა – "თქვენ ისტორიაში ადგილი უკვე დაიმკვიდრეთ."

ისტორიაში შევარდნაძემ ადგილი ნამდვილად დაიმკვიდრა. საბჭოთა კავშირის დანგრევა და ცივი ომის დასრულება – ამ ორი მოვლენით, რომელიც უკვე მსოფლიო ისტორიის კუთვნილებად იქცა, ისტორიაში შევარდნაძეც შევიდა, როგორც ბოროტი იმპერიის პროგრესული მინისტრი.

შევარდნაძემ უკვე თქვა, რომ მისთვის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვება პრობლემა არ არის, რადგან მას უფრო დიდი თანამდებობაც მიუტოვებია, ანუ ცხადად მიანიშნა იმაზე, რომ მისთვის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობა უფრო დიდი და საპატიო იყო, ვიდრე საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტობა. იგი ამ უფრო "საპატიო" თანამდებობის წყალობით ისტორიის ნაწილი უკვე გახდა. ამიტომ კითხვა - რა ადგილს დაიმკვიდრებს იგი საკუთარი, თავისუფალი ქვეყნის ისტორიაში, პრეზიდენტისთვის უკვე მეტისმეტად უმნიშვნელო და არააქტუალურია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ეტაპზე პრიორიტეტი საკუთარი ოჯახისა და გარემოცვის ინტერესების დაცვაა.

ამერიკელების დელიკატურ ტონს და ქვეტექსტს, თქვენ ისტორიული ფიგურა ხართ და თქვენ არ გეკადრებათ არჩევნების გაყალბებაო, გავლენა შევარდნაძეზე, რა თქმა უნდა, არ მოუხდენია. გაფრთხილება, რომ არადემოკრატიული არჩევნები საქართველოს ძალიან ბევრ რამეს დააკარგვინებს, პრეზიდენტს არ აღელვებს, რადგან ის ვერაფერს დააკლებს მის გარანტირებულ ადგილს ისტორიაში.

მაშინ, როცა შევარდნაძემ ყურიც კი არ ათხოვა "ძველი მეგობრის" - ბეიკერის რჩევებს, ილუზია იმისა, რომ მასზე მაკკეინის, ტელბოტის თუ შალიკაშვილის ნახევარტონებით ნათქვამი რეკომენდაციები გაჭრიდა, არავის გასჩენია.

იმის დემონსტრირება, რომ ეს ასეა, პრეზიდენტმა შესაშური სისწრაფით მოაწყო. ამერიკელები ჯერ კიდევ თვითმფრინავში არ იყვნენ ჩამსხდრები, რომ შევარდნაძემ ინსტრუქციების გასაცემად გუბერნატორები დაიბარა, ხოლო სარიშვილს სანქცია მისცა, ბურჯანაძე რუსეთის აგენტობაში დაედანაშაულებინა.

ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს, არის ის, რომ ამ ხელისუფლების უნიჭობასა და უსუსურობას საზღვარი მართლაც არ აქვს.

ადგილობრივი არჩევნების დროს, როცა ხელისუფლებისთვის მთავარი საფრთხე "ნაციონალური" მოძრაობა იყო, კანცელარიაში სააკაშვილის რუსეთის აგენტობაზე ალაპარაკდნენ.

გაზრდილი რეიტინგის გამო, ახლა საფრთხე ხელისუფლებამ ბურჯანაძის სახით დაინახა და იგივე ბრალდებები ახლა უკვე პარლამენტის თავმჯდომარეს მოარგო. კანცელარიამ ერთადერთი ცვლილების შეტანა მოახერხა: თუ ადრე ამ ბრალდებებს ხელისუფლების რომელიღაც უსახო ჩინოვნიკი ახმოვანდებდა, ამჟამად ეს "საპატიო ვალი" ლოგიკური მჭერმეტყველებით განთქმული სარიშვილის პრეროგატივა გახდა. თუმცა, ერთი დეტალის გათვლა ყველას დაავიწყდა. ამ საკითხის ზედმეტი რიტორიკით გაბერვა, როცა ერთ საცოდავ მედალზე მეტი არგუმენტი არ მოიძებნება, ამ რიტორიკის ავტორს, უბრალოდ, ტაკიმასხარად აქცევს.

მაგრამ, პრეზიდენტს საკუთარ გუნდში ტაკიმასხარების პრობლემა არ ანაღვლებს, მას უკვე აღარაფერი ანაღვლებს. შევარდნაძემ უკვე გადაწყვიტა, როგორ დაასრულებს თავის ქართულ ეპოქას. თუმცა, მარტო მას არ შესწევს ძალა, გადაწყვიტოს, როგორი იქნება ამ ეპოქის დასასრული. ამის ძალა მხოლოდ ხალხს აქვს, მთელ ერს, რომელსაც საკუთარი ღირსების განცდა გააჩნია და რომელსაც საკუთარი მომავალი აღელვებს.

მოკლედ

## მთავარია ამომრჩეველთა სიები

"ბურჯანაძე-დემოკრატები" გუშინ საქართველოში სტუმრად მყოფ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა წინასაარჩევნო მისიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. დახურულ კარს მიღმა გამართული დიალოგის შემდეგ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველაზე მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ევროსაბჭოს ექსპერტების თხოვნით აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას, არის ამომრჩეველთა სიების მაქსიმალური სიზუსტით შედგენა. ჟვანია დარწმუნებულია, რომ, თუ ცესკო კეთილ ნებას გამოიჩენს, ამომრჩეველთა სიების მოწესრიგება ერთი კვირის განმავლობაშიც შესაძლებელია. **"დამკვირვებლების სურვილია, რომ არჩევნები საქართველოში დემოკრატიულად ჩატარდეს, ყოველგვარი გაყალბებისა და ძალადობის გარეშე. მათ გულისტკივილით აღნიშნეს ბოლნისში განვითარებული მოვლენების შესახებ და ისურვეს, რომ მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს,"** – აცხადებს ჟვანია.

*24 საათი*

# საარჩევნო ფინანსები და მონიტორინგი



მონიტორინგის ჯგუფი უფრო კონკრეტულ საჩივრებს ელოდება.

პირველი გვერდიდან

მიღებული "სიგნალები" კი ასეთი გახლდათ: გუშინდელი დღისთვის ანტიკორუფციულ საბჭოში შესული იყო ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრის მიხეილ მაჭავარიანის და "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წარმომადგენლის გიორგი ბარამაშვილის საჩივრები.

ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები" სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარ დეპუტატს სამგორის რაიონში პანტიკო თორდიას უჩიოდა, "აღორძინება" კი – "ნაციონალებს". საჩივრებში, ძირითადად, ზოგადი საუბარი გახლდათ ამომრჩევლის მოსყიდვაზე და მათზე ზეწოლის მცდელობებზე.

შეხვედრაზე სახელისუფლებო ბლოკისა და საარჩევნო ბლოკ ''ბურჯანაძე–დემოკრატების" წარმომადგენლებმა ერთმანეთს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ბრალდებაც წაუყენეს. კერძოდ, ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებმა სახელისუფლებო ბლოკი სახელმწიფო კანცელარიის რესურსების გამოყენებაში დაადანაშაულეს, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ '"ბურჯანაძე –დემოკრატები" წინასაარჩევნო კამპანიისთვის პარლამენტის რესურსებს იყენებენ.

ასევე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს "აღორძინების კავშირისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები. "აღორძინების" წარმომადგენელმა "ნაციონალების" ლიდერს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე შეკერილი, საქართველოს დროშების ადგილსამყოფელის ჩვენება მოსთხოვა. "ნაციონალებმა" კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებს საბიუჯეტო თანხების გამოყენებაში დასდეს ბრალი.

საბოლოო ჯამში გადაწყდა, რომ ანტიკორუფციული ბიურო, მონიტორინგის ჯგუფთან ერთად, აქტიურად გააკონტროლებს პარტიებისა და ბლოკების მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და აღმოჩენილ დარღვევებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცემს, რომელიც მხილებული საარჩევნო სუბიექტისთვის რეგისტრაციის გაუქმების საკითხს დააყენებს.

*24 საათი*

INTERNATIONAL IDEA INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

გამოიცა ნაშრომი "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში"

საერთაშორისო IDEA-ს პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
საქართველოში დემოკრატიის ფართომასშტაბიანი შეფასების პირველი მცდელობა

არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის" (საერთაშორისო IDEA-ს) სამხრეთ კავკასიის პროგრამამ ქართველ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან ერთად გამოაქვეყნა 12 სადისკუსიო მასალა და დებატების დღის წესრიგი თემაზე "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში". ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე დიალოგის, საკონსულტაციო და ანალიტიკური პროცესის შედეგს, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი მოქმედი პირები უზრუნველეყო ფიქრის, მსჯელობის, ანალიზისა და დებატების შესაძლებლობით, რათა დახმარებოდა მათ შეეფასებინათ დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

ამ ნაშრომის ასლი შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო IDEA-ს თბილისის წარმომადგენლობაში: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი, 380093, საქართველო, ტელ: 334081, ფაქსი: 334163, ელ-ფოსტა idea@cipdd.org, მობილური: 899 230145, დოკუმენტი ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი ვებ მისამართიდან: http://www.idea.int/southcaucasus/papers.htm

პუბლიკაციის ოფიციალური პრეზენტაცია შედგება 2003 წლის 22 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქ. თბილისში, სასტუმრო მარიოტის საკონფერენციო დარბაზში

ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. დემოკრატიის დამკვიდრების მდგომარეობა საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე
2. კონსტიტუციური სისტემა საქართველოში, [illegible], გია ნოდია
3. რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, დავით ლოსაბერიძე
4. საარჩევნო პროცესები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გია ნოდია
5. ძალოვანი სტრუქტურები, [illegible] საქართველოში, დავით დარჩიაშვილი და გია ნოდია
6. ადამიანის უფლებები საქართველოში, თინა ხიდაშელი, არნოლდ სტეპანიანი, დავით ზურაბიშვილი, ლელა ხომერიკი
7. დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარება საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე, მარინა მუსხელიშვილი, ნანა სუმბაძე
8. დემოკრატიზაცია საქართველოში: ეკონომიკური გარდაქმნები და სოციალური დაცვა, მარინა მუსხელიშვილი, ანა ახვლედიანი
9. ეთნიკური კონფლიქტები და განსხვავებული რეგიონები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გიგი თევზაძე
10. საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები, თამარ ბერეკაშვილი, დავით ლოსაბერიძე, დავით მელუა, გია ნოდია
11. საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე, ჯანა დევდარიანი
12. საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში, დავით დარჩიაშვილი

საერთაშორისო IDEA-ს სათაო ოფისი:
სტოკჰოლმი, 10334, სტოკჰოლმი, შვედეთი, ტელ: 46 8 698 3700, www.idea.int
სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა: ტერიანის ქუჩა 83, 375009, ერევანი, სომხეთი, ტელ/ფაქსი: 374 1 56 54 84, ელ-ფოსტა: idea@arminco.com

## "თელასი" "სახელმწიფო ელექტროსისტემაზე" კბილებს ილესავს

მაია ურუშაძე

გუშინ "თელასის" "რაოელმა" მენეჯერებმა ტრადიციული ბრიფინგი გამართეს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თბილისის ელექტრომომარაგება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მიზეზებით თუ შეფერხდება.

**"ენგურჰესიდან ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. გადაჭრილია ყველა ფინანსური პრობლემა, რაც რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტსა და თბოენერგიის გამომუშავებას უკავშირდება,"** – განაცხადა "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა. გარდა ამისა, თბილისის ელექტრომომარაგებაში უმნიშვნელოვანესი როლის მქონე ქვესადგურებს – დიდუბესა და ლისს "თელასი" აკონტროლებს. მისივე განკარგულებაშია სომხეთთან მაკავშირებელი ხაზი "ალავერდი" და, რაც მთავარია, თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკი, რომელმაც ზამთარში საბაზო ელექტროენერგია უნდა გამოიმუშაოს.

ხაზ "ალავერდის", დიდუბისა და ლისის ქვესადგურების იჯარით გადაცემის შესახებ "თელასსა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის გაფორმებული მემორანდუმი ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მას საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია დაამტკიცებს. მიკოლაიუნასის განცხადებით, ამის შემდგომ "თელასი" ხაზის და ქვესადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად ტენდერს გამოაცხადებს. მიკოლაიუნასის განცხადებით, ობიექტების რეაბილიტაციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები თბილისში მალე ჩამოვა, რამდენიმე კვირაში რეაბილიტაცია დამთავრდება და სომხეთიდან დენის იმპორტიც დაიწყება. "თელასს" სომხეთთან დენის მოწოდებაზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვს.

**"ამიერიდან თბილისის შეუზღუდავ ელექტრომომარაგებას ხელს მხოლოდ ორი რამ თუ შეუშლის: ენგურჰესსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე მომხდარი ავარიები ან "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ დაშვებული შეცდომები,"** — განაცხადა მიკოლაიუნასმა.

## გამგებელ-გუბერნატორების "გსეკ"-თან დაპირისპირება გრძელდება

*"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა" (გსეკ) და ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება. "გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი პრეზიდენტის რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთის მხარეში გელა კვარაცხელიას "არმენერგოსთან" მიმდინარე მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობაში ადანაშაულებს.*

მაია ურუშაძე

მას შემდეგ, რაც გელა კვარაცხელიამ "გსეკ"-ის ხელმძღვანელობა ობსტრუქციაში დაადანაშაულა, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობა პრეზიდენტის რწმუნებულის სომხეთში ვიზიტის დეტალებზე ალაპარაკდა. **"გელა კვარაცხელია ჩავიდა ერევანში და ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ თითქმის დასრულებული მოლაპარაკებების თავიდან დაწყება დაგვჭირდა,"** — განაცხადა დევიდ სორნტონმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. არადა, სორნტონის განცხადებით, "არმენერგოსთან" "გსეკ"-ის მიერ წარმოებული მოლაპარაკებები სწორედ სამცხე-ჯავახეთის რაიონების – ნინოწმინდისა და ახალქალაქის უწყვეტ ელექტრომომარაგებას ეხებოდა.

ენერგოკომპანიის ფინანსური მრჩევლის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, სავსებით გაუგებარია კვარაცხელიას ამგვარი ქმედება. მით უმეტეს, რომ "გსეკ"-ს ნინოწმინდა-ახალქალაქის ჩართვის თაობაზე განარგულება გაცემული აქვს, თუმცა რაიონები მაინც ჩაბნელებულია.

**"კვარაცხელიას ურჩევნია, იმაზე იზრუნოს, რომ ამ რაიონების ელექტრომომარაგება "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მხრიდან არ შეფერხდეს,"** – განაცხადა "გსეკ"-ის მრჩეველმა "24 საათთან" საუბრისას. მისი თქმით, "გსეკ" შეცდომაში შეიყვანეს, როცა დაარწმუნეს, რომ ნინოწმინდისა და ახალქალაქის ელექტრომომარაგებისთვის ერთადერთი გზა სომხეთიდან იმპორტი იყო. **"თუ პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სამცხე-ჯავახეთში ჩასვლის დროს ნინოწმინდასა და ახალქალაქში ელექტროენერგია ჩაირთო, ეს ნიშნავს, რომ სისტემას ამის შესაძლებლობა გააჩნია, მაგრამ არ იყენებს,"** - განაცხადა მან.

ნინოწმინდა და ახალქალაქი "გსეკ"-ის ერთ-ერთი საუკეთესო გადამხდელი ფილიალებია. მიუხედავად ამისა, სექტემბერში ნინოწმინდის ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილმა ფილიალმა კომპანიაში მოხმარებული დენის საფასურის მხოლოდ 46 პროცენტი გადაიხადა, ხოლო ახალქალაქმა - 40 პროცენტი.



"გსეკ"-ის მრჩეველი კვარაცხელიას საქციელით გაოცებულია.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

ამ რაიონებში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების შედარებით მაღალი დონე იმითაც არის განპირობებული, რომ მათ რამოდენიმე წლის მანძილზე დენით "არმენერგო" ამარაგებდა. ელექტროენერგიის მოწოდების წინაპირობა კი 100-პროცენტიანი გადახდის უზრუნველყოფა იყო. მაშინ მოსახლეობის მიერ გადახდილ თანხას პირდაპირ "არმენერგოს" (ადგილობრივი ელექტროგამანაწილებელი ქსელები სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გვერდის ავლით) უხდიდნენ. სხვათა შორის, ამ რაიონების ელექტრომომარაგებასთან არის დაკავშირებული საკმაოდ გახმაურებული "აშოცკი-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზის ისტორიაც, რომელიც, კონტროლის პალატის ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ამ რაიონების ელექტრომომარაგების მიზნით, უკანონოდ აშენდა.

### მოკლედ

**თბილისი.** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი დღეს გერმანიიდან მოსკოვში გადაფრინდება. გუშინ საღამოს, გერმანიაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისთვის 35 მილიონი ევროს კრედიტის გამოყოფის შესახებ. კრედიტის ათვისებას ქართული მხარე მომავალი წლიდან დაიწყებს. მისი ნაწილი ვარციხეჰესის კასკადის რეაბილიტაციას მოხმარდება. მინისტრის მოსკოვში ვიზიტის მიზანი რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყება იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანი აცხადებს, რომ TRACECA-ს პროგრამის სრულფასოვანი რეალიზაციისათვის აუცილებელია ყარსი-გიუმრი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაცია. მისი თქმით, თურქეთის პოზიციის გამო ამ მარშრუტის უმოქმედობა შეუძლებელს ხდის ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სრულყოფილ ფუნქციონირებას. ამ გზაზე ძირითად წინააღმდეგობად კვლავ რჩება აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან სომხეთის სატრანსპორტო ბლოკადა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ დროთა განმავლობაში (თუნდაც TRACECA-ს ფარგლებში) ეს ქვეყნები სომხებს თავისი კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობას მისცემენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბაჟოს ავსტრიელ და ჰოლანდიელ ექსპერტთა ჯგუფი თბილისში შაბათს ჩამოვა და 24 ოქტომბრამდე საბაჟო დეპარტამენტში სწავლებებს გამართავს. დეპარტამენტის ინფორმაციით, 17 ოქტომბერს, მმართველი კომიტეტის სხდომაზე, ევროკომისიის პროექტის - "საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან" - მიმდინარეობა განიხილება, რომელიც უკვე დასრულების სტადიაშია. მზად არის ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შესაბამის ინსტანციებში ტესტირების შემდეგ წარედგინება პარლამენტს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის პრემიერმა რაულ ხაჯიმბამ სოხუმში მიიღო თურქეთის ფინანსთა ყოფილი მინისტრი ზეკერიატ ემიზელემი, წარმოშობით ეთნიკური აფხაზი. მან შეხვედრისას განაცხადა, რომ აფხაზეთში არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, განსაკუთრებით კი საკურორტო ბიზნესის განვითარება, თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი და აფხაზებს საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება ურჩია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" მეგზევეთა სამთავრობათაშორისო საბჭოს რიგით 21-ე სხდომა მიმდინარეობს. სხდომა საქართველოში პირველად ტარდება და მასში დსთ-ს წარმომადგენლები მონაწილეობენ. სხდომის მნიშვნელობაზე საუბრისას ხაზი გაესვა საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების, საგზაო სისტემის ინტეგრირების, ევროპისა და აზიის მონაკვეთში საგზაო კორიდორის უსაფრთხოების დაცვის საკითხებს, რაც, ქართველი მეგზევეების აზრით, "აბრეშუმის გზის" წარმატებულად განხორციელების წინაპირობაა. მეგზევეთა სამთავრობათაშორისო საბჭოს სხდომების ტრადიციას საფუძველი 11 წლის წინ ჩაეყარა. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

#### "პროქტერ ენდ გემბლი" კბილის პასტის გამო ჩივის

მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოში დაიწყო "პროქტერ ენდ გემბლის" როსპატენტის წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსმენა. "პროქტერ ენდ გემბლი" მიიჩნევს, რომ "ტორნ-კოსმეტიკის" მიერ წარმოებული კბილის პასტა "ბელამედი" "პროქტერ ენდ გებმლის" ცნობილი "ბლენდ-ა-მედის" ასლია. კომპანიამ უკმაყოფილება პირველად 1998 წელს, "ბელამედის" გამოჩენისთანავე გამოთქვა, მაგრამ მაშინ როსპატენტმა ეს სავაჭრო ნიშანი "ტორნ-კოსმეტიკს" შეუნარჩუნა. "პროქტერ ენდ გემბლის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსული კლონის არსებობა მათი პროდუქციის გასაღებას ხელს არ შეუშლის, "მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ღირსების საქმეა."

#### აშშ-მ ემისიაში ფერადი 20-დოლარიანი კუპიურები გაუშვა

გუშინ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მიმოქცევაში ახალი მოდელის 20-დოლარიანი კუპიურები გაუშვა. ახალი ბანკნოტების ძირითადი თავისებურება გაფორმების ფერადი ელემენტებია. თუ ადრე ამერიკული ფული, ძირითადად, მწვანე ფერის ტონებს შეიცავდა, ახლა მას ლურჯი და ყვითელი ტონებიც შეემატა. ბანკნოტების დამამზადებლის – გრავირებისა და ბეჭდვის ფედერალური ბიუროს მტკიცებით, ახალი ბანკნოტები "აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დაცული კუპიურებია." დაცვის მთავარ საშუალებად კვლავ რჩება ბანკნოტებში ჩაწებებული წყლის ნიშნები და მელანი, რომელიც მზერის კუთხის მიხედვით იცვლის ფერს. ბანკნოტის ერთ მხარეზე, ძველებურად, აშშ-ის მე-7 პრეზიდენტის ენდრიუ ჯექსონის პორტრეტია, მეორე მხარეს – თეთრი სახლი.

### მონიტორინგი

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | 8 ოქტომბერი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| [illegible] | 809.44 | 705.77 | 87% | 0.48 |
| [illegible] | 598.7 | 585.88 | 98% | 0.26 |
| [illegible] | 477.24 | 406.72 | 85% | 0.25 |
| [illegible] | 178.31 | 168.89 | 95% | 0.16 |
| [illegible] | 34.83 | 30.66 | 88% | 0.04 |
| [illegible] | 176.56 | 169.04 | 96% | 0.33 |

## გლობალური ეკონომიკა უმძიმეს კრიზისს განიცდის

ადამ მჭედლიძე

ჯერჯერობით, არანაირი საფუძველი არა არის, რომ გლობალურ ეკონომიკაში ვითარების გამოსწორებას ველოდოთ. ასეთი არადამაიმედებელი დასკვნაა გაკეთებული გაერო-ს მიერ ვაჭრობის განვითარებაზე გაკეთებულ ყოველწლიურ ანგარიშში. მოხსენების მიხედვით, მსოფლიოში მეტისმეტად ბევრი უმუშევარი და ცოტა სამუშაო ადგილია, მეტისმეტად ბევრი საქონელია და ცოტა მყიდველი. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ აშშ - მსოფლიო ეკონომიკის უპირობო ლიდერი - თავად იმყოფება კრიზისში და დანარჩენ მსოფლიოს მისი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამერიკა კიდევ რამდენიმე წელიწადს ვერ შეძლებს, საკუთარ თავზე აიღოს ის ამოცანა, რომელიც ადრე არაერთხელ გადაუჭრია - ჭაობიდან ამოიყვანოს მთელი მსოფლიო.

აშშ-ის ფედერალური რეზერვის მიერ განაკვეთების მეთოდური დაწევის მიუხედავად, ამერიკის მუშახელის ბაზარი "ერთობ მძიმე მდგომარეობაშია," - ნათქვამია გაერო-ს ანგარიშში. აშშ-ის ეკონომიკა ერთობ დაუბალანსებელია. მდგრადი აღმავლობა, რომელსაც მთელი საქმიანი სამყარო დიდი ხანია ელის, ჯერჯერობით, არ ჩანს. ახლო მომავალში მოსალოდნელია მხოლოდ უმნიშვნელო და არასტაბილური ეკონომიკური ზრდა, რომლის იმედად დანარჩენი მსოფლიო ვერ იქნება.

ასეთ ვითარებაში ლიდერის როლს საკუთარ თავზე ნამდვილად ვერ აიღებენ ევროპა და იაპონია, რომლებიც აშშ-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. ძველ კონტინენტზე სამომხმარებლო აქტივობა ერთობ დაბალია, სამთავრობო ხარჯებზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი. ამომავალი მზის ქვეყანა კი ათ წელიწადზე მეტია, რაც სტაგნაციაში იმყოფება.

საუბარი აღარ არის "მილენიუმ გროუს თარჯეთზე" (ათასწლეულის ზრდის მიზნები), რომლის მიხედვითაც, 2015 წელს სიღარიბის მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში უნდა განახევრდეს. გაერო აღიარებს, რომ ეს ჩანაფიქრი ახლანდელი გადასახედიდან სრულიად არარეალურია.

ანგარიშში ნათქვამია:

2003 წელს ევროპაში ისევ 1-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდება, რისი მიზეზიც წამყვან ეკონომიკურ ქვეყნებში დაბალი მოთხოვნილება იქნება;

იაპონიაში დაბალი ინვესტიციების გამო ზრდა თითქმის ნულოვანი იქნება;

90-იან წლებში, ბაზრებზე უცხოური კაპიტალის დაშვების შემდეგ, ლათინურმა ამერიკამ მთელი ათწლეული დაკარგა;

აფრიკაზე გლობალურ ეკონომიკურ ჩავარდნას დიდი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ძირითად საქონელზე დაბალი ფასები მოწმობს, რომ აქ არანაირი პროგრესი არაა მიღწეული;

განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთის ჩათვლით) საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 2002 წელს 3,3 პროცენტი შეადგინა 2001 წლის 2,4 პროცენტთან შედარებით. მაგრამ გაცილებით დაბალი იყო 1990 წლის 4,8-პროცენტიან მაჩვენებელზე.

გლობალური ეკონომიკის ზრდამ გასულ წელს 1,9 პროცენტი შეადგინა.

წელსაც, დაახლოებით, ამგვარ მაჩვენებელს უნდა ველოდოთ.

გაერო გამოსავალს ვერ ხედავს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში. მისი ექსპერტების აზრით, მანამდე ადგილობრივად - სახელმწიფოებში უნდა მოხდეს სამუშაო ადგილების შექმნა. ამის გარეშე გლობალიზაციასა და სავაჭრო ბარიერების მოხსნას თითქმის არანაირი აზრი არ ექნება.


## დოკუმენტების კონტროლის კლერკი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს დოკუმენტების კონტროლის კლერკის თანამდებობის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

დოკუმენტების კონტროლის კლერკის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- პროექტის მენეჯმენტის საქართველოს ჯგუფის დოკუმენტების კონტროლთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის წარმართვა და ადმინისტრირება;
- ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემების (EDMS) ადმინისტრირება;
- პროექტის მონაწილეებისათვის მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება, არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის სრულად და ეფექტურად დამუშავება და გავრცელება;
- InfoWorks-ის მაღალკვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომლის მეშვეობით, დოკუმენტების კონტროლიორი უშუალოდ აგებს პასუხს საქართველოში მყოფ მომხმარებელთა შეუფერხებელ მომსახურებაზე;
- ITS ჯგუფის დახმარება InfoWorks-ზე შიდა მოთხოვნილების განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება სამუშაო ნაკადების და ცვლილებების დამახასიათებელი საკმარისი დოკუმენტაციის მიწოდებით, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ მომსახურებას ITS-ის მხრიდან;
- პერიოდული შეხვედრების გამართვა და ტრენინგების ჩატარება სისტემის მომხმარებლებისათვის, მათი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით;
- თანამშრომლობა დოკუმენტების კონტროლის ლონდონის ჯგუფთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტების და მონაცემების სრულყოფილი გადაცემა ექსპლოატაციის ჯგუფისათვის, როგორც ეს "მოთხოვნათა განაცხადში" (SOR) არის ჩამოყალიბებული;
- სამოქმედო გეგმების შემუშავება პრობლემური სფეროების დარეგულირების მიზნით;
- საინჟინრო-ტექნიკური სტანდარტების, სპეციფიკაციების და მონაცემების ბიბლიოთეკის შექმნა და წარმოება პროექტის საქართველოში მომუშავე ჯგუფის დახმარების მიზნით;
- ინფორმაციის ოპერატიული დანომვრა, შენახვა და სისტემისთვის მიწოდება ან სისტემიდან გამოძახება;
- საჭიროების შემთხვევაში, სისტემის მოძველებული ინფორმაციისაგან გათავისუფლება;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

ზოგადად დოკუმენტების კონტროლის ყოველდღიური მოვალეობები როგორც შიდა, ისე საგარეო მომხმარებლების წინაშე ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან გამომდინარეობს.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- მინიმუმ 1 წლის გამოცდილება დოკუმენტების კონტროლის სფეროში;
- დოკუმენტების მენეჯმენტის კურსი ან გამოცდილება ანალოგიურ სფეროში;
- აუცილებელია Microsoft Products-თან მუშაობის გამოცდილება;
- უპირატესობად ჩაითვლება ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემასთან მუშაობის ცოდნა და კვალიფიკაცია ნავთობქიმიის დარგში;
- წერითი და სამეტყველო ინგლისური (ქართული), რუსული ენების კარგად ფლობა;
- ინგლისურ ენაზე კითხვის, ინფორმაციის გაგების და მეტყველების უნარი ყველა რანგის პერსონალის წევრებთან, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით;
- პროგრამების - InfoWorks და Documentum Products - ცოდნა;
- დოკუმენტების კონტროლის პროცედურების ღრმა ცოდნა და თანამშრომლებზე სამუშაო მითითებების გაცემის უნარი, პროცედურების შემდგომი გაკონტროლების უზრუნველყოფის მიზნით;
- დანომვრის, შენახვისა და დაარქივების პროცედურებში გათვითცნობიერების მაღალი დონე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38



## ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, დანერგვა და მართვა;
- შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეულიოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;
- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;
- მიღებული მომსახურების ანგარიშფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;
- წერილობითი დოკუმენტაციის მომზადებისა და დაარქივების პასუხისმგებლობა;
- საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;
- მგზავრობისა და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;
- ხელმძღვანელის / დეპარტამენტის შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
- ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange - სრულყოფილი ფლობა.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

## აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას აპირებს

აშშ-ს კონგრესის ქვედა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სირიის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ. მოსალოდნელია, რომ ამ გადაწყვეტილებას ორივე პალატა უახლოეს მომავალში დაამტკიცებს.

თეთრი სახლიც, რომელიც აქამდე სანქციების წინააღმდეგი იყო, ამჯერად აცხადებს, რომ დრო მოვიდა, დამასკომ პასუხი აგოს.

პასუხისგებას კი სირიას ორი "დანაშაულის" გამო სთხოვენ: სირიის გავლით ბევრი არაბი მებრძოლი აღწევს ერაყში, სადაც ისინი ამერიკელებს ებრძვიან და სირია კვლავაც პალესტინური ექსტრემისტული ორგანიზაციების თავშესაფრად რჩება.

რამდენიმე დღის წინ ისრაელის ავიაციამ სირიაში მდებარე ლტოლვილთა ბანაკიც დაბომბა, იმის გამო, რომ თელ-ავივის მტკიცებით, იქ ტერორისტთა მოსამზადებელი ბაზა მდებარეობდა.

ადრე თეთრი სახლი სირიის წინააღმდეგ სანქციების დაწესების წინააღმდეგი იყო, რადგან ვაშინგტონი შიშობდა, რომ ეს ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესს და ალ-ქაიდას წინააღმდეგ დაწყებულ თანამშრომლობას ხელს შეუშლიდა. სამაგიეროდ, ადმინისტრაცია სირიისაგან მოითხოვდა, რომ მას ტერორიზმთან ბრძოლა გაეაქტიურებინა.

ახლა კი, როგორც ჩანს, ვაშინგტონმა იმედი დაკარგა, რომ სირიას დაიყოლიებდა.

თუ გადაწყვეტილება გავიდა, ამერიკულ კომპანიებს სირიისათვის ორმაგი დანიშნულების (სამხედრო-სამოქალაქო) საქონლის მიყიდვა აეკრძალებათ. გარდა ამისა, ადმინისტრაციას უფლება მიეცემა, გაწყვიტოს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობები, აკრძალოს სირიაში ინვესტირება ან ამერიკის ბანკებში განთავსებული სირიული ანგარიშები გაყინოს.

ამ გადაწყვეტილების კომენტირებისას, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა გადაწყვიტა, რომ სირია უკან დახევასა და პალესტინური ორგანიზაციების გაძევებას არ აპირებს, რადგან მათ ტერორისტებად არ მიიჩნევს. რაც შეეხება სანქციებს, ასადის თქმით, ისინი სირიას კი არა, ამერიკულ კომპანიებს დააზარალებს.

## ავღანური დაჯგუფებები დაზავდნენ

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ორ ავღანურ სამხედრო დაჯგუფებას შორის ცეცხლის შეწყვეტა გამოცხადდა. ატა მოჰამედის და გენერალ შაჰ დუსტუმის დაჯგუფებები ერთმანეთთან ბრძოლას დიდი ხნის მანძილზე აგრძელებდნენ.

ქალაქ მაზარი შარიფში გამართული მოლაპარაკების დროს, რომელსაც ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ალი აქბარ ჯალილი, გაერო-ს წარმომადგენლები და დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ელჩები ესწრებოდნენ, დაჯგუფებათა ლიდერებმა ცეცხლის შეწყვეტის და მშვიდობის დამყარების თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს.

ატა მოჰამედის თქმით, სამთავრობო დონეზე ასევე შეიქმნა კომისია, რომელმაც დაჯგუფებათა შორის სისხლისღვრის დაწყების მიზეზები უდა გამოიძიოს. ატა მოჰამედი და შაჰ დუსტუმი ერთმანეთს თალიბთა რეჟიმის დამხობის დღიდან ებრძვიან. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ამ ბრძოლის მიზეზი ოპიუმის პლანტაციების გადანაწილება იყო.

ამ შეთანხმების მიღწევის პარალელურად, მათ დაჯგუფებებს შორის ავღანეთის ჩრდილოეთში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. აღსანიშნავია, რომ შაჰ დუსტუმიც და ატა მოჰამედიც პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის უჭერენ მხარს.

ატა მოჰამედმა სააგენტო "ასოშეიტედ პრესთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ბრძოლების შედეგად 60-ზე მეტი მებრძოლი დაიღუპა ორივე მხრიდან.

ბოლო დროს, მათ შორის დაპირისპირებამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ავღანეთის პრობლემაში ჩართული საერთაშორისო უწყებების შეშფოთება გამოიწვია. ამასთანავე, ჰამიდ კარზაის მთავრობის მიზანს დამოუკიდებელი დაჯგუფებების განიარაღება და ერთიანი არმიის შექმნა წარმოადგენს. გუშინ მიღებული შეთანხმება ამ პუნქტსაც ითვალისწინებს, თუმცა დამკვირვებლები ამას სკეპტიკურად უყურებენ.

# ინდონეზიაში ტრაგედიას 51 მოწაფე გოგონა შეეწირა


ავარიის შედეგად 51 მოწაფე ცოცხლად დაიწვა.

REUTERS

ინდონეზიაში გუშინ ტრაგედია დატრიალდა. სასკოლო ავტობუსის ავარიის შედეგად, სულ ცოტა, 54 ადამიანი დაიღუპა. მათი უმრავლესობა სკოლის მოწაფე გოგონები არიან.

ისინი კუნძულ ბალიზე ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ. უკან დაბრუნებისას, აღმოსავლეთ იავას რეგიონში ავტობუსი სატვირთო მანქანას შეეჯახა, ხოლო თავად ავტობუსს უკანიდან მსუბუქი ავტომობილი შეასკდა. ავტობუსი ცეცხლის კვამლში გაეხვია, ხოლო მისი მგზავრები მახეში აღმოჩნდნენ, რადგან კარები არ გაიხსნა. დაბნეულმა ბავშვებმა ცეცხლმოკიდებული ავტობუსიდან გამოძრომა ვერ მოახერხეს. ამის შედეგად, 51 მოწაფე ცოცხლად დაიწვა. მათ გარდა, ასევე დაიღუპა ორი მასწავლებელი და ექსკურსიამძღოლი. ვინც გადარჩა, მათი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ვარაუდობენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

რაც შეეხება მძღოლს და მის თანაშემწეს, ისინი გადარჩნენ, მაგრამ ბავშვების გადარჩენა ვერ მოახერხეს. მათი თქმით, ცეცხლი ძალიან სწრაფად გავრცელდა და მთელ ავტობუსს მოედო. ასევე გადარჩა სატვირთო ავტომანქანის მძღოლი, რომელიც ტრაგედიის ადგილიდან მაშინვე მიიმალა. ინდონეზიის პოლიციამ მასზე საყოველთაო ძებნა გამოაცხადა. ინდონეზიაში გლოვა გამოცხადდა.

**"ეს ყველაზე საშინელი კატასტროფაა, რაც მე მინახავს,"** - განაცხადა ადგილობრივი პოლიციის შეფმა. **"ჩვენ ამჟამად თვითმხილველების დაკითხვას ვაწარმოებთ. ვცდილობთ, მომხდარის ზუსტი სურათი აღვადგინოთ,"** - დასძინა მან.

დაღუპული მოწაფე გოგონები იკოგიკარტას სკოლაში სწავლობდნენ. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, მთელი სკოლა შოკშია. სწავლა შეწყვეტილია.

ინდონეზიაში, გზების ცუდი მდგომარეობის და მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობის გამო, ავარიები ხშირად ხდება, მაგრამ ყველა აცხადებს, რომ ეს ტრაგედია ყველაზე სისხლიანი და საშინელი იყო.

# ბელარუსი საკუთარ გაზსადენს არ თმობს

ოლეგ ვოლკოვი,
IWPR მინსკი

ბელარუსი ცოცხალი თავით არ აპირებს, რამე დაუთმოს რუსეთს გაზსადენებთან დაკავშირებით წამოჭრილ დავაში. კომპრომისზე წასვლის ნაცვლად, მინსკი კონტრშეტევაზე გადავიდა და აცხადებს, რომ თუ მოსკოვი ზეწოლას არ შეწყვეტს, მაშინ ბელარუსის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზებისათვის რუსეთს ქირის გადახდა მოუწევს.

მოსკოვი მოითხოვს, რომ ბელტრანსგაზმა და გაზპრომმა ერთობლივი საწარმო შექმნან, რომელსაც ბელარუსის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენები გადაეცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვი აცხადებს, რომ მინსკს გაზის ყიდვა საერთაშორისო ფასებით მოუწევს.

რუსები იმუქრებიან, რომ ფასს სამჯერ გაზრდიან. ამ შემთხვევაში ბელარუსს იმდენივეს გადახდა მოუწევს, რასაც პოლონეთი იხდის – ათას კუბურ მეტრზე 80 დოლარის.

გაზის ფასის აწევა ბელარუსის ეკონომიკას მძიმე პრობლემებს შეუქმნის. "თუ ბელარუსს იმავე ფასის გადახდა მოუწია, რასაც პოლონეთი იხდის, ეს ისედაც ძალიან ცუდ საგადამხდელო ბალანსს კიდევ უფრო გააუარესებს," – აცხადებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ემისარი მინსკში.

ექსპერტების აზრით, თუ მოსკოვი მუქარას სისრულეში მოიყვანს, ბელარუსი მაშინვე მოითხოვს გადასახადს მის ტერიტორიაზე განლაგებული ვილეისკაიასა და ვოლგას სარადარო სადგურებისათვის. ეს უკანასკნელი რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

იმის თეორიული შესაძლებლობაც კი, რომ მოსკოვმა შეიძლება ეს ბაზები დაკარგოს, საკმაოდ მძლავრი ბერკეტია რუსეთზე ზეწოლისათვის, – მიიჩნევენ ბელარუსი ექსპერტები.

მინსკმა უკვე დაამტკიცა, რომ, როცა საჭიროა, თავის ძლიერ მეზობელზე ზეწოლასაც არ მოერიდება.

სექტემბრის დასაწყისში ეკონომიკურმა სასამართლომ რუსულ კომპანია "სლავნეფტს" მოზერის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ჩადებული ფული გაუყინა. კომპანია ამჟამად გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს.

მოსკოვი სულ უფრო დაჟინებით ცდილობს, ბელარუსის ტერიტორიაზე გამავალ 1300 კილომეტრიან გაზსადენს დაეპატრონოს.

ბიშკეკის 1992 წლის შეთანხმების შედეგად, საბჭოთა კავშირის კუთვნილი ქონება იმ რესპუბლიკებს გადაეცა, რომელთა ტერიტორიაზეც ის მდებარეობდა. მაშინ ბელარუსს სტრატეგიული მილსადენი არც გახსენებია. გასულ წელს, მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაცივდა, ბელარუსი თავისი კუთვნილი ქონების დაბრუნებას ითხოვს.

მაგრამ რუსეთი არაფრის დაბრუნებას არ აპირებს. "ეს ქონება, ბიშკეკის ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ გვეკუთვნის და ამ საკითხის გადახედვას არ ვაპირებთ, – აცხადებს რუსეთის პრემიერი მიხაილ კასიანოვი, – ჩვენ, აგრეთვე, მხარს დავუჭერთ "სლავნეფტს" თავისი ინტერესების დაცვაში."

ადგილობრივი მიმომხილველები შიშობენ, რომ მოსკოვთან ჭიდილში ბელარუსმა უკვე მეტისმეტად შორს შეტოპა, რაც მას კარგს არაფერს მოუტანს. "ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი რუსეთში იყიდება. მთავრობა არ უნდა მოიქცეს ისე, რომ რუსეთს თავისი ბაზრის ჩაკეტვის საბაბი მისცეს," – ამბობს ადგილობრივი ექსპერტი ვალერი სურიაევი.

სხვა ექსპერტები ამბობენ, რომ აშკარა კონფრონტაციამდე საქმე არ მივა. უბრალოდ, ორივე მხარე აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს: საკუთარ ინტერესებს ბოლომდე იცავს.

# გერმანიასა და რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირები ღრმავდება


გერჰარდ შრიოდერი და ვლადიმირ პუტინი ეკატერინბურგში.

REUTERS

გუშინ რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში რუსეთის და გერმანიის ლიდერების შეხვედრა გაიმართა. სამიტში ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა გერმანიასა და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ასეთი შეხვედრები გერმანიასა და რუსეთს შორის 1998 წლიდან ყოველწლიურად იმართება.

შეხვედრაზე გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკა კარგი ტემპებით ვითარდება, რაც რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდას ხელს უწყობს.

**"2003 წლისათვის ჩვენ რეკორდული დონის მიღწევის შანსი გვაქვს,"** - აღნიშნა შრიოდერმა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის 2003 წლის პირველ ნახევარში სავაჭრო ბრუნვამ 12 მილიარდი ევრო შეადგინა. შარშან კი ამ მაჩვენებელმა 24,3 მილიარდ ევროს მიაღწია.

რეკორდული მაჩვენებლის მისაღწევად, გერჰარდ შრიოდერმა ორივე ქვეყნის ბიზნესმენებს ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებისაკენ მოუწოდა.

თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობას სტრატეგიული ხასიათი გააჩნია, რადგანაც მათი პარტნიორობა შორსმიმავალ მიზნებს ემსახურება.

პუტინს არ გამორჩენია იმის აღნიშვნა, რომ რუსეთში ინვესტიციების მოცულობით გერმანია უპირობო ლიდერს წარმოადგენს.

შეხვედრაზე მხარეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ჩრდილოეთ ევროპული გაზსადენის მშენებლობას, რომელმაც ბალტიის ზღვის ფსკერზე უნდა გაიაროს. ამ პროექტის ღირებულება 6 მილიარდ ევროს შეადგენს.

**"მუშაობა შეთანხმების გასაფორმებლად თითქმის უკვე დასრულებულია. შეთანხმებას შესაძლოა უახლოეს ორ-სამ დღეში მოეწეროს ხელი,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

ამ პროექტის მოკლე დროში განხორციელების იმედი გერჰარდ შრიოდერმაც გამოთქვა. გაზსადენის გარდა, გერმანიის და რუსეთის ბუნებრივი აირის კონცერნები აპირებენ, მიაღწიონ შეთანხმებას ურენგოიში ბუნებრივი აირის საბადოების ათვისების საკითხზე. ამ პროექტის ღირებულება კი 700 მილიონი ევროთი არის განსაზღვრული.

მხარეები ასევე იმედოვნებენ, რომ ხელს მოაწერენ კონტრაქტებს, რომელიც პრიმორსკში მეტალურგიული საწარმოს და ელექტროსადგურის მშენებლობებს ითვალისწინებს. პირველი პროექტის ღირებულება - 400 მილიონ ევროს, ხოლო მეორესი – 500 მილიონ ევროს შეადგენს.

გარდა ამისა, გერმანია რუსეთს წყალქვეშა ნავების უტილიზაციაშიც დაეხმარება. გერმანელები მონაწილეობას იმ რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაშიც მიიღებენ, რომელმაც დასავლეთ ევროპა სამხრეთ აზიასთან უნდა დააკავშიროს.

ამასთანავე, რუსეთი დათანხმდა, რომ ავღანეთში მყოფი გერმანული სამხედრო კონტიგენტისათვის დანიშნულმა სამხედრო ტვირთებმა რუსეთის ტერიტორიაზე გაიაროს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რუსეთმა ნატო-ს წევრი ქვეყნის სამხედრო ტვირთის ტრანზიტის გატარებაზე თანხმობა განაცხადა.

საქმიან წრეებთან გამართული შეხვედრის დროს, ვლადიმირ პუტინმა ასევე განაცხადა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების მთავარ დაბრკოლებას ევროკავშირთან დაურეგულირებელი ურთიერთობები წარმოადგენს.

პუტინმა და შრიოდერმა, ეკონომიკური თანამშრომლობის გარდა, პოლიტიკურ საკითხებზეც ისაუბრეს. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ ერაყის საკითხში რუსეთსა და გერმანიას შორის უთანხმოება არ არსებობს. რაც შეეხება ჩეჩნეთს, ამ თემაზე საუბარი, როგორც ჩანს, არ გამართულა.

## ძლიერი აფეთქება ბაღდადში

პირველი გვერდიდან

**"ეს ნამდვილად კამიკაძე იყო. ჩვენ მისი თავი ვიპოვეთ. ტერორისტი წვერს ატარებდა,"** - განუცხადა სააგენტო "როიტერის" კორესპონდენტს პოლიციის მაიორმა.

**"ავტომანქანა ძალიან სწრაფად მოძრაობდა და დაცვამ მისი შეჩერება სცადა. ავტომანქანა შენობიდან 25 მეტრის მოშორებით აფეთქდა,"** - ამბობს ერთ-ერთი გადარჩენილი თვითმხილველი პოლიციელი.

გუშინვე ბაღდადის ჩრდილოეთში დაუდგენელმა პირმა აშშ-ს სამხედრო მანქანებს მართვადი რაკეტა ესროლა, რის შედეგადაც ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ ეს ტერაქტი ბაღდადში სადამის ძეგლის დამხობიდან ზუსტად ექვსი თვის თავზე მოხდა. მას შემდეგ, რაც ბაღდადზე კონტროლი ამერიკელებმა დაამყარეს და ერაყის პოლიცია პოლ ბრემერის დროებით ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს, პოლიციელებზე თავდასხმები ძალიან გახშირდა.

გუშინდელი დღე მხოლოდ ამ ტერაქტით არ დასრულებულა. დაუდგენელმა პირებმა ბაღდადში, სახლიდან გამოსვლის დროს, ერაყში ესპანეთის საელჩოს თანამშრომელი, სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერი მოკლეს. ესპანურენოვანი გაზეთის "ელ მუნდოს" ინფორმაციით, სამხედრო საჰაერო ძალების სერჟანტი ხოსე ანტონიო ბერნალი ესპანეთის ნაციონალური სადაზვერვო ცენტრის წარმომადგენელი იყო ბაღდადში. ის 31 წლის იყო და აშშ-ს ჯარების ერაყში შეჭრამდე ამ ქვეყანაში ორი წელი მუშაობდა. ომის დაწყების დროს მან ერაყი დატოვა და უკან მხოლოდ მაისში დაბრუნდა. ოფიციალური წყაროები მისი სიკვდილის მიზეზს არ ასახელებენ.

როგორც ცნობილია, ესპანეთი ერაყში ომის დაწყებას აქტიურად უჭერდა მხარს და აშშ-ს მეთაურობით შექმნილ კოალიციაში, ბრიტანეთთან ერთად, ჯერ კიდევ ომამდე შევიდა. ერაყში შეჭრა სწორედ ესპანეთში გადაწყდა, მარტის დასაწყისში, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ხოსე მარია აზნარმა ჯორჯ ბუშს და ტონი ბლერს უმასპინძლა. ამჟამად, ერაყში ესპანეთის სამხედრო ძალების 1300-კაციანი კონტინენტი იმყოფება და ისინი, ძირითადად, ბაღდადის შიიტურ რაიონებში არიან კონცენტრირებულნი.

## ყაზახეთი ჩინეთამდე მილსადენის მშენებლობას აპირებს

ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიის განცხადებით, ჩინეთის მთავრობა მზადაა, ყაზახეთ-ჩინეთის ნავთობსადენის მშენებლობა დააფინანსოს. სამუშაოები 2004 წლიდან დაიწყება და მისი ღირებულება 1 მილიარდ დოლარს აღემატება.

ეს პირველი მსხვილი მილსადენია, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნავთობს ჩინეთს მიაწვდის. ანალოგიური პროექტი რუსულ კომპანია "იუკოსსაც" ჰქონდა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ რუსულ-ჩინური მილსადენის მშენებლობა გააჭიანურა.

ყაზახეთისათვის ეს მილსადენი პირდაპირ მისწრებაა. ქვეყანა 2015 წლისათვის დღეში სამი მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტს გეგმავს (შედარებისათვის, ბაქო-ჯეიჰანი დღეში მხოლოდ ერთ მილიონ ბარელს გაატარებს), მაგრამ შესაბამისი საექსპორტო ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

"დასავლეთ ყაზახეთ-ჩინეთის მილსადენის მშენებლობა სულ უფრო რეალური ხდება. როგორც ჩანს, ნაწილობრივ, ეს "იუკოსის" პროექტის გაჭიანურების შედეგია," – განაცხადა ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიის "კაზმუნაიგაზის" დირექტორმა კაირგელდი კაბილდინმა.

"ჩვენ და ჩინეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება მომავალი წლის შუა პერიოდში ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების შესახებ," – დასძინა მან.

"თავიდან ჩინეთს წელიწადში 20 მილიონ ტონა ნავთობს მივაწვდით, საბოლოო მიზანი კი - 50 მილიონი ტონაა (1 მილიონი ბარელი დღეში)," – აცხადებს კაბილდინი. მილსადენის მშენებლობა 2006 წელს უნდა დასრულდეს. 2006-2007 წლისთვის ვარაუდობს "იუკოსი" საკუთარი მილსადენის დასრულებასაც, თუკი, რასაკვირველია, ამაზე მთავრობისაგან ნებართვას მიიღებს.

ყაზახეთს უკვე აქვს დადებული ხელშეკრულება რუსეთთან თენგიზი-ნოვოროსიისკის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ. თუკი ამას ჩინეთისათვის განკუთვნილი ნავთობიც დაემატება, არ არის გამორიცხული, ბაქო-ჯეიჰანისათვის მას ნავთობი არც დარჩეს.

## ჩინეთი აშშ-ს ეურჩება

### პეკინის მიერ დაფიქსირებული სავალუტო კურსი ექსპორტს ხელოვნურად ზრდის

ადამ მჭედლიძე

ჩინეთის პრემიერმა უენ ძიაბაომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა, გარედან ზეწოლის მიუხედავად, დაფიქსირებული სავალუტო კურსის შეცვლას არ აპირებს. ვაშინგტონის აზრით, "ხელოვნურად გაუფასურებული" იუანი, რომელიც ჩინური ექსპორტის ზრდას ხელს უწყობს, კვლავაც ახლანდელი კურსით დარჩება (1 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ - 8,28 იუანი). "ეს კურსი ბაზარზე არსებული მოთხოვნითა და მიწოდებით, აგრეთვე, ჩინეთის რეალობითაა ნაკარნახევი," – ამტკიცებს ძიაბაო.

ჩინეთის სავაჭრო პარტნიორები, უპირველესად კი – აშშ, ჩინეთის მიერ ვალუტის კურსის ამგვარი დაფიქსირებით, დიდი ხანია, უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი აზრით, პეკინმა იუანის რევალვაცია (მისი კურსის აწევა) უნდა მოახდინოს, რაც რეალობასთან უფრო მიახლოებული იქნება. ანდა, საერთოდ თავისუფალ ბაზარს მიანდოს ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის დაფიქსირება. აშშ-ს ხაზინის მდივანმა (ფინანსთა მინისტრმა) ჯონ სნოუმ ჩინეთში ვიზიტისას ამ პრობლემას დიდი დრო დაუთმო, მაგრამ როგორც ვხედავთ, ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. ერთი პერიოდი, ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა დიდი შვიდეულის ზეწოლის შემდეგ განაცხადა, რომ აუცილებლად მოხდებოდა იუანის ეტაპობრივი რევალვაცია, თუმცა არ დაუზუსტებია - ეს როდის და როგორ უნდა განხორციელებულიყო. ძიაბაოს განცხადებამ კი ახლა ყველაფერს ხაზი გადაუსვა.

ამერიკელი იურისტები, მრეწველები და პროფკავშირები პეკინის ამ პოლიტიკის გამო გაღიზიანებას აღარ მალავენ. მათი თქმით, ხელოვნურად გაუფასურებული იუანი ჩინურ პროდუქციას არაბუნებრივად კონკურენტუნარიანს ხდის და ამ ქვეყნიდან ექსპორტს ზრდის. შედეგად, აშშ-ში ზარალდება წარმოება და უმუშევრობაც იზრდება. აშშ-ს მრეწველთა ეროვნულმა ასოციაციამ ხელისუფლებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის წინააღმდეგ საჩივრის შეტანისკენაც კი მოუწოდა. მოგეხსენებათ, ჩინეთი ამ ორგანიზაციის წევრად ცოტა ხნის წინ იქცა და, ცხადია, მისი აზრი უნდა გაითვალისწინოს.

აშშ-ს პრეტენზიებს დაუსაბუთებლად მიიჩნევს საყოველთაოდ ცნობილი ეკონომისტი, პრეზიდენტ კლინტონის მთავარი მრჩეველი ეკონიმიკის დარგში ჯოზეფ შტიგლიცი. მისი თქმით, დღევანდელი ადმინისტრაცია ცდილობს, აშშ-ს ახლანდელი არნახული სავაჭრო დეფიციტი და ბიუჯეტის პრობლემები სხვას გადააბრალოს. შტიგლიცი, რომელიც კატეგორიულად ილაშქრებს ბუშისეული გადასახადების შემცირების წინააღმდეგ, ახლანდელ ვითარებას რეიგანის მმართველობას ადარებს. მისი თქმით, თავის დროზე სწორედ გადასახადების შემცირების გამოისობით, რეიგანმა "მოახერხა" ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა და დამნაშავეების ძებნა მაშინაც აშშ-ს ფარგლებს გარეთ მოხდა. კერძოდ, დადანაშაულებული იქნა იაპონია, რომელიც ისევე, როგორც დღეს ჩინეთი, ხელოვნურად სწევდა დაბლა იენის კურსს და ზრდიდა აშშ-ს სავაჭრო დეფიციტს. თუმცა, ეს შედარება, ალბათ, ცოტა უხერხულია, რადგან ჩინეთით ახლა არა მხოლოდ ამერიკაა უკმაყოფილო.

## სასიკეთო ცვლილება

### ტელეფონს გაუფრთხილებლად ვეღარ გაგვითიშავენ



*ლია მუხაშავრია აბონენტებს თავიანთ უფლებებს აცნობს.*

*საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ კანონში" გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ამიერიდან, ოპერატორს უფლება არ აქვს, აბონენტს გაუფრთხილებლად გამოურთოს ტელეფონი. დავალიანების შესახებ მან სამი დღით ადრე, წერილობით ან ტელეფონის საშუალებით, უნდა აცნობოს აბონენტს. ტელეფონის ჩართვის შემთხვევაში კი, მოქალაქე ვალდებული არ არის, ოპერატორს დამატებითი ერთი ლარი გადაუხადოს.*

თამარ დვალი

ისტორია, რომელიც თბილისში მცხოვრებ ნინო ფოცხვერაშვილს შეემთხვა, ალბათ, ბევრისთვის კარგად ნაცნობია. მიუხედავად იმისა, რომ ფოცხვერაშვილების ოჯახს ინგლისში სატელეფონო საუბარი სულ არ ჰქონია, მათ "საქართველოს ელექტროკავშირმა" 57 ლარის ოდენობის ფულადი გადასახადი დააკისრა და, თანხის გადაუხდელობის გამო, ტელეფონი გაუთიშა. სიმართლის გასარკვევად აბონენტმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს მიმართა. როგორც გაირკვა, ფოცხვერაშვილების სატელეფონო ხაზით ვიღაც მესამე პირმა ისარგებლა. თუმცა, ამის დასამტკიცებლად აბონენტს რამდენიმე თვე დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში მას სატელეფონო კავშირი შეწყვეტილი ჰქონდა.

ქალბატონმა ნინომ ვერ მონახა უწყება, რომელიც აღნიშნულ ფაქტზე პასუხისმგებლობას იტვირთებდა. "საქართველოს ელექტროკავშირის" წარმომადგენელმა, ფინანსური დირექტორის მოადგილემ, რობაქიძემ აღნიშნა, რომ ხაზი გამორთულია არა მათი ორგანიზაციის, არამედ შპს "რუსთავი 2 ონლაინის" მიერ - მათთვის მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო. თავის მხრივ, "რუსთავი 2 ონლაინმა" განაცხადა, რომ მას არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, რადგან ეს პრობლემა აბონენტისა და ოპერატორის ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს, თავად კი ვერ აკონტროლებენ, უნებართვოდ ვინ ჩაერთვება აბონენტის ხაზზე. თუკი, თქვენ ციფრული ქსელის აბონენტი ბრძანდებით, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ამგვარი სიტუაციებისაგან საუკეთესო დაცვის საშუალება გაქვთ: დააყენეთ თქვენს ტელეფონს კოდი და ვერანაირი მესამე პირი თქვენი ხაზით სარგებლობას ვერ შეძლებს.

კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა, რომ ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურების მოქმედი წესები და მეთოდები მოსაწესრიგებელია. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს დამატებითი დაცვის მექანიზმის მოთხოვნის უფლება. ამავე დროს, აბონენტი ერთ სუბიექტთან უნდა ურთიერთობდეს - იმასთან, ვისთანაც ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არ უნდა სჭირდებოდეს სხვადასხვა ოპერატორთან საკითხის გარკვევა; ოპერატორსა და მომხმარებელს შორის, ასევე, ოპერატორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ყველა მსგავს ვითარებას უნდა არეგულირებდეს.

კომისიას მიაჩნია, რომ, ერთი ოპერატორის დავალიანების გამო, მეორე ოპერატორის მიერ აბონენტის ტელეფონის გათიშვა მომხმარებლთა უფლებებს ხელჰყოფს. ამას გარდა, როდესაც მომხმარებელი ასაჩივრებს მისთვის დარიცხული მომსახურების საფასურის კანონიერებას, ოპერატორმა უნდა გააგრძელოს მომსახურების გაწევა, სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტმა ამა წლის აგვისტოში "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ კანონში" შეიტანა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, აბონენტს სახლში გაეგზავნება ფურცელი, სადაც დაფიქსირებული იქნება, რომელ ოპერატორს და რა ოდენობის გადასახადი უნდა გადაუხადოს მან.

ვინაიდან სატელეფონო ხაზი ელექტროკავშირის საკუთრებაა, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მესაკუთრე ვალდებულია, უზრუნველყოს ქონების დაცვა იმგვარად, რომ მესამე პირებმა ამ ქონებით უნებართვოდ სარგებლობა ვერ შეძლონ. ოპერატორი ვალდებულია, აბონენტს გააცნოს და განუმარტოს ხაზების დაუცველობის საკითხი, რაც უნდა აისახოს კიდეც მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

როგორც იქნა, ფოცხვერაშვილების ოჯახმა შეძლო დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. რამდენიმე თვის შემდეგ მათ სატელეფონო კავშირი აღუდგინეს. ამიერიდან, თუკი აბონენტის სიმართლე დამტკიცდება, ოპერატორებს მათთვის გარკვეული საფასურის გადახდა მოუწევთ, საპირისპირო შემთხვევაში - მოქალაქე დაჯარიმდება.

კომისიამ მიიჩნია, რომ დავალიანების დაფარვის შემდეგ ტელეფონის ხელახალი ჩართვის მომსახურება, რისთვისაც აბონენტი ერთ ლარს იხდის, წარმოადგენს არა აბონენტისათვის გაწეულ მომსახურებას, არამედ კომპანიებს შორის შეთანხმებულ და გაწეულ ურთიერთმომსახურებას. აქედან გამომდინარე, აბონენტი არ უნდა იხდიდეს ტელეფონის ხელახალი ჩართვის ერთლარიან ტარიფს. ფოცხვერაშვილების ოჯახი პირველი იყო, რომელსაც დამატებითი ერთი ლარი უკვე აღარ გადაუხდია.

## უცნაური ფეხის ნაწილი

ციმბირში მთამსვლელებმა ფეხის ნაწილი იპოვეს, რომელიც არც ერთ ცნობილ სხეულს არ ეკუთვნის. კიდური ალპინისტთა ექსპედიციამ ალტაის მთის მყინვარში, 3000 მეტრის სიმაღლეზე აღმოაჩინა. ალტაის აგრარულ უნივერსიტეტში გადაღებულმა რენდგენის სურათმა უჩვენა, რომ აღმოჩენილი ფეხი რამდენიმე ათასი წლისაა. მუხლის სახსრისა და ძვლების განლაგება მიუთითებს, რომ არსებას ორი ფეხი უნდა ჰქონოდა. ფეხის ნაწილი და ტერფი ჟღალი ბეწვითაა დაფარული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იდუმალი არსება რბილ ზედაპირზე, სავარაუდოდ, თოვლზე დადიოდა. აღმოჩენილი კიდური უკვე თოვლის ადამიანის - იეტის ნეშტად მონათლეს, თუმცა ბიოლოგები თვლიან, რომ ამის შესახებ საუბარი ნაადრევია. დასკვნას მეცნიერები დნმ-ის ანალიზის შემდეგ გააკეთებენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს, შესაძლოა, დათვის თათიც იყოს.

*ინტერ-პრესი*

## "ბერიკები" მსოფლიო თეატრალურ ფესტივალში

საბავშვო თეატრ-სტუდია "ბერიკები" მსოფლიო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობისთვის ემზადება. როგორც თეატრის რეჟისორმა გოგი თოდაძემ გვაცნობა, ფესტივალში, რომელიც ინდოეთში გაიმართება, "ბერიკები" ერთ სპექტაკლს - სენტ ეგზიუპერის "პატარა უფლისწულს" წარმოადგენს. სპექტაკლი წინასწარ შეარჩია ფესტივალის ორგანიზატორმა - თეატრის მოყვარულთა საერთაშორისო ასოციაციამ – "აიტა-იატამ". "ბერიკების" სპექტაკლმა ორგანიზატორთა დიდი მოწონება დაიმსახურა და დასი ფესტივალზე მიიწვიეს. ინდოეთის თეატრალურ ფესტივალში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალი ერთ თვეში გაიმართება.

*მედია-ნიუსი*

## რატომ ყარს ასე ვაკის პარკის მიწისქვეშა გასასვლელი?

პირველი გვერდიდან

სურათი ასეთია: მტვერი - ყელამდე, ფოთლები – მუხლებამდე; ნაყინის, კამფეტის, საღეჭი რეზინის ქაღალდები - კოჭამდე... ფეხებში აუცილებლად გაგებლანდება იქ მიმობნეული სხვადასხვა ფერის ჭუჭყიანი პარკებიდან ერთ-ერთი; ბოლო ხანს ნახმარი პამპერსების რაოდენობაც მომრავლდა, სხვა ინტიმური მოხმარების გამოყენებულ პროდუქტებზე რომ არაფერი ვთქვათ... უცნაური ის არის, რომ ამ ბოლო დღეებში იქ სხვა სახის ნაგავიც გაჩნდა – გამხმარი თაიგულები და გვირგვინები. არ ვიცი, მიცვალებული გაასეირნეს ვაკის პარკში, თუ რა მოხდა. ამ ყველაფერს ის აგვირგვინებს, რომ გასასვლელი შარდის ნაკადების სხვადასხვაგვარი ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფეკალიებით მოქარგული. ეს ყოველივე მხოლოდ ჩვენი ოთხფეხა მეგობრების დამსახურება არ გეგონოთ.

გასასვლელის შუაგულში მდებარე ფარდულები რკინის ჟალუზებითაა დაფარული. ეს ტერიტორია პრივატიზებულია და, როგორც ჩანს, პატარა ფირმებისა და მაღაზიებისთვისაა განკუთვნილი. ერთადერთი აბრიანი ფარდული გვაუწყებს, რომ იქ ტურისტული სააგენტო "ინტერსერვისჯორჯიაა" განლაგებული. თუმცა, ამ ბოლო დროს ერთთავად დაკეტილია - ამ სიბინძურეში, ეტყობა, არ აეწყოთ ბიზნესი. რადგან მათგან ვერაფერი გავიგე, ვაკის პარკის ადმინისტრაციას მივადექი, - თქვენამდე მოსასვლელი გზა ასეთი ჭუჭყიანი რომ არის, ამის შესახებ რამე ხომ არ იცით-მეთქი. არაო, - თავი შორს დაიჭირეს, - ეს ტერიტორია ჩვენ არ გვეკუთვნის და ვერაფერს მოგახსენებთო. რას იზამ, ასეთია ქართული მენტალიტეტი - სახლი იყოს სუფთა და სადარბაზო ჯანდაბას, ნაგავსაც წაუღია.



*ასე "სუფთად" გამოიყურება მიწისქვეშა გასასვლელი ვაკის პარკთან.*

ამის შემდეგ საქმის გარკვევა ქალაქის ტექნიკური კეთილმოწყობის განყოფილების გამგესთან ბატონ თემურ საქუაშვილთან ვცადე. მან სასწრაფოდ მომახსენა, რომ ტერიტორია მთლიანად "გაპრივატიზებულია" და მერიის ქონების მართვის სამმართველოში "გადამაგზავნა". აქ კი საქმის ვითარებაში ბატონმა მამუკა ჩხეიძემ გამარკვია: პრივატიზებული მხოლოდ ფარდულები შეიძლება იყოს და წინამდებარე ტერიტორიის მოვლაც მათ მეპატრონეებს ევალებათ. რაც შეეხება თავად გვირაბებს, ისინი საქალაქო მეურნეობის სამსახურის ბალანსზე ყოფილა. ამ სამსახურის უფროსმა ბატონმა ალეკო კურცხალიამ მითხრა, რომ, მართალია, გვირაბი მათ ბალანსზეა, მაგრამ მის მოსავლელად ფული ბიუჯეტიდან კეთილმოწყობის სამსახურს გამოეყოფა და, შესაბამისად, დასუფთავებაც მათ ევალებათ. ბატონმა ალეკომ ისიც თქვა, რომ ამასწინათ კეთილმოწყობის სამსახურს დიდი თათბირი ჩაუტარებია თბილისის მიწისქვეშა გვირაბების მოვლა-პატრონობის თაობაზე...

**P.S.** კარგი, ქალაქი გასასვლელს არ უვლის, მაგრამ იმასაც ხომ ვერ ვიტყვით, რომ ნაგავს იქ მერიის თანამშრომლები ძალით ყრიან? ამას წინათ ერთი პენსიონერი გულდამწვარი მიამბობდა, ჩემი თვალით ვნახე, - როგორ ეფარებოდა გასასვლელში სამი გოგო მეოთხეს, ის კი თავის საქმეს ითავებდაო... აი, მესმის მეგობრობა – უჭირდა, ალბათ, საწყალს და ამხანაგებიც მხარში ამოუდგნენ.

## "წყალკანალი" საკრებულოს ზურგსუკან მოქმედებს", - აცხადებენ "ლეიბორისტები"

*არჩევნების მოახლოებასთან ერთად სოციალური თემებისადმი პოლიტიკური პარტიების ინტერესი უფრო და უფრო იზრდება. გუშინ "ლეიბორისტებმა" "თბილწყალკანალის" "ჯენერალ დეზოსთვის" მართვის უფლებით გადაცემის საკითხი ისევ წამოწიეს და, საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა აზრიც მოიშველიეს.*

ნანა ქადაგიშვილი

"თბილწყალკანალის" მართვის უფლებით გადაცემაზე გამოცხადებული ტენდერი, თითქმის, დასრულდა. ტენდერში გამარჯვებულ ფრანგულ კომპანიასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად საკრებულოს ნებართვაა საჭირო. ამა წლის 27 ივნისს საკრებულომ აღნიშნულ საკითხზე მორატორიუმი გამოაცხადა და საკითხის საფუძვლიანად შესწავლამდე "თბილწყალკანალის" გასხვისება-იჯარით გაცემასთან დაკავშირებული ყოველგვარი ღონისძიება შეაჩერა. თუმცა, როგორც "ლეიბორისტები" ირწმუნებიან, "ჯენერალ დეზოსთან" ხელშეკრულება საკრებულოს ზურგსუკან ფორმდება. **"შევიტყვეთ, რომ ფრანგულ კომპანიასთან ხელშეკრულება 11 ოქტომბრამდე უნდა გაფორმდეს. ოქტომბერში მსოფლიო ბანკის მისია ჩამოდის, "წყალკანალის" ხელმძღვანელობამ კი "წყალკანალის" რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 25 მლნ-დან 3 მლნ. უკვე დახარჯა და, მსოფლიო ბანკმა პასუხი რომ არ მოსთხოვოს, "ჯენერალ დეზოსთან" ხელშეკრულების გაფორმებას ამიტომაც ჩქარობს,"** – აცხადებს ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრი, საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, პაატა ჯიბლაძე.

"ლეიბორისტები" ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა მოსაზრებებსაც იშველიებენ. უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების, წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრას "ჯენერალ დეზოს" სატენდერო წინადადებები შეუსწავლია და საკუთარი დასკვნა "წყალკანალისთვის" სამი თვის წინათ წარუდგენია. **"თუკი "წყალკანალი" ჯენერალ დეზოს" გადაეცემა, თბილისში წყლის ხარისხი და მომარაგება გაუარესდება, ტარიფი გაიზრდება, "წყალკანალის 1000 თანამშრომელი კი უსამსახუროდ დარჩება. თბილისი ორი სახის წყლებით - გრუნტისა და მიწისზედა, წლებით მარაგდება. გრუნტის წყალი სუფთა და ძვირფასია, ზედაპირული წყალი კი - გასაწმენდი და იაფი. "ჯენერალ დეზოს" სატენდერო წინადადებებში აქცენტი თბილისის ზედაპირული წყლებით მომარაგებაზეა გაკეთებული, გრუნტის წყლებს კი, ალბათ, გაყიდის. ამასთან, "ჯენერალ დეზო" თბილისის წყალმომარაგების სამჯერ შემცირებას აპირებს, რაც საერთოდ უწყლოდ დარჩენას ნიშნავს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ "ჯენერალ დეზო" მოსახლეობას წყლით 24-საათიანი მომარაგების გარანტიას ვერ აძლევს. მოგვეცით მსოფლიო ბანკის კრედიტი და საქმეს უცხოელებსა და "წყალკანალის" ხელმძღვანელობაზე უკეთესად გავაკეთებთ,"** – აცხადებს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების, წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრის დოცენტი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი.

"თბილწყალკანალი" აღნიშულ ბრალდებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **"ჯენერალ დეზოს" სატენდერო პირობებში გრუნტისა და ზედაპირული წყლები საერთოდ არ არის ნახსენები. სამაგიეროდ, გარკვევით წერია, რომ სარეაბილიტაციო პროექტის მიზანი მოსახლეობის 24-საათიანი და ხარისხიანი წყალმომარაგებაა. რაც შეეხება ჩვენს მიერ "უკვე დახარჯულ" 3 მილიონს, "ლეიბორისტებმა" იმდენიც არ იციან, რომ "ჯენერალ დეზოსთან" ხელშეკრულების გაფორმებამდე მსოფლიო ბანკი ერთ თეთრსაც არ გამოყოფს,"** – განმარტავს "წყალკანალის" ხელმძღვანელობა და ირწმუნება, რომ, საკრებულოსა და მერიის უნებართვოდ, "ჯენერალ დეზოსთან" ხელშეკრულებას ვერავინ გააფორმებს.

ზღვარზე

## ინვესტიციების ნაკლებობა უმუშევრობის მაჩვენებელს ზრდის

IREX

*ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, უმუშევრობის საკითხი მეტად აქტუალურია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს ორი პრობლემა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სიღარიბის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებზე "24 საათი" უკვე წერდა. რაც შეეხება დასაქმების პრობლემას, ექსპერტების განმარტებით, უმუშევრობის ხვედრითი წილი ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის პირდაპირპროპორციულია. ხორციელდება ინვესტიციები - იქმნება სამუშაო ადგილები და საქმდება ხალხი. ჩერდება ინვესტიციები - შესაბამისად, ჩერდება წარმოება და ათასობით ადამიანი კვლავ უმუშევართა რიგებში დგება.*

სოფიკო ოხანაშვილი

მარტივი ეკონომიკური ფორმულაა - ინვესტიციების დაბანდებასა და სამუშაო ადგილების შექმნას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. თუმცა, იმისათვის, რომ ნებისმიერ სფეროში ჩადებულ ინვესტიციას რეალური ეფექტი ჰქონდეს, ინვესტიციის განხორციელებამდე, აუცილებელია, ქვეყანაში სამართლებრივი და შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზა არსებობდეს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ეს არ არსებობს. **"სახელმწიფოსთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის გარდა, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ბაზის შექმნა უნდა გახდეს. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ინვესტორის შემოსვლამდე განსაზღვრული ჰქონდეს პრიორიტეტებიც. ჩვენთან კი ისე ხდება, რომ ინვესტორები ჩამოდიან, გამოკვლევებსაც თვითონ ატარებენ და პრიორიტეტებს თავადვე განსაზღვრავენ,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე რევაზ საყვარელიძე.

დიდი ხანია სადავო აღარაა - ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა, არ აქვს გამოკვეთილი პრიორიტეტები, სახელმწიფომ არ იცის საით მიდის, ინერციით მოქმედებს და, ხშირ შემთხვევაში, მეხანძრის როლში გვევლინება.

სადავო არც ის არის, რომ წარმოებაში ჩადებული ყოველი თანხა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, მრეწველობის განვითარებასთან, ათასობით ადამიანის დასაქმებასთან და, შესაბამისად, უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებასთანაა დაკავშირებული. ასე რომ, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მოცულობის ინვესტიციები ხორცილდება ქვეყანაში.

ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით განხორცილებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა მხოლოდ 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. განხორციელებული ინვესტიციების მოცულობასა და ქვეყანაში შექმნილი საინვესტიციო გარემოზე საუბრისას, ეკონომისტების მოსაზრება ორად იყოფა.

ერთი ნაწილის შეფასებით, საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა დღითიდღე მცირდება, რადგან საქართველო ისეთ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, რომლისკენ "გამოხედვა" დღეს არც ერთ დონორ ქვეყანას აღარ უნდა. ამას ეკონომისტები მრავალი მიზეზით ხსნიან. ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ისინი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის გაფუჭებას ასახელებენ. სსფ-თან თანამშრომლობა კი, როგორც წესი, სხვა საფინანსო ინსტიტუტებისთვის ქვეყანაში არსებული სტაბილურობის ერთგვარი გარანტია. ამას ემატება ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა, დაბეგვრის მაღალი განაკვეთი და გართულებული პროცედურები, რაც, ასევე, არ არის მიმზიდველი ინვესტორებისათვის.

ეკონომისტთა მეორე ნაწილის მოსაზრებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ინვესტიციების რაოდენობის კლების კი არა, პირიქით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება: შენდება სახლები, რესტორნები, სასტუმროები, ხორციელდება მსხვილი პროექტები და ა.შ. მათი შეფასებით, საქართველოსთვის დღეს სულაც არ წარმოადგენს პრობლემას განხოციელებული ინვესტიციების სიმცირე; პრობლემა ისაა, რომ იზრდება ჩრდილოვან სექტორში ინვესტიციების ხვედრითი წილი. ამას ეკონომისტები გადასახადების მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხსნიან. **"თუ არ დამალე, თუ "შავად" არ იმუშავე, მუშაობას აზრი არ აქვს. იმუშავებ და წაგებული დარჩები,"** - ასეთია საქართველოში შექმნილი გარემოს მარტივი ლოგიკა.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა მაისურაძის განმარტებით, ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ არსებული ოფიციალური ინფორმაცია არასწორია. მისი თქმით, ოფიციალური მაჩვენებლები ძალიან მწირია და არ შეეფერება რეალურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას. ამის მიზეზად იგი ასახელებს როგორც ქართული, ასევე, უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილის აღურიცხაობას.

ერთი შეხედვით, დასაქმების თვალსაზრისით, თითქოს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ინვესტიცია ლეგალურია თუ ჩრდილოვანი, რადგან სამუშაო ადგილები თანხის, შენობის, დანადგარების და მუშახელის რეგისტრაციის გარეშეც იქმნება და ათასობით ადამიანი საქმდება. ექსპერტების შეფასებით, ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, რეალურად კი, ჩრდილოვანი სექტორის გაძლიერება პირდაპირ ურტყამს ბიუჯეტს და, აქედან გამომდინარე, სოციალურ პროგრამებსაც, რომლებიც, გარკვეულწილად, დასაქმების პრობლემის მოგვარებასაც ისახავს მიზნად. ამასთან, არალეგალური ინვესტიციები ხელს უშლის უმუშევართა რეალური რაოდენობის განსაზღვრას. ყოველივე ეს კი საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვას უწყობს ხელს.

*პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.*

## არქიტექტორები პრეზიდენტებს სთხოვენ

საქართველოში დასრულდა არქიტექტურის საერთაშორისო დღეები, რომელიც 21 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. დასკვნითი ღონისძიება არქიტექტორთა კავშირმა „თბილქალაქპროექტის" შენობაში გუშინ გამართა. ღონისძიებაზე დამსახურებული არქიტექტორის საპატიო წოდებები მიენიჭა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხუთ წევრს: კიაზო ნახუცრიშვილს, მერაბ ჩხენკელს, ლევან ბერიძეს, ნელი გვასალიას, თემურ მიქაშავიძეს. გარდა ამისა, არქიტექტორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ სადიპლომო ნამუშევართა კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცათ დიპლომები. არქიტექტორთა საერთაშორისო დღეების განმავლობაში ჩატარებულ ღონისძიებათაგან ყველაზე მნიშვნელოვნად შავი ზღვის ქვეყნების არქიტექტორთა ფორუმი იქნა მიჩნეული, რომელზეც არქიტექტორებმა შავი ზღვის ყველა ქვეყნის პრეზიდენტისადმი სპეციალური მიმართვა მიიღეს. არქიტექტორები მათ სთხოვენ, ხელი შეუწყონ შავი ზღვის ქვეყნების სანაპირო ზოლის პროექტების ჩამოყალიბების პროცესს. არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის თქმით, ამ პროექტის განხილვა მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი ქალაქ ოდესაში, სადაც შავი ზღვის ქვეყნების არქიტექტორთა მორიგი შეხვედრა შედგება.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის საკონტროლო აღწერა დასრულდა. ადგილობრივ ხელისუფლებას იგი 1 მილიონი დოლარი დაუჯდა. აღწერას ერთი თვის განმავლობაში მობილური გადასატანი კომპიუტერით, ციფრული ფოტოაპარატითა და პრინტერით შეიარაღებული 100 ჯგუფი ახორციელებდა. მიღებული მონაცემების საფუძველზე, აჭარაში დღეს 280 ათასი ამომრჩეველია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის გორის მონაკვეთი ამჯერად სოფელ ქვახვრელის მოსახლეობამ გადაკეტა. საკმაოდ ხალხმრავალი და ხმაურიანი აქციის მონაწილეები ადგილობრივ პოლიციას უპირისპირდებიან და სოფელში გახშირებულ ქურდობებს აპროტესტებენ. აქციის გამო, რკინიგზაზე მოძრაობა 3 საათით იყო პარალიზებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეჯოს რაიონში კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიას სარესტავრაციო სამუშაოები კერძო შემოწირულობებით ჩაუტარდება. საქართველოს საპატრიარქოს არქიტექტორის პაატა ნუცუბიძის განცხადებით, 17-18 საუკუნეებში აგებული კვირაცხოვლის ბაზილიკური ეკლესია დანგრეულია და იქ ღვთისმსახურება არ სრულდება. აღდგენითი სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერევანში 6 ოქტომბერს დაწყებული, სეისმოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო კონფერენცია დღეს დასრულდება. მასში მონაწილეობას მსოფლიოს 42 ქვეყნის 90 სწავლული და არქიტექტორი იღებს. დარგის სპეციალისტებმა კონფერენციაზე საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოების ხელშეწყობაზე ისაუბრეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის წევრი, პარლამენტარი გურამ შარაძე გუშინ ლილოს საბაჟო ტერმინალს ეწვია და იქ არსებული 12 ტონა იეღოვური ლიტერატურის დაპატიმრება მოითხოვა. შარაძე ამტკიცებდა, რომ ორი წლის წინათ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით, საქართველოში იეღოველთა ორგანიზაციის რეგისტრაცია გაუქმებულია და მათი ლიტერატურა კონტრაბანდად ითვლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ღვინის ხარისხის კონტროლის პირველი ლაბორატორია დეკემბრის ბოლოს ამოქმედდება. ეს ერთობლივი ქართულ-გერმანული პროექტია, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. ლაბორატორიისთვის შენობა უკვე გამოყოფილია და იგი თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში განთავსდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საგანმანათლებლო ობიექტების სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელება დაიწყო. მომდევნო 18 თვის განმავლობაში 11 მლნ ლარით, ეტაპობრივად, დაფინანსდება 10-10 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტისა და საქართველოს ეკონომიკური ფორუმის ინიციატივით, ცხინვალის მახლობლად ერთობლივი „მშვიდობის სოფელი" აშენდება. გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების, კულტურული ცენტრის, სასტუმროს, საშუალო სკოლის, სამედიცინო პუნქტის, 1-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურისა და მცირე სავაჭრო ცენტრის მშენებლობა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** ერთი ადამიანი დაიღუპა ხუთშაბათს, დილით, თბილისის ცენტრში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. "BMW-ს მარკის ავტომობილი დედაქალაქის მერიის შენობის ცენტრალურ შესასვლელს შეეჯახა. მერიის პრესსამსახურის ცნობით, მანქანაში სამი ადამიანი იმყოფებოდა - 25 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც ნასვამები იყვნენ. ერთი მათგანი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ორი მძიმე მდგომარეობაშია. როგორც მერიაში განაცხადეს, საგზაო შემთხვევა დილის 5 საათსა და 30 წუთზე მოხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ, დილით, იმერეთის სამხარეო პოლიციის ნარკომანიისა და ნაკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ქუთაისის საავტომობილო გზის მონაკვეთზე წყალტუბოელი ილია ჯინჭველაშვილი დააკავეს, რომელსაც პირადი ჩხრეკისას 6 ე.წ. "ჩეკი" ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი აღმოაჩნდა. გუშინვე სამართალდამცველებმა ჯინჭველაშვილის საცხოვრებელი ბინა გაჩხრიკეს, სადაც კიდევ 2 "ჩეკი" ჰეროინი აღმოჩნდა. ილია ჯინჭველაშვილი ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 7 ოქტომბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ამავე რაიონში დააკავეს რუსთავის №2 კოლონიიდან 2003 წლის 10 სექტემბერს გაქცეული კიდევ ერთი პატიმარი, 27 წლის კახაბერ აბულაშვილი. პატიმარი უკვე მოათავსეს თბილისის მე-5 საპყრობილეში. აბულაშვილი 129 პატიმრიდან 79-ეა, რომლის დაკავებაც დღემდე მოხერხდა. იგი განზრახ მკვლელობისათვის იყო გასამართლებული და 12 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ხაშურში დააკავეს 51 წლის ვლადიმერ ხვედელიძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.024 გრამი „ბუპრენორფინი". ამის შემდეგ მათ სოფელ ტაშისკარში დააკავეს 43 წლის ავთანდილ იკაშვილი, რომელმაც 3 აბი „სუბიტექსი" 300 აშშ დოლარად მიჰყიდა ხვედელიძეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დააკავეს გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მიერ ყაჩაღობისათვის ძებნილი, 45 წლის თამაზ ბაზაიძი, რომელმაც 2000 წელს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ვინმე ზაიცევი. მზადდება მასალები მისი საქართველოში ექსტრადიციისთვის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოსა და შს სამინისტროს აზერბაიჯანში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დააკავეს ბაქოს ნასიმინსკის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 34 წლის თემურ კვალიაშვილი, რომელმაც ბაქოში ყალბი საბუთებით დადო ხელშეკრულება სავაჭრო სახლთან „ლუკოილ-ბაქო" 30.000 ტონა დიზელის საწვავის ბათუმში ტრანსპორტირებისთვის. ამით მან მიითვისა 30.000 აშშ დოლარი. 2002 წლის იანვარში კვალიაშვილმა თაღლითურად მიითვისა 1.600 აშშ დოლარი თოფიკ შიხალიევისგან, 5.000 აშშ დოლარი - ვაიდუ გასანოვისაგან და 3.000 აშშ დოლარი - ოფელია რზაევისაგან. კვალიაშვილი საქართველოს მოქალაქეა და, შესაბამისი კანონის თანახმად, გაშვებულია ხელწერილით. შეტყობინება გაეგზავნა ინიციატორს და საქართველოს გენერალური პროკურორის საერთაშორისო განყოფილებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოთხშაბათს, ღამით, თამარ მეფის გამზირზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად 19 წლის გოგონა გარდაიცვალა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ 2121", რომელსაც რიგითი გიორგი თარიმანაშვილი მართავდა, დაეჯახა ლილოს დასახლებაში მცხოვრებ 19 წლის ნათია ვარძელაშვილს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. მძღოლი გაშვებულია ხელწერილით. გამოძიებას აწარმოებს თბილისის სამხედრო პროკურატურა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**გორი.** საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის გორის მონაკვეთი ამჯერად სოფელ ქვახვრელის მოსახლეობამ გადაკეტა. საკმაოდ ხალხმრავალი და ხმაურიანი აქციის მონაწილეები ადგილობრივ პოლიციას უპირისპირდებიან და სოფელში "უზომოდ გახშირებულ ქურდობებს" აპროტესტებენ. აქციის გამო რკინიგზაზე მოძრაობა 3 საათით იყო პარალიზებული. ადგილობრივი მოსახლეობა ამ აქციას გამაფრთხილებელს უწოდებს და აცხადებს, რომ ქურდობის ნებისმიერი ფაქტის შემთხვევაში პროტესტს ანალოგიურად გამოხატავს. აქციის მონაწილეებს შეხვდნენ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დღეიდანვე მოხდება გაძლიერება სამართალდამცველთა იმ ჯგუფების, რომლებიც ამ ზონაზე არიან მიმაგრებულები. პატრულირებაში ჩაერთვება ადგილობრივი მოსახლეობაც, სამართალდამცველები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ მდგომარეობის უკეთ გაკონტროლებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში "ნაციონალური მოძრაობის" წევრის გივი თარგამაძისა და მამა-შვილ დონაძეების გუშინ დანიშნული პროცესი მოპასუხე მხარის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო უკვე მეორედ გადაიდო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ესპანეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში ერთი თვის წინათ დაკავებული მურმან ტვილდიანის (მეტსახელად „ხალვას") საქართველოში ექსტრადირებისათვის მოთხოვნა და მისი ბრალის დამადასტურებელი დოკუმენტები ესპანეთში უკვე გაიგზავნა. ესპანეთის გენერალური პროკურატურა პატიმრის ექსტრადირების გადაწყვეტილებას მისი ბრალის დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვის შემდეგ მიიღებს. ტვილდიანი ინტერპოლის მიერ 2002 წლის თებერვლიდან იძებნებოდა ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებაში მონაწილეობის ბრალდებით. კორტავა 2002 წლის 20 თებერვალს თბილისიდან, ვაჟაფშაველას III კვარტლიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა გამოსასყიდად 50 000 აშშ დოლარის მოითხოვეს. კორტავას დასახსნელად თანხა იმავე დღეს გადაუხადეს გამტაცებლებს და ბიზნესმენი გაათავისუფლეს. რამდენიმე თვის წინათ კორტავას გატაცების ბრალდებით დააკავეს იოსებ გაზდელიანი - მეტსახელად „სორა" და ლევან რაზმაძე . **მედია-ნიუსი**

# უზენაესი სასამართლო ტერორისტობაში ბრალდებულებს ასამართლებს

*პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულების - ვეფხია დურგლიშვილისა და სოსო თორიას პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხს უზენაესი სასამართლო დღეს გადაწყვეტს.*


*ადვოკატები მალხაზ ჭანგირაშვილი და სევდია უგრეხელიძე ტერორიზმში ბრალდებულთა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებას ითხოვენ.*

მერაბ ბახტაძის ფოტო

საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი სოსო თორია და ლოთი ქობალიას გვარდიის ყოფილი წევრი ვეფხია დურგლიშვილი, რომლებსაც ქართველი სამართალდამცველები ოთხი წელიწადი დაეძებდნენ, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გასული წლის დეკემბერში რუსმა სამართალდამცველებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე - გუდერმესის მახლობლად, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

ყოფილი გვარდიელი ვეფხია დურგლიშვილი 9 თებერვლის ტერაქტში მონაწილეობის მცდელობაში, ხოლო სოსო თორია ტერაქტის ორგანიზებაში, სამშობლოს ღალატსა და განზრახ მკვლელობაში არიან დადანაშაულებულნი. პროკურატურის მიერ დაწერილ საბრალდებო დასკვნაში საუბარია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ყუმბარმტყორცნებით, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებითა და ავტომატური ავტომატებით შეიარაღებული ტერორისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტზე, რომელსაც მაშინ პრეზიდენტი კი გადაურჩა, მაგრამ დაიღუპა მისი დაცვის ორი წევრი. გარდა ამისა, განსასჯელ წყვილს ბრალი ედება, ჩეჩნეთში წინასწარ ჩამოყალიბებული ტერორისტული ჯგუფის წევრებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის დაგეგმვაში, მზადებასა და განხორციელებაში. ამავე დროს სამართალდამცველებს მოეპოვებათ ინფორმაცია, რომ თორია ჩეჩნეთის სიახლოვეს არსებული იმ საწევრთნელი ბაზის ინსტრუქტორი იყო, რომელზეც ტერაქტის მონაწილეებმა წვრთნა გაიარეს. მეტიც, კანონდამცველთა მტკიცებით, ის იმდენად იყო დაახლოებული ჩეჩნეთის ლიდერებთან, რომ თავის დროზე ჯოხარ დუდაევმა ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობისთვის გენერლობაც კი უბოძა, თუმცა პროკურატურის ამ ბრალდებებს განსასჯელთა ადვოკატები კატეგორიულად უარყოფენ. **"მართალია, თორია ჩეჩნეთში იმყოფებოდა, მაგრამ მას საწვრთნელ ბაზებზე არანაირი მომზადება არ გაუვლია. სამართალდამცველები აბსანძეს თორიათი ანაცვლებენ",** - აცხადებს ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი.

როგორც ცნობილია, 19 თებერვლის ტერაქტის მონაწილეთა სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში კარგა ხანს მიმდინარეობდა, თუმცა ქართველი ძალოვანების მიერ მოსკოვიდან ზარ-ზეიმით ჩამოყვანილი ტერაქტის ორგანიზატორობაში ბრალდებული გურამ აბსანძე საბოლოოდ გამართლდა და გენერალური პროკურატურის მიერ წაყენებული მძიმე ბრალდება მოეხსნა.

რაც შეეხება გუშინდელ სასამართლო პროცესს: განსასჯელების ადვოკატები აცხადებენ, რომ დურგლიშვილისა და თორიას საქმეში ძალზე სერიოზულ პროცესუალურ დარღვევებს აქვს ადგილი. საქმე ისაა, რომ მათი წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა; არადა, ეს მისი განსასჯელი არ იყო, ამიტომაც ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ბრალდებულები უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან, რის გამოც მათ მიმართეს სასამართლოს განსასჯელთა პატიმრობიდან გათავისუფლების შუამდგომლობით. სხვათა შორის, ადვოკატთა ამ შუამდგომლობას ნაწილობრივ დაეთანხმა ბრალმდებელი პროკურორი.

განსასჯელთა ადვოკატები იმედოვნებენ, რომ დურგლიშვილსა და თორიას უზენაესი სასამართლო დღეს პატიმრობიდან გაათავისუფლებს.

*24 საათი*

# ირაკლი დოკვაძის საქმის განხილვა კვლავ გადაიდო

*"მხედრიონის" ყოფილი ლიდერის ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტისთვის გასამართლებული ირაკლი დოკვაძის რეაბილიტაციის საქმის განხილვა გუშინ კვლავ გადაიდო. ასეთი გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მხარეთა გამოუცხადებლობის გამო მიიღო.*

შეგახსენებთ, რომ ირაკლი დოკვაძე სასამართლოსგან რეაბილიტაციას მოითხოვს.

იგი, რეაბილიტაციასთან ერთად, სიკვდილმისჯილთა საკანში გატარებული ორი წლისა და ხუთი თვის მანძილზე მიღებული ფიზიკური, მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად შს სამინისტროსგან, პროკურატურისაგან და სასამართლოსგან 10 მილიონ ევროს ითხოვს.

ირაკლი დოკვაძის ეს მოთხოვნა 29 ივლისის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა, ამიტომაც განაჩენი დოკვაძემ საკასაციო პალატაში გაასაჩივრა და საკასაციო პალატისგან ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

1995 წლის 6 მარტს უზენაესმა სასამართლომ ირაკლი დოკვაძესა და მის თანამოაზრე პეტრე გელბახიანს "მხედრიონის" ლიდერის ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ ჩიქოვანის ქუჩაზე ტერორისტული აქტის მოწყობისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. შეგახსენებთ, რომ 1992 წელს განხორციელებული ტერაქტისას ხუთი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის - მცირეწლოვანი ბავშვიც. საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ მსჯავრდებულებს სასიკვდილო განაჩენი 20 წლით პატიმრობით შეეცვალათ. შარშან, 3 სექტემბერს, დოკვაძე და გელბახიანი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ. თუმცა, მათთვის ბრალდება სასამართლოს არ მოუხსნია.

**"ჩემ მიმართ ადგილი ჰქონდა არა მარტო საქართველოს კანონმდებლობის სასტიკ დარღვევას, არამედ საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფას. ჩემ მიმართ განხორციელდა სისხლის სამართალწარმოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) უკანონო ქმედებები, რის გამოც მივიღე ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანი. ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ თითქმის სამი წლის განმავლობაში ვიჯექი სიკვდილმისჯილთა საკანში და კარის ყველა შემოღებაზე ველოდებოდი სიკვდილს?"** - ასეთი გახლავთ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე ირაკლი დოკვაძის სასარჩელო განცხადება, რომელსაც საკასაციო პალატა 16 ოქტომბერს განიხილავს.

# ოთხმხრივი შეხვედრები კრიმინოგენულ სიტუაციას გალში ვერ ცვლის

*ჭუბურხინჯში ჩატარებული საგანგებო შეხვედრა გალის რაიონში სიტუაციის განმუხტვის საწინდარად ვერ იქცა. მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმება, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში დაძაბულობის განმუხტვისა და უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს, ჯერ ძალაშიც არ შესულა; გალის რაიონში კი კიდევ ერთი თავდასხმა განხორციელდა.*

თამარ კაციტაძე

გუშინ დილით, დაახლოებით 9 საათზე, სოფელ საბერიოსთან ათამდე ბოროტმოქმედი თავს დაესხა მგზავრებით სავსე ავტობუსს, რომელიც გალის მიმართულებით მოძრაობდა. თავდამსხმელები შეიარაღებულნი იყვნენ და ნიღბები ეკეთათ. ავტობუსში შეცვენილებმა მგზავრებს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს, ხოლო რამდენიმე მათგანის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ავტომატებიდან უმისამართო სროლა ატეხეს. სროლის დროს გულის შეტევით ადგილზევე გარდაიცვალა მგზავრი გელა კონჯარია, 50 წლის გულიკო კონჯარია კი ავტომატური იარაღით მიყენებული ჭრილობებისგან დაიღუპა. ამჟამად ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოშია მოთავსებული და დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ლალი ქარცხავა.

თავდამსხმელებმა მგზავრების ფულისა და ძვირფასეულობის გატაცება მოახერხეს და ავტობუსის მძღოლთან ერთად მიიმალნენ. გატაცებული მძღოლის ადგილსამყოფელი უცნობია.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის გივი აგრბას ინფორმაციით, თავდასხმა ენგურჰესის სამსახურებრივ ავტობუსზე განხორციელდა, რომელშიც ენგურჰესის თანამშრომლები ისხდნენ. ტრადიციულად, აგრბა მომხდარში ქართულ დივერსიულ ჯგუფებს ადანაშაულებს. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა კი, ჯერჯერობით, არც ერთ მხარეს არ სდებს ბრალს.

**"მიუხედავად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებისა, მომხდართან დაკავშირებით არაფერია ცნობილი. დანაშაული გაუხსნელად ითვლება და, აქედან გამომდინარე, ორმელიმე მხარის დადანაშაულება, ძნელია. ამ პერიოდისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თავდამსხმელები მეგრულად და რუსულად საუბრობდნენ",** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მებრძოლი ჭკადუამ.

მოხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათში შემთხვევის ადგილზე გავიდნენ როგორც ქართული და აფხაზური მხარის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები, ასევე გაერო-ს და რუსი სამშვიდობოების წარმომადგენლები, მაგრამ...

ოთხივე მხარის ამგვარი აქტიურობა გალის რაიონის ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის მიმართ არც ისე ხშირი შემთხვევაა. ეს კი, ალბათ, ორიოდე დღის წინ გალის რაიონში გამართულ ოთხმხრივ საგანგებო შეხვედრას უნდა მივაწეროთ, სადაც ქართულ-აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა ოფიციალურად დააფიქსირეს - **"მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, ითანამშრომლონ და მიიღონ ზომები დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად. აგრეთვე, გაცვალონ კონფლიქტის ზონაში მომხდარ დანაშაულთა და დამნაშავეთა სიები. არც ერთი დანაშაული არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი და არც ერთი დამნაშავე - დაუსჯელი. ამას გარდა, მხარეები იღებენ ვალდებულებას, ითანამშრომლონ უსაფრთხოების ზონაში გაერო-ს სამოქალაქო პოლიციასთან. შეხვედრა ეძღვნებოდა უსაფრთხოების ზონაში, კერძოდ, გალის რაიონში ბოლო დროს არსებულ დაძაბულ ვითარებას. მხარეებმა აიღეს პასუხისმგებლობა, გააკეთონ ყველაფერი, რათა არ მოხდეს სიტუაციის ესკალაცია".**

სწორედ აღნიშნული შეხვედრის გრანდიოზულობის გამო, გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრის ნაცვლად შედგა ოთხმხრივი საგამოძიებო კომისიის სხდომა, სადაც სამგზავრო ავტობუსზე მომხდარი თავდასხმა განიხილეს, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგი არც ამ შეხვედრას გამოუღია.

სამაგიეროდ, შედეგი გამოიღო იმ პროტოკოლმა, რომელსაც ხელი ოთხმხრივი შეხვედრის დროს მოეწერა.

გუშინ, გვიან ღამით, პროტოკოლის თანახმად, გადმოასვენეს მიმდინარე წლის 4-5 ოქტომბერს, გალის რაიონის სოფლებში - გაგიდასა და დიხაზურგაში შეტაკებების დროს დაღუპული ორი ქართველის - კოპალიანისა და ზარანდიას ცხედარი. გუშინ კი იგეგმებოდა სოხუმის ე.წ. დრანდის ციხიდან გაქცეული გერვასი ჯოლოგუას ცხედრის გადმოსვენება.

ოთხმხრივი მოლაპარაკებებისას გადაწყდა ისიც, რომ ნოემბრის დასაწყისში სეპარატისტები ქართულ მხარეს გადასცემენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ბაბუშერას აეროდრომზე დაღუპული 35 ქართველი მეომრის ცხედარსაც.

ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებით, შემდეგი ანალოგიური მოლაპარაკებები 9 დეკემბერს გაიმართება. მათზე სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილების პრობლემის ირგვლივ თანამშრომლობის შედეგები შეჯამდება.

აღნიშნულ შეხვედრაზე, სხვა გაუხსნელ დანაშაულებთან ერთად, ალბათ, ავტობუსის დაყაჩაღების ფაქტსაც მიეცემა შეფასება, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე აღნიშნული დანაშაულის გახსნა ვერ მოხერხდა.

# პრეზიდენტის არადემოკრატიული გადაწყვეტილება არაკონსტიტუციური მუხლებით მყარდება

პირველი გვერდიდან

კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბერს ნაწილობრივ დააკმაყოფილა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ შეტანილი სარჩელი და დაადგინა: "არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, აგრეთვე მე-14 მუხლის პირველი პუნქტის დებულება: „ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი წარმომადგენელი".

სხვათა შორის, არაკონსტიტუციურად ცნობილი მუხლები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ძალადაკარგულად ითვლება, "საქართველოს რესპუბლიკის" მიერ გამოქვეყნებულ კანონის ტექსტში კვლავაც ძველებურად იკითხება.

სავარაუდოდ, გაზეთი შეცდომას გამოასწორებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, რომელსაც საკუთარი გადაწყვეტილების კანონით გამყარების მცდელობა ბუმერანგივით შემოუტრიალდა.

*24 საათი*

# ათენში დემონსტრანტი პოლიციელები ცრემლსადენი გაზის მეშვეობით დაშალეს

ათენში სპეცდანიშნულების რაზმმა ცრემლსადენი გაზის დახმარებით დაშალა საპროტესტო მიტინგი, რომელშიც ასეულობით პოლიციელი მონაწილეობდა.

შედეგად, რამდენიმე მოწამლული დემონსტრანტი საავადმყოფოში მოათავსეს. უნიფორმაში გამოწყობილმა პოლიციის ოფიცრებმა, რომლებსაც მეხანძრეები და სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომლები შეუერთდნენ, ხელფასის გაზრდის მოთხოვნით ოთხშაბათს, საღამოს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კიბეებზე მჯდომარე დემონსტრაცია მოაწყვეს.

დემონსტრაციის დაშლის შემდეგ, დაახლოებით, 50 ადამიანი ახლომდებარე მოედანზე ისევ შეიკრიბა. მომიტინგე პოლიციელთა წარმომადგენლის თქმით, მათი აქცია 3 დღე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ახლა მათ არ იციან, რა ქნან.

**"ამდენი გაზი სალონიკშიც კი არ გამოუყენებიათ",** - განაცხადა აქციის მონაწილე ერთ-ერთმა პოლიციელმა. მას მხედველობაში ჰქონდა ივნისში ევროკავშირის სამიტის დროს პოლიციელებსა და ანარქისტებს შორის მომხდარი შეტაკება.

ბოლო ხანს საბერძნეთს გაფიცვების ტალღამ გადაუარა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ექიმებმა, უნივერსიტეტის მასწავლებლებმა და სახელმწიფო მოსამსახურეებმა.

# დიპლომატიური "ცეკვა" ბერეზოვსკი-დუბოვის გამო

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდ ბრიტანეთს ურთიერთობის სერიოზული გაუარესებით ემუქრება. ასეთი გახლავთ რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური რეაქცია ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვისთვის დიდ ბრიტანეთის მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებაზე. ოთხშაბათს ცნობილი მეწარმისა და მისი პარტნიორის საქმეს ლონდონის მაგისტრატულმა სასამართლომ საბოლოო წერტილი დაუსვა და მათი რუსეთში ექსტრადიციის საკითხის განხილვა შეწყვიტა.

როგორც ცნობილია, მოსკოვი ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვს თაღლითობაში და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებს. თავად ბერეზოვსკი მიიჩნევს, რომ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული უდევს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქციამ კი ბევრი ექსპერტიც დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთის ინტერესი ბერეზოვსკისა და დუბოვის მიმართ პოლიტიკური ელფერის მატარებელია.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ორივე ბიზნესმენისთვის პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ "არამეგობრული" ნაბიჯი უწოდა, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის "პოზიტიური განვითარების ლოგიკას ეწინააღმდეგება".

რუსმა დიპლომატებმა ახლა უკვე ოფიციალურად ერთ დაფაზე დააყენეს ბერეზოვსკისა და ახმად ზაკაევის საქმეები და განაცხადეს, რომ ლონდონი განგებ "წელავს" ზაკაევის ექსტრადიციის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, ექსპერტთა აზრით, მოსკოვისგან რაიმე რადიკალური დიპლომატიური ნაბიჯები, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის. "ბიბი-სის" მიმომხილველის სტივენ დეილის აზრით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა "დიპლომატიური ცეკვის ელემენტი".

თავად ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ მას ძალზე არ სურს, გახდეს რუსეთ-ბრიტანეთის ურთიერთობის გაუარესების მიზეზი, თუმცა ბიზნესმენი (პოლიტოლოგების მსგავსად) რუსი დიპლომატებისგან მკვეთრ ნაბიჯებს არ ელის და მიაჩნია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადება "ჩვეულებრივი დიპლომატიური თამაშია".

# "კალაშნიკოვი" ყველაზე საშიშია

ამ კვირიდან ჰონდურასში დააპატიმრებენ "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატების ყველა მფლობელს. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა. მისი თქმით, მოსახლეობამ "კალაშნიკოვები" შაბათამდე უნდა ჩააბაროს.

2003 წლის ივლისში ჰონდურასის ნაციონალურმა კონგრესმა უკვე აკრძალა "კალაშნიკოვის" ავტომატის შენახვა, რადგანაც, სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში მომხდარ მძიმე დანაშაულთა 90 პროცენტი სწორედ ამ იარაღითაა ჩადენილი. თუ ავტომატის მფლობელი იარაღს დათქმულ ვადაში ჩააბარებს, მას 60 დოლარით დააჯილდოვებენ, ურჩებს კი ხუთიდან რვა წლამდე პატიმრობა ელით.

ჰონდურასის პოლიციის მონაცემების თანახმად, ქვეყანაში სამოქალაქო პირთა ხელში 50 ათასამდე "კალაშნიკოვის" ავტომატია. 80-იან წლებში იარაღი ქვეყანაში ნიკარაგუადან შევიდა, სადაც ამ პერიოდში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. მაშინ "კალაშნიკოვის" ფასი "შავ ბაზარზე" სულ რაღაც 10 დოლარი იყო.

მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან არა ერთი გაფრთხილებისა, მოსახლეობამ ჯერ მხოლოდ ათასამდე ავტომატი ჩააბარა.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61

# ბეისბოლისტ ტედ ვილიამსის თავი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ეს კოშმარული ისტორია რაღაცით ბელიაევის სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს, "პროფესორ დოუელის თავს" ჩამოჰგავს...

ტედ ვილიამსი, მეტსახელად Splendid Splinter, ამერიკის ეროვნული სპორტული გმირი იყო. ის ბოსტონის გუნდში, "რედ სოქსში" თამაშობდა. მანამდე ტედი კორეისა და ვიეტნამის ომების გმირი გახლდათ, გამანადგურებლის მფრინავი იყო. მისი სახელი სიცოცხლეშივე ამერიკული ბეისბოლის "დიდების დარბაზში" იყო ამოტვიფრული, ბეისბოლი კი შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა.

ტედი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, აღტაცებული თაყვანისმცემლებითა და შეყვარებული ლამაზმანებით გარშემორტყმული. Splendid Splinter-ის ბიტის მოქნევაზე მთელს ამერიკას სუნთქვა ეკვროდა.

ამჟამად სუნთქვაშეკრული ამერიკა წელიწადზე ცოტა მეტი ხნით ადრე გარდაცვლილი ვილიამსის იმქვეყნიურ მისტერიას ადევნებს თვალს. გარდაცვალების შემდეგ სპორტსმენის სხეული თხევად აზოტში ჩაუშვეს და არიზონას შტატში, სკოტსდეილში, კრიოგენული კომპანია "ალკორის სიცოცხლის გახანგრძლივების ფონდის" საცავში მოათავსეს.

რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალმა Sports Illustrated-მა ისეთი რამ გამოაქვეყნა, რაც თხევადი აზოტივით გაგიყინავდათ ძარღვებში სისხლს - საბუთები, ელექტრონული ფოსტა და აუდიოფირები, რომლებიც მას "ალკორის" ყოფილმა მენეჯერმა, ლერი ჯონსმა მიაწოდა. ამ არქივთან გაცნობის შემდეგ თავად ფრედი კრიუგერისაც აღარ შეგეშინდებათ.

აქამდე ითვლებოდა, რომ ვილიამსის სხეული თავქვე ჩადეს თხევადი აზოტით სავსე საგანგებო ცილინდრში. სინამდვილეში, სპორტსმენის ცხედარს თავი მოჰკვეთეს და ცალკე ლითონის ბიდონში შეინახეს. ამ ვერცხლისფერ ბიდონს, რომელსაც "ალკორი" ჰქვია, შავი სალებავით ეწერა ვილიამსის საავადმყოფო ბარათის ნომერი: A-1949. ბიდონში ჩადებამდე სპორტსმენს თავი გადაჰპარსეს და რამდენიმე ადგილზე გაუბურღეს. იმის გამო, რომ ხშირად გადაადგილებდნენ ხოლმე, თავის ქალაში აქა-იქ ბზარებიც გაჩნდა.

ვილიამსის უთავო ტანიც იმავე ოთახში ინახებოდა, ცხრა ცილინდრიდან ერთ-ერთში, რომლის სიმაღლეც დაახლოებით სამ მეტრს აღწევს, და რომელსაც ალკორის ოხუნჯებმა "დიუარები" შეარქვეს – ეს კასრებია, რომლებშიც შოტლანდიურ ვისკის აყენებენ. ცილინდრი, რომელშიც დიდი სპორტსმენის სხეული ინახებოდა, N6-ით იყო აღნიშნული. "ალკორის" დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ცინიკურად უწოდა ვილიამსის სხეულს "ვაჭრობის საგანი" (უფრო სწორად, გამომძალველობისა და შანტაჟისა – მ.ს.) - სპორტსმენის მემკვიდრეებს მამის ნეშტის შენახვისთვის ფირმის 111 ათასი დოლარი ჰმართებთ (წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ვილიამსის ვაჟმა, ჯონ-ჰენრიმ, "ალკორს" კრიოგენული ხსნარისთვის 136 ათასი დოლარის გადახდა აღუთქვა. ამ პროცედურის მიზანი გარდაცვლილის სხეულის შენარჩუნებაა იმ იმედით, რომ ოდესმე, მეცნიერების პროგრესის წყალობით, მისი გაცოცხლება შესაძლებელი გახდება).

დღეისათვის ტედ ვილიამსის სხეულთან დაკავშირებული ვითარება დაახლოებით ასეთი გახლავთ. საბუთები, რომლებიც Sports Illustrated-ს ჩაუვარდა ხელში, ნათელყოფს, რომ დიდი ბეისბოლისტი არასოდეს აპირებდა თავის სულიერი უკვდავების ფიზიკურით განმტკიცებას, და რომ მისი სხეულის "ალკორის" საცავებში მოთავსებამ მის სამ შვილს შორის დიდი შუღლი გამოიწვია.

ვილიამსის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე "ალკორის" წარმომადგენლები ფლორიდას შტატში, ჰერნანდოში, სპორტსმენის სახლს ეწვივნენ. თავად ვილიამსმა მათთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. ვილიამსის სახლში მისული ლერი ჯონსონის და ტედ სოარდის ფირზე ჩაწერილი საუბრიდან გამომდინარე, ვილიამსი "დიზორიენტირებულ მდგომარეობაში" იმყოფებოდა, და სანამ მისი ვაჟი ჯონ-ჰენრი ალკორელებს ესაუბრებოდა, უკანა ოთახიდან რაღაც გაუგებარს გასძახოდა. მეტსაც მოგახსენებთ: ვილიამსის თანხმობა კრიოგენულ ხსნარზე – შვიდგვერდიანი საბუთი - "ალკორს" მისი გარდაცვალების შემდეგ უბოძეს, თან ვილიამსის ხელმოწერის გარეშე!

ყველაფერმა ამან, და კიდევ "ალკორის" "საშინელებათა ფილმების დარმა უპასუხისმგებლო საქციელმა (და არამარტო ვილიამსის შემთხვევაში), ჯონსონს სამსახურიდან წასვლისკენ უბიძგა, და მან ჟურნალს მის ხელთ არსებული შემაძრწუნებელი ინფორმაცია გადასცა. "ალკორის" ხელმძღვანელმა, დოქტორ ჯერი ლემლერმა, კატეგორიული უარი განაცხადა ტედ ვილიამსთან დაკავშირებულ ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. მან განაცხადა: "ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ ტედ ვილიამსი სიკვდილის შემდეგ გახდა ჩვენი პაციენტი".

ვილიამსის ვაჟი, 34 წლის ჯონ-ჰენრი, ასევე არ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დაემართა მამამისის ცხედარს "ალკორის" კედლებში ყოფნის ერთი წლის განმავლობაში. "კომენტარებისგან თავს შევიკავებ. ეს თქვენ არ გეხებათ," - პასუხობდა ის რეპორტიორებს. (ისიც ბეისბოლისტია, ლუიზიანას დედაქალაქის, ბატონ-რუჟის გუნდის "რივერ ბეტსის" ("მდინარის ღამურების") შემადგენლობაში თამაშობს. სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორი ბატონ-რუჟის საპატიო მოქალაქეა. მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია – მ.ს.).

ერთადერთი საბუთი, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ვილიამსს გაყინვა სურდა, მანქანის ზეთით დასვრილი ქაღალდის ნაგლეჯია, რომელიც 2000 წლის 2 ნოემბრითაა დათარიღებული. საბუთს ჯონ-ჰენრი, მისი და კლაუდია და თავად ტედი აწერენ ხელს. საბუთში ნათქვამია, რომ "ჩვენ გვინდა გარდაცვალების შემდეგ ბიო-სტასისში დავინთქათ". მაგრამ ვილიამსის უფროსი ქალიშვილი, ბობი-ჯო ფერელი და ავადმყოფი სპორტსმენის მომვლელი მოწყალების ძმები, ფრენკ ბრაზერსი და ჯორჯ კარტერი ამტკიცებენ, რომ ეს საბუთი ყალბია. საინტერესოა, რომ სამი წლის შემდეგ, მას მერე, რაც სურვილი გამოთქვეს, რომ "მომავალში სამივეს ერთად გვინდა ცხოვრება", არც ჯონ-ჰენრის და არც კლაუდიას არ მოუწერიათ ხელი "ალკორთან" შეთანხმებისთვის "ბიო-სტასისის" თაობაზე. (სასამართლომ ახლახანს ქაღალდის ნაგლეჯიც და ტედ ვილიამსის ხელმოწერაც ყალბად აღიარა. მაგრამ, რაც ყველაზე უცნაურია, მისი შვილების მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა – მ.ს.).

...2001 წლის გაზაფხულზე ჯონ-ჰენრი "ალკორის" შტაბ-ბინას ეწვია, რომელიც სკოტსდეილის აეროპორტის სიახლოვეს, საწარმოო პარკშია განლაგებული.

ამ დროს მამამისი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ორი ინსულტი ჰქონდა გადატანილი და გულის ოპერაციის შემდეგ სან დიეგოში იმყოფებოდა.

გაყინვასთან დაკავშირებით ენთუზიაზმითა და ენერგიით აღსავსე ჯონ-ჰენრის "ალკორის" ხელმძღვანელი დოქტორ ლემერი შეხვდა. მან გამცილებლის როლი იკისრა და თავად გააცნო მას თავისი დაწესებულება. ლემლერის წერილის თანახმად, რომელიც 2001 წლის 12 ივნისითაა დათარიღებული, ჯონ-ჰენრიმ თავისი ვიზიტის დროს მას "ალკორის" ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებით იდეები და წინადადებები დააყარა – "პაციენტების" დაცვის გაუმჯობესებით დაწყებული და მათი გადაადგილებით დამთავრებული. დოქტორი ლემლერი, რომელსაც მეტსახელად "დოქტორ ფილგუდს" ("დოქტორ კარგად იყავის") უწოდებენ – ეს წოდება მან დახვეწილი მანერებისთვის მიიღო – თავის წერილი ამ სიტყვებით დაასრულა "უფრო ადრე და უფრო გვიან".

ამ წერილის დაწერის დღეს ჯონ-ჰენრიმ ლემლერს სან დიეგოდან დაურეკა – იქ ნაოპერაციალ მამას ჩააკითხა. მათ ტელეფონით ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ დაეყაბულებინათ ჯერ კიდევ ცოცხალი ტედ ვილიამსი გაყინვაზე. დიდი სპორტსმენის ვაჟთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ლემლერი თავისი წერილს დაუბრუნდა და მინაწერი გააკეთა, სადაც ამაღლებული ტონით აღწერა ის ეფექტი, რომელსაც ცოცხალი ვილიამსის "ალკორის" "პაციენტობა" გამოიწვევდა. "ეს დიდი მოვლენა იქნებოდა," წერდა ლემლერი. "უხეშად რომ ვთქვათ, ვილიამსის სახელი "ალკორს" სარეკლამო შანსს აძლევს, და ჩვენი პაციენტების რაოდენობა ისე გაიზრდება, ჩვენს კომპანიას რომ არასოდეს ღირსებია".

დაახლოებით იმავე დროს ჯონ-ჰენრიმ ფლორიდაში ბობი-ჯოს დაურეკა (ბობი-ჯო ვილიამსის უფროსი ქალიშვილია პირველი ცოლისგან). მან მას ჰკითხა, გაყინვების შესახებ რა იციო. შემდეგ, როცა ყველაფერი განუმარტა, ჯონ-ჰენრიმ დასძინა: "მამიკოსთვის მაგარი ამბავი იქნებოდა!" ამაზე ბობი-ჯომ უპასუხა, რომ "მამიკო" ყოველთვის კრემაციაზე ფიქრობდა. მაგრამ ჯონ-ჰენრი არ ნებდებოდა. მან უფროსი დის ცდუნება სცადა და "მამიკოს" დნმ-ის გაყიდვით გამდიდრების პერსპექტივა დაუსახა. "უამრავ ფულიან ადამიანს უნდა, რომ მათ სახლში პატარა ტედი ვილიამსებმა ირბინონ," არწმუნებდა ის გაჯიუტებულ ბობი-ჯოს. შემდეგ მან ის "ალკორის" დასათვალიერებლად დაპატიჟა. დამ სასტიკი უარი სტკიცა. მაშინ ჯონ-ჰენრიმ, რომელსაც მომაკვდავი მამისგან მინდობილობა ჰქონდა, ჭირვეული ქალიშვილი "მამიკოსთან" აღარც მიუშვა, მან ის მხოლოდ დაკრძალვის დღეს ნახა.

ტედ ვილიამსის ალლეტური აღნაგობა ჰქონდა, დიდი ფიზიკური ძალა, ფანტასტიკური რეაქცია და ფენომენალური გამჭრიახობა, რის წყალობითაც ის იდეალური ბეისბოლისტი იყო. მაგრამ 2002 წლისთვის ის ამ კარგის საცოდავ აჩრდილად იყო ქცეული. 2002 წლის 5 ივლისს ბობი-ჯოს ფლორიდას შტატიდან, ინვერნისის "საინტენსივო თერაპიის" ჰოსპიტალიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ მამამისი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი დილის 8 საათით და 49 წუთით იყო რეგისტრირებული. "ალკორის" გუნდი უმალვე საქმეში ჩაერთო. მან ვილიამსის სხეულში სისხლის გამათხელებელი პრეპარატები შეუშვა, ცხედარი ყინულით სავსე ტომარაში შეჩურთა და კერძო თვითმფრინავით სკოტსდეილში გადააფრინა. მხოლოდ ამის შემდეგ ჩავიდა ფაქსი ფლორიდიდან "ალკორში", ტედის თანხმობით გაყინვაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბუთზე ვილიამსს ხელი არ მოუწერია. მის ნაცვლად ჯონ-ჰენრიმ მოაწერა, შუადღის 2:44-ზე. ხელმოწერის ქვეშ მიწერილი იყო: "პასუხისმგებელ პირს არ შესწევს იმის უნარი, რომ ხელი მოაწეროს". ცხადია – "პასუხისმგებელი პირი" ხომ რამდენიმე საათით ადრე გარდაიცვალა! შემდეგ ფაქსზე აღნიშნული იყო Son/POA, ანუ "ვაჟი/მინდობილობით". როგორც ჩანს, ჯონ-ჰენრიმ არ იცოდა, ეჭვადაც არ ჰქონდა, რომ კანონს არღვევდა, რომლის თანახმადაც მინდობილობა აღარ მოქმედებს და უმალვე კარგავს ძალას, როგორც კი მისი გამცემი პირი კვდება. ვინმე ჯონ ჰეისმაც კანონის დარღვევით მოაწერა ამ ქაღალდს ხელი, რადგან ის "ალკორის" თანამშრომელი იყო და ამ შემთხვევაში მოწმის როლში ყოფნის უფლება არ ჰქონდა.

ჯონ-ჰენრისა და "ალკორს" შორის შეთანხმების თანახმად, კრიოგენიას ვილიამსის მთელი სხეული ექვემდებარებოდა. ამისთვის სპორტსმენის ვაჟს 120 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა და კიდევ 16 ათასი დოლარი - მამის სხეულის სკოტსდეილში ტრანსპორტირებისთვის (მხოლოდ თავის კრიოგენია 50 ათასი დოლარი ღირს). მაგრამ საღამოს 8:30-ზე, ვილიამსის სხეული საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა. ქირურგის გარდა, საოპერაციო ოთახში რამდენიმე სხვა ადამიანიც შევიდა. აი, როგორ აღწერს შემდგომ მოვლენებს ერთ-ერთი მათგანი, ჩარლზ პლატი. პლატი "ალკორის" დირექტორთა საბჭოს წერილით მიმართავდა, რომელშიც ლემლერის გათავისუფლებას ითხოვდა:

"როგორც კი პაციენტი მოიყვანეს, ქირურგმა მისი თავის სხეულისგან განცალკევებისთვის დაიწყო მზადება. როცა ქირურგი საქმეს შეუდგა, ჯონ ჰეიესი ჩაერია. ის ამტკიცებდა, რომ პაციენტის ვაჟთან შეთანხმების საფუძველზე თავი არ უნდა მოეჭრათ. ლემლერმა ჯონ-ჰენრისთან სასწრაფო სატელეფონო საუბარი შეუკვეთა, რომ ეს ფუნდამენტური პრობლემა გადაეწყვიტა".

ამ სატელეფონო საუბრის შინაარსს დღემდე არც ლემლერი ჰყვება და არც ჯონ-ჰენრი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – მისი დასრულების შემდეგ ქირურგმა ვილიამსისთვის თავის მოკვეთა განაგრძო. საოპერაციო ოთახის დღიურის თანახმად, პროცედურა საღამოს 8:40-ზე დაიწყო (Sports Illustrated წერს, რომ დღიურში ჩანაწერები "დაწყებითი სკოლის დონის" გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომებითაა სავსე). დამსწრენი "ალკორის" "ყველაზე სახელგანთქმული პაციენტის" თავს სურათებს უღებდნენ (ჟურნალმა ამ თავზარდამცემი სურათების გამოქვეყნებისგან თავი შეიკავა). პლატის თქმით, "დამსწრეთაგან არავის მოუწერია ხელი საიდუმლოს შენახვის შესახებ ფორმულარისთვის, და "ალკორის" არქივისთვისაც სურათების გადაცემაზე არავინ დათანხმებულა. ოპერაციის დროს არავითარი უსაფრთხოების ღონისძიებები არ ყოფილა გატარებული". მოკლედ, ოპერაცია დიდ გაუგებრობად იქცა.

ოპერაცია 37 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც დღიურში შეცდომებით ჩაიწერა: "თავი მთლიანად მოკვეთილია". შემდეგ ქირურგმა უბედურის თავში ათცენტიანის დიამეტრის ორი ნახვრეტი გააკეთა, იმისთვის, რომ თავის ტვინზე დაკვირვების საშუალება ჰქონოდათ და მასში სენსორები ჩაედგათ, რომლებიც გაყინვის დროს ჩვეულებრივი დაბზარვის პროცესის ფიქსაციას მოახდენდა. მოკვეთილი თავი სწორკუთხა მანქანაში მოათავსეს, რომელსაც კარისტარი ჰქვია და რომელიც ზემოთ კარიან მყინვარს ჰგავს (კრაისტარში თავს თხევად აზოტში ჩაძირვისთვის ამზადებენ). ვილიამსის თავიდან მონიტორამდე, კრეკოფონამდე, მავთულები გააბეს, კვლავ შესაძლებელი ბზარების დასაფიქსირებლად. ერთ-ერთ მავთულს ფირფიტა მიამაგრეს, უკვე ცნობილი ნომრით A-1949.

ბობი-ჯო, რომელმაც არაფერი იცოდა მამის უთავობის შესახებ, სასამართლოსა და მასმედიაში მისი ქრისტიანული დაკრძალვისთვის ბრძოლას განაგრძობდა. მას ვილიამსის მიერ ხელმოწერილი ორი საბუთი ჰქონდა ხელთ. პირველი საბუთი წერილია, რომელიც ტედმა თავის ადვოკატს მისწერა, მეორე კი მისი ანდერძი გახლავთ. ორივე საბუთში ნათქვამია, რომ სიკვდილის შემდეგ ვილიამსს კრემაცია სურდა. "ფერფლი კი ფლორიდას სანაპიროსთან გაფანტონ, იქ, სადაც წყალი ღრმაა," ნათქვამია ანდერძში. ორივე საბუთი ხელმოწერილია: "თეოდორ ს. ვილიამსი".

ტედის გარდაცვალების შემდეგ ათი დღის თავზე, და ორი კვირით ადრე, ვიდრე ჯონ-ჰენრი "ალკორს" 25 ათას დოლარიან ჩეკს გამოუწერდა, ჯონ-ჰენრიმ და კლაუდიამ სასამართლოს ქაღალდის ის ნაგლეჯი წარუდგინეს, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, და რომელიც მათ ვითომდა შემთხვევით აღმოაჩინეს თავიანთი მანქანის საბარგულში. ხელმოწერა - "ტედ ვილიამსი" და თარიღი – 8 ნოემბერი, ის დრო, როცა ტედი ჯერ კიდევ საავადმყოფოში იმყოფებოდა და ჯონ-ჰენრისა და ლემლერის შეხვედრამდე კიდევ რვა თვე იყო დარჩენილი.

მოწყალების ძმებს, ბრაზერსა და კარტერს, ამ საბუთის სინამდვილეში ეჭვი ეპარებოდათ, განსაკუთრებით, კლაუდიას ხელმოწერის გამო. 2000 წლის 31 ოქტომბერს ბრაზერსი ვილიამსთან იყო, როცა მას სუნთქვა გაუჭირდა. ბრაზერსმა კარტერს დაურეკა და სასწრაფოდ მოსვლა და დახმარება სთხოვა. ის მოვიდა, ჯონ-ჰენრის დაურეკა და უთხრა, რომ მამამისი ჰოსპიტალიზაციას საჭიროებდა. მოწყალების ძმებმა ვილიამსი ჰოსპიტალში წაიყვანეს. ცოტა ხანში იქ მისი ვაჟიც გამოცხადდა. კარტერმა ჰკითხა: "კლაუდიას რა ვუყოთ?", რაზედაც პასუხად ჯონ-ჰენრიმ მიუგო: "მას მე თავად მივხედავ".

მოწყალების ძმები ავადმყოფის ლოგინთან მორიგეობდნენ, ერთმანეთს 12 საათში ერთხელ ენაცვლებოდნენ. 5 ნოემბერს უცებ კლაუდიამ დარეკა და მათ საშინელი დღე აწია იმის გამო, რომ მამის ჰოსპიტალიზაციის ამბავი არ შეატყობინეს. ისმის კითხვა – როგორ მოაწერდა ხელს კლაუდია 2 ნოემბრით დათარიღებულ საბუთს, თუკი 5 ნოემბერს მამის ამბავი არ იცოდა? მიუხედავად ამისა, კლაუდიამ ფლორიდის სასამართლოს ცნობა წარუდგინა, რომელიც მისი ხელმოწერის სინამდვილეს ასაბუთებს. ალ კასიდიმ, ვილიამსების ოჯახის ძველმა მეგობარმა და ბეისბოლისტის მემკვიდრეობის აღმასრულებელმა, ჯონ-ჰენრისა და კლაუდიას მხარე დაიჭირა და ამ უკანასკნელის ხელმოწერაც სცნო.

2002 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც სასამართლოში 87 ათასი დოლარი დახარჯა, ბობი-ჯო და-ძმასთან კომპრომისზე წავიდა. კომპრომისი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯონ-ჰენრი და კლაუდია მამის დნმ-ს არ გაყიდდნენ. ბობი-ჯომ კი, თავის მხრივ, პრესაში მამის ცხედრისთვის ბრძოლა შეწყვიტა. გარდა ამისა, ჯონ-ჰენრიმ და კლაუდიამ ვეტო მოხსნეს, რომელიც ბობი-ჯოს მემკვიდრეობის კუთვნილი წილის – 200 ათასი დოლარის მიღებაში აფერხებდა.

როცა ვილიამსების ოჯახში უსიამოვნებები მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, "ალკორსა" და ჯონ-ჰენრის შორის ახალი კონფლიქტი გაჩნდა. "ალკორი" დარჩენილი 111 ათასი დოლარის გადახდისთვის იბრძოდა, ჯონ-ჰენრი ამას თავს არიდებდა. 18 მარტს "ალკორის" საადვოკატო კანტორამ ფენიქსში დაძმის წინააღმდეგ სარჩელის მომზადება დაიწყო. 8 ივნისს "ალკორის" დირექტორთა საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელზეც გადაწყდა, რომ და-ძმისთვის "პაციენტობაზე" უარი უნდა ეთქვათ. საბჭოს ზოგი წევრი "ვილიამსის სხეულის სანაგვეზე გადაგდებას" ითხოვდა, ხოლო მისი თავის ჯონ-ჰენრის სახლთან დაგდებას. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ჯონსონმა "ალკორთან" კავშირის გაწყვეტა და მის ხელთ არსებული საბუთების Sports Illustrated-ისთვის გადაცემა. საბჭოს წევრების ცინიკური წინადადებები "უკანასკნელი წვეთი" გახდაო, ამბობს ჯონსონი.

ამ დროს კრაიოსტარმაც აურია, რომელშიც ვილიამსის თავი ინახებოდა. ტემპერატურამ ხტუნაობა დაიწყო. ის არასანდო ჭურჭელი გახდა. 8 აპრილს მონიტორმა თავის ქალაში უზარმაზარი ბზარი დააფიქსირა. სულ მალე ბზარების რიცხვი ცხრამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 17 ივლისს ვილიამსის თავი სხვა კონტეინერში გადადეს, რომლის ნომერიც LR-40 იყო, და მასში თხევადი აზოტის ჩასხმას შეუდგნენ. სამი დღის შემდეგ ვილიამსის თავი ნევრო-ბიდონში მოათავსეს, დალუქეს და საგანგებო საცავში – სეიფში შეინახეს. ვილიამსის უთავოდ დარჩენილი ტანის ბედი დანამდვილებით არავინ იცის. ჯონსონის ალაპარაკებისა და Sports Illustrated-ის პუბლიკაციის შემდეგ ბობი-ჯომ მამის ნატანჯი ცხედრის კრემაციისთვის ბრძოლის განახლება გადაწყვიტა: "ვიბრძოლებ, სანამ ისინი ("ალკორი") არ დამიბრუნებენ," განაცხადა მან.

"ისინი" ვინ არიან?

ლურჯი შენობის ფასადზე შავი ასოებით წერია: "ალკორი". ტედ ვილიამსის ნეშტის გარდა, აქ კრიოგენულ მდგომარეობაში კიდევ 60 ცხედარი, ანუ, როგორც მათ ალკორის "სიცოცხლის გახანგრძლივების ფონდი" უწოდებს, პაციენტი ინახება. "ალკორი" თავს იკავებს იმის გარანტიისაგან, რომ გაყინული გვამები ერთ დღეს შეიძლება აღდგეს. "ალკორი" ამტკიცებს, რომ მისი ბიზნესი "მხოლოდ და მხოლოდ პრეზერვაციაა", ანუ შენახვა. მერე რა მოხდება – ეს მას არ ეხება.

ტედ ვილიამსის საქმის თანახმად, "ალკორს" ისედაც საეჭვო ტექნოლოგიების სფეროში ეთიკური ნორმების დარღვევაში ედება ბრალი. მაგალითად, გაირკვა, რომ ვილიამსის დნმ-ის 182 რეგისტრირებული ნიმუშიდან რვა სადღაც გაქრა (სულ მალე ამერიკის ბეისბოლის სტადიონებზე რვა ექსტრაკლასის მოთამაშის გამოჩენას უნდა ველოდეთ?). ფედერალური და შტატის კანონების გვერდის ავლით "ალკორი" ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში "ბიოსახიფათო სამედიცინო ნარჩენებს" უშვებს, მათ შორის ადამიანის სისხლის შემცველსაც. ეს ჯონსონმა შესაბამის ოფიციალურ ინსტანციებს შეატყობინა, მათ შორის არიზონას შტატის გარემოს ხარისხის შენარჩუნების დეპარტამენტსაც. თავად "ალკორის" ხელმძღვანელს, დოქტორ ლემლერსაც საეჭვო ბიოგრაფია აქვს. 2001 წლის მარტში მას სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა (პირობითად), "არაპროფესიონალური ქცევისთვის" 1997-დან 2000 წლამდე წონის დაკლებისთვის ჩატარებული ოპერაციების დროს. "ალკორის" დირექტორთა საბჭოს წევრებმა თავიანთი თავმჯდომარის დანაშაულებრივი წარსულის შესახებ აქამდე არაფერი იცოდნენ. ახლა ისინი მის გადაყენებას მოითხოვენ.

"ალკორი" 1972 წლიდან არსებობს როგორც არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც გადასახადებს არ იხდის. "ალკორის" სამოცი "პაციენტი" არამარტო ადამიანები არიან, არამედ შინაური ცხოველებიც, რომელთა გიჟივით მოყვარულ პატრონებს მომავალში მათი აღდგომის იმედი აქვთ. გარდა ამისა, არსებობს "ალკორის" 630 წევრი, რომელიც ყოველთვიურად საწევრო გადასახადს იხდის იმისთვის, რომ სიკვდილის შემდეგ მისი "პაციენტი" გახდება. უკვდავება ძალიან უნდათ, თუ მთლად უკვდავება არა, საკუთარი მეორედ მოსვლის განცდა მაინც! და ეს მიუხედავად იმისა, რომ "ალკორის" წევრობის საბუთში, რომელსაც მომავალი "უკვდავები" აწერენ ხელს, ნათქვამია: "მრავალი ექიმი, კრიობიოლოგი და სხვა მეცნიერი უარყოფს იმას, რომ კრიოგენული ხსნარი შეიძლება წარმატებული იყოს". მაგრამ მაინც...

ბეისბოლის კერპის ნეშტის ხელში ჩაგდებით "ალკორი" თავისი "პაციენტების" რიცხვის გაზრდაზე ოცნებობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ტედ ვილიამსის საქმიემ მას სულ სხვა დიდება მოუტანა, არა ისეთი, რომელიც ენადა. როგორც ჩანს, აუტკივარი თავი აიტკივეს, და ამისგან ისინი თხევადი აზოტით სავსე, ჰერმეტულად დალუქულმა კონტეინერებმაც ვერ იხსნა.



ამერიკული ბეისბოლის ლეგენდა ტედ ვილიამსი.



ამ მომენტში ტედ ვილიამსს არ წარმოედგინა, რომ ოდესმე თავში ღრმულებს გაუკეთებდნენ.

www.24hours.ge

24

B

ნომრის სტუმარი

# იმედი 2 ნოემბრამდე
## თუ უიმედობა 2 ნოემბრის შემდეგ

მაია ჭალაგანიძე

*ჯვარი გვწერია და, 2 ნოემბერი ღამის 11 სექტემბრად გვექცეს. როგორც დიდი კომბინატორი ამბობდა,* "я человек завистливый, но тут завидовать нечему..." *საზოგადოების ყურადღების მიქცევას ყველა იმით ცდილობს, რითიც შეუძლია - სხვადასხვა ფერის პიარით, ფულით, უფულობაზე წუწუნით, დაპირებით, თანაგრძნობით (თუმცა, ეს ყველაზე ნაკლებად). ექსპლუატაციას უწევენ ყველაფერს, დაწყებული საკანცელარიო საქონლითა და კომპიუტერული ტექნიკით, დამთავრებული - საზოგადოების ბნელი თუ ნათელი მხარეებით. საარჩევნო კამპანია ძალებს იკრებს. თითქოს, ყველა არჩევნებზე საუბრობს, მოსალოდნელ შედეგებზე მკითხაობს, წონის, ზომავს. თუმცა, როგორც ჩანს, სხვადასხვა საზომით. საკუთარ საზომებზე სახელისუფლებო ბლოკის ერთგული და პოპულარული სახე - ლევან მამალაძე გვესაუბრება...*

**- როდის იგრძენით, რომ თავისუფალი ადამიანი ხართ?**

- რა კუთხით მეკითხებით?! თავისუფლების ცნება ცოტა აბსტრაქტულია. თავისუფლება კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობაა. თუ იმას გულისხმობთ, რომ გადადგომის შემდეგ სახელმწიფო ვალდებულებები მომაკლდა, ისეთ რეჟიმში მომიწია ჩართვა, რომ ჩემთვის დიდად არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, რეგიონში თათბირებს არ ვატარებ. პრობლემები კი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**- გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებლობის რა ხარისხი გაქვთ?**

- გარკვეული პრინციპებისადმი, მნიშვნელოვანი საკითხებისადმი ყოველთვის ინდივიდუალიზმს ვინარჩუნებ. მაგრამ არის საკითხები, რომელიც გუნდურ რეჟიმში წყდება და ამ წესებს არა მხოლოდ მე - ყველა უნდა დაემორჩილოს.

**- რა პრინციპებზე საუბრობთ?**

- სახელმწიფოსა და სამშობლოსადმი ერთგულებაზე.

**- როდესაც ზოოვეტში სწავლობდით, იფიქრებდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავლენიან პოლიტიკოსად მოგნათლავდნენ?**

- ვარ იურისტი და ზოოინჟინერი. სწავლის დროსაც ბრძოლაში ვიყავი ჩაბმული. არ მინდა იმის თქმა, ლიდერი ვიყავი თუ არა, მაგრამ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სტუდენტური მოძრაობის ავანგარდში ვიყავით.

**- ბლოკის თათბირებზე თქვენს მიერ წამოყენებული, ვთქვათ, 10 წინადადებიდან რამდენს აქვს მხარდაჭერა?**

- ეს წინადადება, შეიძლება, 10 არ იყოს.

**- არის ერთი და გადამწყვეტი?**

- ასეთი მიდგომა არასწორად მიმაჩნია. მხოლოდ პრაგმატულ, არგუმენტირებულ საკითხებს ვუჭერთ მხარს.

**- სახელისუფლებო ბლოკი წინასაარჩევნო კამპანიას გაცილებით პასიურად ატარებს, ვიდრე ოპოზიცია. უფულობა - მოსმენილი გვაქვს, რა არის სხვა მიზეზი?**

- რა, უფულობა მნიშვნელოვანი არ არის?

**- რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ აქცენტები ოპოზიციის ლიდერთა კომპრომატების გამომზეურებაზე კეთდება.**

- არასწორი წარმოდგენებია ბლოკის საარჩევნო კამპანიის შესახებ. ჩვენმა ბლოკმა (ფულის ნაკლებობიდან გამომდინარეც) გადაწყვიტა, რომ ფინანსური საშუალებები რეკლამისკენ მიმართოს. საინტერესო და უცნაურია, რომ ყველაზე მდიდრულად დღეს ოპოზიცია გამოიყურება - სატელევიზიო რეკლამებისთვის, ბილბორდებისთვის ასეულობით მილიონ ლარს ხარჯავს. რომელიმე ქვეყანაში თუ გინახავთ, ოპოზიცია უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე სახელისუფლებო ბლოკი? ეს ანომალიაა. გამოდის, რომ ეს ოპოზიცია კონიუნქტურულია. რეალურ ოპოზიციას უყვარს თავისი ქვეყანა, სამშობლო, ერი... კონიუნქტურული ოპოზიცია კი ასრულებს დაკვეთას, რისთვისაც ფულს უხდიან. აი, ამიტომ აქვთ ამდენი თანხები.

ისინი ხომ კარგა ხანს იყვნენ ხელისუფლებაში - მართეს ეს ქვეყანა, მისი ფინანსები, საკანონმდებლო ორგანო - ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები და ჩვენს ქვეყანას სწორედ მაშინ შეექმნა ყველაზე სერიოზული პრობლემები. დღეს სწორედ ეს თანხები იხარჯება რეკლამაში.

ბედნიერი ვიქნებოდი, რომ რეკლამების ნაცვლად, დაპირისპირებულ პოლიტიკოსებს შორის პირდაპირი დებატები გამართულიყო.

**- თქვენ შესთავაზეთ და უარი მიიღეთ?**

- აქაც პიარტექნოლოგიებია. ზურაბ ჟვანიას ყოველთვის უჭირს დებატებში გამოსვლა და რუსი პიარჯგუფები (რომელიც მას 1995 წლის არჩევნებზეც ეხმარებოდნენ) ურჩევენ, რომ დღეს ის კარგი სახე არ არის და არ გამოჩნდეს. სააკაშვილი კი დებატებისას წყობიდან გამოდის. არადა, მას ყველანაირი მწვავე საკითხის მოსმენა და არგუმენტირებული პასუხების გაცემა უნდა შეეძლოს. დებატებით დაინახავს ხალხი, ვინ არის მართალი.

რეკლამებით ხალხის აზროვნების დეფორმირებას ცდილობენ. ამ თანხების წარმოშობის საკითხი კი, შეიძლება, მომავლის განსჯის საგანი გახდეს...

**- ორივე მხარე საკუთარ სიმართლეშია დარწმუნებული, მაგრამ სიმართლე ერთია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გაუთავებელი ბრალდებები საარჩევნო კამპანიას სერიოზულობას და ამომრჩევლის ნდობას დაუკარგავს?**

- სამწუხაროდ, დღეს საზოგადოება სეირის მაყურებლად იქცა და ამაში დიდია მედიის როლი. სენსაციის მოთხოვნილება აუცილებელი მიმართულებაა პრესისთვის.

**- პრესა ასახავს იმას, რასაც პოლიტიკოსები სჩადიან. ბოლნისს თუ გულისხმობთ, იქ გამოგონილი არაფერი იყო, კარგად ჩანდა, ვინ ვის სცემდა და ესროდა...**

- თქვენი გაზეთიც გადაგეშალათ... განწყობას აქვს დიდი მნიშვნელობა.

მუდმივად რაღაცეებს მაბრალებენ და ამ ბრალდებებს მეც პასუხს ვცემ. მეც მაქვს ფაქტები სხვა პოლიტიკოსების წინააღმდეგ. ჩემს წინააღმდეგ დადებული ერთი დოკუმენტიც კი არ მინახავს, მხოლოდ ჭორებია.

ყველაფერი არჩევნებს არ უნდა გადავაყოლოთ. საზოგადოება უნდა განეწყოს და დაინახოს, რომ ჩვენს გუნდს მეტი პროფესიონალიზმი, გამოცდილება აქვს, კანონების მიღება შეუძლია.

მინდა, რომ ჩვენს ინტერვიუში ითქვას - თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს რა ესაქმება სხვა ქალაქში...

**- სააკაშვილმა იქ თავისი მაჟორიტარი კანდიდატი ჩაიყვანა...**

- სადაც უნდა იქ წავიდეს, მაგრამ ჯერ თავის საქმეს, თავის საკეთებელს მიხედოს თბილისში.

**- თქვენ რეგიონის ხელმძღვანელი იყავით, ალბათ, დადიოდით სოფლებში და ხედავდით, როგორ უჭირს ხალხს - სიბნელე, უფულობა და ა.შ. ხომ არ გგონიათ, რომ პროპაგანდისტულ საუბრებზე და დაპირებებზე უფრო მეტად, ხელისუფლების მხრიდან საკუთარი შეცდომების აღიარება და მობოდიშება გაჭრის?**

- სტერეოტიპული წარმოდგენებია. დღესაც მქონდა შეხვედრები ჯანდაცვის მუშაკებთან, სადაც რეფორმის ჩვენი ხედვა, საპენსიო დავალიანებების გასტუმრების, ენერგეტიკული პრობლემების დაძლევის პროექტები წარვადგინეთ.

**- რას ისმენთ ამ შეხვედრებზე?**

- ისინი გვაძლევენ წინადადებებს, ჩვენ - ვპასუხობთ.

სხვათა შორის, თბილისიდან ქვემო ქართლის ცხოვრებაც არასწორად ჩანს. პედაგოგები დროულად იღებენ ხელფასებს. მივყვებით 30 პროცენტიანი მატების დინამიკას, წლევანდელი საპენსიო დავალიანებაც დაფარულია...

**- არა მხოლოდ ქვემო ქართლი ვიგულისხმე...**

- მე კი კონკრეტულად გპასუხობთ. არ ვიცი, სხვაგან რატომ არ ხდება ასე, ყველამ თავის საქმეს მიხედოს.

თბილისს მრავალეთნიკური რეგიონისგან არასდროს შექმნია პრობლემა. შევძელით, განგვემტკიცებინა ქართული სახელმწიფოებრიობა. დღესაც არის იქ მცხოვრები ხალხის მეხუთე კოლონად გამოყენების მცდელობა. იმას მივაღწიეთ, რომ ქართული ენის პროგრამა მოქმედებს - ხალხი ქართული ენის შესწავლას ითხოვს...

ჩვენ ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების შესრულება შევძელით. სახელმწიფო დაზღვევა კი მართლაც პრობლემაა... რატომ ვერ ვიღებთ თანხას, რომელიც ცენტრალურ ფონდში ირიცხება?! 1999-2000 წლებში 972 მილიონი ლარია გამქრალი...

**- სად გაქრა?**

- პროკურატურას მივმართეთ და, ალბათ, გაარკვევენ.

**- ეჭვი გაქვთ ვინმეზე?**

- ეჭვი გვაქვს. საარჩევნო კამპანიაში ასეულობით მილიონი ლარი იხარჯება... ეს ეჭვი არსებობს.

**- ამ თანხებზე როგორ მიუწვდა ხელი ოპოზიციას?**

- თქვენ ეს ოპოზიცია გგონიათ? შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე - ოპოზიცია იყოს?! მინისტრები, რომელთაც წლების განმავლობაში მართეს საქართველოს ეკონომიკა - ოპოზიცია როგორ იქნება?! დღეს რომ ვთქვა, ოპოზიცია ვარ-მეთქი, დაიჯერებთ?!

საზოგადოება იმედიანად უნდა განვაწყოთ, მას უნდა ჰქონდეს იმედი, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია...

**- მტრების არ გეშინიათ?**

- გუბერნატორობიდან გადადგომის შემდეგ მოვიცალე და სიტუაცია გავაანალიზე. ადამიანებმა დიდძალი თანხები დახარჯეს იმისთვის, რომ ჩემგან მტრის ხატი შეექმნათ. მივრცელებენ ჭორებს... რუსთავი-თბილისის ავტობუსებზე სვამდნენ ქალებს და ალაპარაკებდნენ: გაიგეთ, მამალაძე ნინაგებზე ნადირობსო, ჩემმა დისშვილმა თავისი თვალით დაინახა, როგორ მიათრევდა ნინაგსო და მსგავსი... ეს ტექნოლოგიები დღევანდელმა კონიუნქტურულმა ოპოზიციამ დანერგა. სამწუხაროდ, ამ ბინძური წნეხის ქვეშ მოვყევი, მაგრამ, ამ ხალხსაც მივუტევებ... თუ ეს ადამიანები საზოგადოების წინაშე ჩემთან ერთად ისაუბრებენ და მათი არგუმენტები ძლიერად მომეჩვენება, იქვე ვეტყვი - მართლები ყოფილხართ-მეთქი... თუ პირიქით მოხდება, მათაც უნდა ეყოთ საკუთარი შეცდომების აღიარების ვაჟკაცობა... ასე რომ, ქართველ კაცს მტრად არ აღვიქვამ, მაგრამ, მე ქართველი კაცი არ მებრძვის.

**- რამდენად წარმატებული აღმოჩნდა იმ კანდიდატთა სია, რომელიც სახელისუფლო ბლოკმა წარმოადგინა?**

- ჩვენი ბლოკის სია სხვა პარტიების საარჩევნო სიებს შევადარე. მათი ხუთეული კიდევ რაღაცას ჰგავს, ათეულში უკვე ვერ გაიგებ, ვინ ვინ არის... სახელისუფლებო სიის ასეულიც რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ ღირსეული კანდიდატები არიან. კონიუნქტურული ოპოზიცია პარლამენტში ხსნიდა თავის შრომის წიგნაკებს და ამას ბოლო უნდა მოეღოს...

**- სიაში უკმაყოფილოებიც გყავთ. რატომ? რა კრიტერიუმებით შეირჩა თქვენი სიები?**

- როცა ბლოკში ბევრი სუბიექტია, რთულია ისეთი სიების შედგენა, სადაც ყველა კმაყოფილი იქნება. არ ვიყავი მრავალსუბიექტიანი ბლოკის მომხრე. მინდოდა, ისეთი კანდიდატები ყოფილიყვნენ, რომელთაც ხალხის მხარდაჭერა აქვთ. მოხდა ისე რომ, ბლოკი გაიზარდა და, გარკვეულწილად, ეს სია დაბალანსდა. ვერ გეტყვით, რომ ყველა კმაყოფილია, მაგრამ ჩვენ ურთიერთვალდებულებები და გუნდური პრინციპით მუშაობა უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

**- გაასაჩივრებს თუ არა სახელისუფლო ბლოკი არჩევნების შედეგებს დამარცხების შემთხვევაში?**

- ყველაზე ცუდი, რაც დღეს დახვეწილი რუსული პოლიტტექნოლოგიით ხდება (რასაც ჟვანია, ბურჯანაძე და სხვები იყენებენ), არჩევნების ჩაშლისთვის მზადებაა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ იციან, იმ რაოდენობის ხმებს ვერ მოიპოვებენ, რაც სურთ.

რაც შეეხება გასაჩივრებას. ყველა - გლეხი, მუშა, პარლამენტარი, გუბერნატორი - მივეჩვიოთ კანონის პატივისცემას. თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, ამისთვის სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო არსებობს.

**- სახელისუფლო ბლოკიდან რატომ არ ისმის ლოზუნგი - "ყველანი არჩევნებზე", ან "არჩევნების ბედი ამომრჩევლის ხელთაა" და მსგავსი... ამას ხშირად სადამკვირვებლო ორგანიზაციები და ოპოზიცია მოუწოდებს. როგორ უყურებთ ამომრჩევლის მიერ სიების გადამოწმების აქციას?**

- ეს არის ზურაბ ჟვანიას მიერ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ვირტუალური სამყაროს მსხვრევა. მთელი საარჩევნო ტექნოლოგიები იმას ეყრდნობოდა, რომ მოქალაქის არჩევანი და კომპიუტერში ასახული სურათი ერთმანეთთან კავშირში არ ყოფილიყო. სიებში, რომელიც ცესკო-მ, საკრებულოებმა, შსს-მ გადაამოწმა, არარსებულ ბინებსა და სადარბაზოებს წავაწყდით. რუსთავში 42 ათასი სრულიად უცნობი გვარ-სახელი იყო დაფიქსირებული.

**- და ეს ყველაფერი ჟვანიას დანერგილია?**

- ეს იმ ტექნოლოგიებით მოხერხდა, რომელიც აქამდე არსებობს, კიდევ არის დარჩენილი კუდები...

კონიუნქტურული ოპოზიცია დღეს ამ სიების შესახებ ბევრს ყვირის. ავიწყდებათ, რომ მათ ეს რუსების დახმარებით გააკეთეს.

**- რატომ არ შეეწინააღმდეგეთ ამ ტექნოლოგიების დანერგვას მაშინ, 1999 წელს, როდესაც ერთ გუნდში იყავით?**

- ჩვენს შორის განხეთქილება სწორედ მაშინ დაიწყო, როცა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს გაუღეს კარები.

**- რაში გამოიხატა თქვენი წინააღმდეგობა, თქვენ ხომ მაინც თანამდებობაზე იყავით?**

- გუბერნატორი წინა საპარლამენტო არჩევნებამდე გავხდი.

**- ალბათ, სტრატეგიაა, როცა ერთ კვირას თქვენ აქტიურობდით, პრესისთვის აკეთებდით განცხადებებს, მეორე კვირას - სარიშვილი. რა მიზანი აქვს ამას? პიარჯგუფის იდეაა?**

- პიარ-ჯგუფი რომ მუშაობდეს, ლოზუნგებიც გვექნებოდა და საარჩევნო კამპანიასაც გავაჩაღებდით.

ამ საქმისთვის სპეციალურად არავინ ჩამოგვიყვანია. საქართველოშიც მოიძებნებიან ამ დარგის მაღალი დონის სპეციალისტები. სოციოლოგები, ფსიქოლოგები ამ ბოლო ხანებში ჩაერთნენ ბლოკის მუშაობაში და მალე ხალხი ჩვენგანაც მიიღებს გარკვეულ სიახლეებს.

**- ხედავთ თუ არა რაიმე ღირსებას ოპოზიციაში?**

- ოპოზიციას ორ ნაწილად დავყოფდი. არის ჯგუფი, რომელიც თავიდანვე ოპოზიციური იყო, მაგალითად - ნათელაშვილის პარტია, ასლან აბაშიძის "აღორძინება", "მრეწველები"... არიან ნაკლებად ცნობილი ოპოზიციური ჯგუფებიც. "ტრადიციონალისტებსაც" მიავკუთვნებდი ამ ჯგუფს, "სახალხოს" და ა.შ. ბოლო წლებში ეს პარტიები ცენტრალურ ხელისუფლებაში არ ყოფილან. მათ თავიანთი ხედვა აქვთ მომავალზე, რეფორმებზე და ა.შ.

არსებობს კონიუნქტურულად გაოპოზიციონერებული მეორე ჯგუფიც - ჟვანიას ჯგუფი, სადაც ბურჯანაძე და სხვები შედიან და სააკაშვილის ჯგუფი. ისინი დღესაც ხელისუფლებაში იმყოფებიან, უბრალოდ, მათ კონიუნქტურა კარნახობს, რომ იყვნენ რადიკალურ ოპოზიციაში. მათ ეს დავალება მიღებული აქვთ და უნდა შეასრულონ.

**- სარიშვილის განცხადებას გულისხმობთ?**

- ეს ჩემთვის ახალი არ არის. მათი რადიკალური ოპოზიციონერობა შეკვეთაა. მათი პოზიცია საქართველოს ფუნქციის განმსაზღვრელი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების წინააღმდეგ ქმედებაა. საქართველოს ფუნქცია ევრაზიის დამაკავშირებელი სისტემა, უმსხვილესი საერთაშორისო პროექტები და უმსხვილეს ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩართვაა.

ეს ჯგუფები სწორედ საქართველოს საყრდენ ამ წერტილებში ურტყამენ. და თუ საქართველოს ფუნქცია არ ექნა, ყველაფერი დაკარგულია...

**- თუკი ასე სერიოზულია შეკვეთის თემა, რატომ გაცხადდა ეს ირინა სარიშვილის მიერ, რომელიც უსაფუძვლო ბრალდებებში ერთხელ უკვე "შემჩნეულია" - ვგულისხმობ კახა თარგმაძისა და 40 ვიდეოკასეტის ეპიზოდს. ამით ბრალდებას ძალა ხომ არ დააკლდა?**

- სარიშვილის ნათქვამი შეიძლება ვიღაცას არასერიოზულად მოეჩვენოს, ვიღაცას - პირიქით. ირინა სარიშვილი ჩვენი ბლოკის სპიკერია და ამ განცხადების უფლება ჰქონდა.

**- გსმენიათ, ალბათ, იმის შესახებ, რომ საბიუჯეტო დაწესებულებებში რაღაც ანკეტებს ავსებინებენ, საპასპორტო მონაცემებს იწერენ, რკინიგზაზე პასპორტები ჩამოართვეს და სხვა ამგვარი. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?**

- თქვენ გაგიგიათ იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ბოლნისის მოსახლეობას 380 პასპორტი გამოსძალა?! ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენი ასე ცნობილი გაზეთი არ დაინტერესდა, თუ რაში დასჭირდა სააკაშვილს ეს პასპორტები. მოტივად მაჟორიტარული ბლანკების შეუვსებლობა მოიტანეს. სინამდვილეში კი - დუბლიკატებს გააკეთებდნენ და არჩევნებს გააყალბებდნენ.

ეს რომ ხელისუფლებას გაეკეთებინა, ტელევიზიებით ერთკვირიანი ანშლაგები იქნებოდა.

ყველა პოლიტიკური ჯგუფი კარდაკარ ატარებს მოსახლეობის აღწერას. როგორც კი სახელისუფლო ჯგუფი შევა ოჯახში, ხმაური ტყდება. რატომ ჟვანიას "კარდაკარი" არ იწვევს აჟიოტაჟს? რატომ არ გებადებათ ეს კითხვა?

**- იქნებ, თავადვე გვიპასუხოთ ამ შეკითხვაზე და გვითხრათ, რატომ აქვს საზოგადოებას ამგვარი განწყობა ხელისუფლების მიმართ?**

- ხელისუფლების მისამართით არ არის. ვინც ხელშეკრულება გააფორმა მედიის ამა თუ იმ სტრუქტურასთან, ისინი იმსახურებენ მედიის კეთილგანწყობას. ვინც არა - აგრესიულ დამოკიდებულებას და ეს ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესია. არ გვაქვს ფინანსური საშუალებები და რა ვქნათ?

**- მოქალაქეებს, ალბათ, გარკვეული გადაწყვეტილება აქვთ მიღებული იმის შესახებ, თუ ვის მისცემენ ან საერთოდ მისცემენ თუ არა ხმას. თქვენი ანალიზით, რეიტინგების და ბრალდებების ომის მიუხედავად, რა მოხდება 2 ნოემბერს?**

- ჩვენც ვატარებთ სოციოლოგიურ კვლევებს, ხოლო ის, რაც მედიაში იბეჭდება, პოლიტიკურ ჯგუფებსა და პრესასთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტია.

ვატარებთ გარკვეულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, რომელსაც არ ვაქვეყნებთ და გარწმუნებთ, აბსოლუტურად განსხვავებული სურათია. ჩვენი შიდა გამოკითხვებით, სექტემბრის დასაწყისისგან განსხვავებით, თბილისის უმრავლეს რაიონებში დღეს პირველ ადგილებზე ვართ. რეგიონებში კი მცირე გამონაკლისის გარდა ვართ პირველ ადგილებზე.

რაც შეეხება მოქალაქეების გადაწყვეტილებას, გეტყვით, რომ ძალიან დიდ ნაწილს არ აქვს გადაწყვეტილი, რომელ პოლიტიკურ ჯგუფს დაუჭერს მხარს. გამოკითხვებით, საინტერესო ფაქტი ვლინდება - ამომრჩეველთა ასეთი მაღალი აქტივობა ჯერ არც ერთ არჩევნებზე არ ყოფილა.

დაახლოებით 50 პროცენტზე მეტს კი გადაწყვეტილი არ აქვს, ვის მისცემს ხმას. აი, ეს ის რაოდენობაა, რომელიც არჩევნების ბედს გადაწყვეტს. და ეს ხალხი თავის ოჯახებს, შვილებს და სამშობლოს დაუჭერენ მხარს.

**- ანუ, ხელისუფლებას?**

- იმ ადამიანებს, ვინც იცის, რისთვის მიდის პარლამენტში.

**- მოსახლეობის ამგვარი საარჩევნო აქტივობა ოპოზიციის დამსახურებაა, საერთაშორისო დამკვირვებლების თუ ხელისუფლების?**

- ვფიქრობ, რომ საზოგადოებას იმედიანი მოლოდინი აქვს. როგორც წესი, გადაწყვეტილებები წინასაარჩევნო პერიოდის მიწურულს ყალიბდება.

**- ამ ბოლო დროს მთელი თქვენი დრო არჩევნებთან არის დაკავშირებული. რაიმე კარგი არ მომხდარა თქვენს ცხოვრებაში?**

- დღეს, 10 ოქტომბერს, ჩემს პატარა შვილს, ლეგას 2 წელი უსრულდება. სამი შვილი მყავს და ღამის ხუთ საათზე რომ მივდივარ, აუცილებლად უნდა დავხედო.

ასე რომ, ჩემთვის არჩევნები მთავარი არ არის. მთავარი იმედია...

**როგორც დათო გოგიჩაიშვილი იტყოდა, დიახ, "გქონდეთ იმედი და უყურეთ "რუსთავი-2"-ს...**





"მუდმივად რაღაცეებს მაბრალებენ..."



# ყველა ჩიტი - 2

## ნიდერლანდებიდან საქართველომდე



ინგრიდ დეხრავე და ზაზა თვარაძე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მრავალი, მრავალი წლის წინათ, მე-12 საუკუნეში ერთი ფლანდრიელი ბერი ინგლისში, მონასტერში ჩასულა დიდი ლათინური წიგნის გადასაწერად - ჩანს, შესანიშნავი კალიგრაფი იყო. ერთი ისაა, რომ მის კალამს შემოწმება სჭირდებოდა ხოლმე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი "კალმის მოსინჯვის" დროს ბერს წიგნის არეზე დაუწერია: "ყველა ჩიტმა აიშენა ბუდე, შენს და ჩემს გარდა. როდემდე, სად ვართ?" ეს სიტყვები მას ლათინურად კი არა, ნიდერლანდულად დაუწერია - თავის მშობლიურ დიალექტზე. ეს წარწერა ნიდერლანდული მწერლობის პირველ ნიმუშად ითვლება.*

*უცნობია, რას გულისხმობდა მწიგნობარი ბერი. ერთი ვერსიის თანახმად, "ყველა ჩიტი" დღეს უკვე მივიწყებული ფლანდრიული ხალხური სიმღერა იყო. მეორე ვერსიით, ბერი თავის სამშობლოს ბედს დასტიროდა – მაშინ, როცა მთელი ევროპა ლიტერატურულ ძეგლებს ქმნიდა, ნიდერლანდელები ჯერ "სად იყვნენ". ჰოდა, ახლაც, როცა საქართველოშიც და ნიდერლანდებშიც უამრავი საინტერესო ამბავი ხდება, ნიდერლანდელებმა და ქართველებმა ერთმანეთის შესახებ, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით – სად ვართ...*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეს ამბავი თბილისის ნიდერლანდული ენისა და კულტურის ცენტრის "დედამ" ინგრიდ დეხრავემ მიამბო (სხვათა შორის, ქართულად), იმასთან დაკავშირებით, რომ ნიდერლანდული კულტურის ფესტივალს "ყველა ჩიტი" ჰქვია და, ვერ გავიგე - რატომ. სწორედ ამ ქალბატონის წყალობით, ჩვენს დედაქალაქში წელს უკვე მეორედ გაიმართება ნიდერლანდულ/ფლანდრიულ/ქართული კულტურის ფესტივალი.

წელს ჩვენს საზოგადოებას სამი უაღრესად საინტერესო ღონისძიება ელის: კინემატოგრაფიულ ნაწილში ჰოლანდიელი ალექს ვან ვარმერდამისა და ქართველი ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმები იქნება ნაჩვენები; გარდა იმისა, რომ ორივე შემოქმედი ნამდვილი ოსტატია, ამ ორმაგმა რეტროსპექტივამ, შეიძლება, მაყურებელში პარალელური ასოციაციებიც გამოიწვიოს; ქარვასლაში თანამედროვე ფლანდრიული ფოტოგრაფიის გამოფენის დათვალიერება შეგვეძლება; ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული პირველი ღონისძიება კი "სამეფო უბნის თეატრში" პოეტ სტეფან ჰერტმანსთან შეხვედრა გახლავთ.

რატომ მაინცდამაინც სტეფან ჰერტმანსი?

როგორც ქალბატონმა დეხრავემ თქვა, ნიდერლანდებისთვის ის იმავე მასშტაბის ფიგურაა, როგორიც საქართველოსთვის ვახუშტი კოტეტიშვილი ან ოთარ ჭილაძე არიან. ინგრიდის თქმით, მისი ჩამოსვლის ფაქტი ერთობ საკვირველი ამბავია: არცთუ შორეულ ნიდერლანდებში ჩვენი ქვეყნის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი პოეტმა თავად გამოთქვა. და იმის გათვალისწინებით, რომ ბატონი ჰერტმანსი დიდად არსად ილტვის, საკმაოდ უჩვეულო ვიზიტთან გვაქვს საქმე.

როგორც გაირკვა, რამდენიმე ხნის წინათ ვენის ნიდერლანდული ენისა და კულტურის ცენტრის 10 წლისთავთან დაკავშირებით ავსტრიის დედაქალაქში ჩაბრძანებულ ლიტერატორს წვეულებაზე ნიდერლანდული ენის კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან უსაუბრია – სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია აფინანსებს მთელს მსოფლიოში არსებულ 300 ნიდერლანდული ენისა და კულტურის ცენტრს. ეს ბატონი ამაყად ყვებოდა თბილისის ცენტრის საქმიანობის შესახებ, და სტეფან ჰერტმანსიც აინთო – მის შემოქმედებაში მედეას სახეს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია და, როგორც ჩანს, ის პრომეთეს მიმართაც არაა გულგრილი.

სტეფან ჰერტმანსის ლექსები, საგანგებოდ ამ დღეებთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე ითარგმნა. ერთ-ერთი მთარგმნელი დავით ლოლიჯაშვილია, ინგრიდ დეხრავეს საამაყო სტუდენტი, რომელმაც ნიდერლანდული ენის და კულტურის შესწავლა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო და ამჟამად, ნიდერლანდული სტიპენდიის წყალობით, ერთი წლით უტრეხტის უნივერსიტეტში ისწავლის. ინგრიდ დეხრავეს თქმით, ლიტერატურული თარგმანის განყოფილებაში მას შესანიშნავი პროფესორი უწევს ხელმძღვანელობას.

ქ-ნ დეხრავეს სავსებით ვენდობით – დავითი, როგორც ჩანს, არ ხუმრობს, სხვა თუ არაფერი, სწორედ მან თარგმნა იოკე ვან ლეეუვენის საკმაოდ ანარქისტული საბავშვო წიგნი "ჰიპ!", რომელსაც ქართველი მკითხველი წელს გაეცნო. მაგრამ, ის ხომ პოეტი არაა...

თანამედროვე ქართული ლიტერატურის მოამაგის (მისი დანარჩენი წოდებების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა) მალხაზ ხარბედიას რეკომენდაციით, მთარგმნელი პოეტის არცთუ იოლი მისია ზაზა თვარაძეს დაეკისრა. ინგრიდი ამ წინადადებას სიხარულით შეხვედრია, მით უმეტეს, რომ "ჰიპ!"-ზე მუშაობისას პოეტთან უკვე ჰქონია საქმე – ზაზა ამ ზღაპრის რედაქტორი გახლდათ. მაგრამ, ზღაპარი სხვაა და, ზაზა თვარაძის თქმით, - "ძალიან რთული ტროპული სისტემის მქონე, ძალიან რთული პოეტის" თარგმნა – სულ სხვა.

ზაზა თვლის, რომ პოეზია, ერთგვარი გაგებით, საერთოდ არ ითარგმნება. თან თუ გავითვალისწინებთ, რომ სტეფან ჰერტმანსი ნიდერლანდებშიც განსხვავებულ, ესეისტური ტიპის პოეტად ითვლება, უკეთ წარმოიდგენთ, რა დრო ატარა ზაზა თვარაძემ. "ძალიან ღრმა და ჩახვეულია, უცნაურად დალაგებული წინადადებებით. ამ ტიპის პოეტი საქართველოში საერთოდ არ გვყავს. მისი თარგმნისას ვამჯობინეთ, სიზუსტე დაგვეცვა, რომ მისი აზროვნება, მისი სამყარო ქართველებსაც ენახათ. ჩვენი ახალგაზრდა პოეტებისთვის ჰერტმანსის გაცნობა ძალიან სასარგებლო შეიძლება იყოს: ეს კაცი უაღრესად განათლებულია, ყველაფერი იცის – ლიტერატურა, ფერწერა, ფილოსოფია, პოპ-კულტურა... თვითნაბადი პოეტი ერთია, მაგრამ ამ კაცს კულტურის ღრმა ცოდნაც ეტყობა: აქვს ლექსები, ვთქვათ, ფერწერულ ტილოზე, მუსიკალურ ნაწარმოებზე, ღრმა ფილოსოფიურ მსჯელობაზე რომ არ ვილაპარაკოთ..."

ნიდერლანდელთა (და არა ნიდერლანდულენოვანი) ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი ზაზა თვარაძე ორი ლექსის თარგმანითაა განსაკუთრებით კმაყოფილი: "კირკეგორი" და "სიცხიანი ელისი": "აწყობილი და სისტემური ლექსებია, არაა მხოლოდ ემოციათა ქროლვაზე დამოკიდებული. ასეთი ზუსტსიტყვიანი და რთული, ფილოსოფიურ მოტივებზე დახვეული სიტყვები ნამდვილად იშვიათობაა".

ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება ავტორისა და მთარგმნელის შეხვედრა - სტეფან ჰერტმანსი ამ დღეებში თბილისს ეწვევა და, ცხადია, მთარგმნელსაც გაიცნობს. "რა ენაზე ველაპარაკო, არ ვიცი," - დაიჩივლა ზაზამ.

ვფიქრობ, პრობლემა არ შეექმნებათ – სხვა თუ არაფერი, ინგრიდ დეხრავე გაუწევთ თარჯიმნობას. ჩვენ კი 13 ოქტომბერს "სამეფო უბნის თეატრში" ორივესთან შეხვედრასაც შევძლებთ და წიგნის შეძენასაც, და იქნებ იმაშიც გავერკვეთ, რაში მდგომარეობს სტეფან ჰერტმანსის "ანუნსიაციები".

ქართული კულტურის დღეები მოსკოვში

# „საზღვარგარეთ ყველაფერი კარგად გვაქვს"

## კულტურის მინისტრის ევროპული შთაბეჭდილებები

ვერა ნეფარიძე

*"იუნესკოს" გენერალური კონფერენცია და მოსკოვში დაგეგმილი ქართული კულტურის დღეები ის ძირითადი საკითხებია, რომელზეც მთლიანადაა გადართული საქართველოს კულტურის სამინისტრო. პარიზიდან დაბრუნებულმა კულტურის მინისტრმა გუშინ პრეს-კონფერენცია გამართა და, მოსკოვური სამზადისის გარდა, პარიზში მიმდინარე კონფერენციაზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მიღებული თუ მოსალოდნელი გადაწყვეტილებების შესახებ ისაუბრა...*



ვახტანგ მაჭავარიანი ფესტივალის მონაწილეა.

"იუნესკოს" გენერალური კონფერენცია პარიზში 29 სექტემბერს გაიხსნა. კონფერენციას რამდენიმე დღის განმავლობაში სესილი გოგიბერიძეც ესწრებოდა. პარიზში მიღებული გადაწყვეტილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, გრანტის სახით, 160 ათასი ამერიკული დოლარის ჩვენთვის გადმოცემა. გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ თანხას საქართველოს იაპონური მხარე გადმოსცემს საერთაშორისო პოლიფონიური ცენტრის დასაარსებლად. თანხა უნდა მოხმარდეს საქართველოსა და კავკასიის ტრადიციული მრავალხმიანობის მონაცემთა ბაზის შექმნას. პროექტის კოორდინატორია ანზორ ექრომაიშვილი. ცენტრი სახელმწიფო კონსერვატორიის ბაზაზე უნდა შეიქმნას. გუშინ "იუნესკოს" კონფერენციაზე კულტურის სექცია ამუშავდა, სადაც ქართულ მხარეს მინისტრის პირველი მოადგილე ნინო კობახიძე და სახელმწიფო კოსერვატორიის რექტორი მანანა დოიჯაშვილი წარმოადგენენ.

კონფერენციაზე ქართულმა მხარემ აფხაზეთში ქართული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად სამორიტონგო ჯგუფის ჩასვლის საკითხიც დააყენა. თუმცა, ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიღებულა. როგორც სესილი გოგიბერიძემ გვითხრა, ნინო კობახიძე ამ საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდება პარიზში. დაკმაყოფილდება თუ არა ქართული მხარის მოთხოვნა, ამას მოგვიანებით შევიტყობთ - პარიზში კონფერენცია 17 ოქტომბერს დასრულდება. მანამდე კი "იუნესკომ" ჩვენს სასარგებლოდ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო - 85 ათასი ამერიკული დოლარის (საწევროს) გადახდის შემდეგ საქართველოს ჩამოეწერა "იუნესკოს" დავალიანება – მილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან ვალად გვქონდა.

კულტურის მინისტრის საფრანგეთში ყოფნას დაემთხვა პარიზში რეზო ამაშუკელის რიგით მეორე ფრანგულენოვანი კრებულის პრეზენტაცია და თავად ავტორის პოეზიის საღამო, რომელიც მოლიერის თეატრში გაიმართა. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი კულტურული მოვლენა ევროპაში, რომელმაც საქართველოს კულტურის მინისტრი ოპტიმისტურ გუნებაზე დააყენა. "თამარ ჯავახიშვილის წარმატებული გამოსვლა "კოვენტ გარდენში", ანსამბლ "რუსთავის" კონცერტები ლონდონში, დიდ ბრიტანეთში გორის ქალთა გუნდის, ხოლო ბასტილიის ოპერაში ლადო ათონელის დაგეგმილი გამოსვლები, - საზღვარგარეთ ყველაფერი კარგად გვაქვს. ნეტავ, ყველაფერში ასე ვიყოთ", - თქვა ჟურნალისტებთან ევროპული შთაბეჭდილებების გაზიარების დასასრულს სესილი გოგიბერიძემ და მოსკოვში ქართული კულტურის დღეების დეტალები გაგვაცნო.

მოსკოვში დაგეგმილი მასშტაბური კულტურული ღონისძიების შესახებ წინა ნომერშიც ვწერდით. გუშინ სესილი გოგიბერიძემ კიდევ რამდენიმე (აქამდე ჩვენთვის უცნობი) მონაწილის ვინაობა გაგვიმხილა. ამ შემადგენლობის გაცნობის შემდეგ ირკვევა, რომ მოსკოვში ქართული კულტურა საკმაოდ ძლიერი კლასიკური პროგრამით წარდგება. თავად განსაჯეთ: ლიანა ისაკაძე, მაყვალა ქასრაშვილი, მარინე იაშვილი, ნინო ანანიაშვილი, ზურაბ სოტკილავა, ლექსო თორაძე... საესტრადო სცენის წარმომადგენელთა გუნდი მოსკოვის "მუსიკის საერთაშორისო სახლში" თანამედროვე ქართულ ესტრადას წარადგენს. მოსკოვში გათვალისწინებულია ჯაზის საღამოც (თამაზ ყურაშვილი და მისი ბენდი). კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს დათო ევგენიძის კვარტეტიც.

როგორც სესილი გოგიბერიძემ გვითხრა, კონცერტებს, ალბათ, არ დაესწრება რუსეთის პრეზიდენტი. "მაშინ საქართველოს პრეზიდენტიც უნდა ჩასულიყო მოსკოვში და, ამ შემთხვევაში, ღონისძიების მნიშვნელობა უფრო პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენდა", - თქვა კულტურის მინისტრმა.

# ფეხბურთით და ფესტივალით საქართველო რუსეთის კარზე აკაკუნებს

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

13 ოქტომბერს მოსკოვში თავისი შინაარსით უპრეცედენტო ღონისძიება დაიწყება: უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ასეთი მასშტაბური ქართული კულტურის ფესტივალი არ ჩატარებულა. მისი გამართვა აგვისტოში მოსკოვში ორი ქვეყნის კულტურის მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდა. იქვე მოეწერა ხელი ღონისძიებების კომპლექსურ გეგმას. ფესტივალის პრინციპია, აჩვენონ არამარტო ნაცნობი და საყვარელი სახეები, არამედ - მონატრებულიც.

აი, რა გვითხრა რუსეთის დიდი თეატრის დიდი სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვახტანგ მაჭავარიანმა:**

"90-იანი წლების შემდეგ მე რეგულარულად საფრანგეთში ვცხოვრობ, ლექსო თორაძე - გერმანიაში, იქვეა ლიანა ისაკაძეც. ლექსო მოსკოვში ჩამოვა, უფრო მეტიც - იგი სპეციალურად კულტურის დღეებისათვის გმირულ საქციელს ჩაიდენს - 12 ოქტომბერს ვერონაში კონცერტი აქვს, 13-ში მილანიდან მოსკოვში ჩამოფრინდება, შუადღის 4 საათზე კოსმოსური ტემპით ქართული კულტურის დღეების გახსნის, გალა კონცერტზე მოვა დიდ თეატრში, მერე ჩაიკოვსკის დიდ დარბაზში რეპეტიციებს დაიწყებს. გვითხრა, - სავარძელი დამიდგით, იქვე დავიძინებო. დიდი თეატრის სიმფონიური ორკესტრიც, რომელიც, გვეგონა, უარს იტყოდა მონაწილეობაზე, ქართველი მაესტროს ხათრით დაგვთანხმდა."

გალა კონცერტში ვახტანგ კიკაბიძეც მიიღებს მონაწილეობას, ნანი ბრეგვაძეც, მაყვალა ქასრაშვილიც.

**ვახტანგ კიკაბიძე:** "ჩემთვის დიდი ესტრადა მაინც მოსკოვშია. თუმცა, სხვანაირად ვნერვიულობ, როცა თბილისში გამოვდივარ. რა ვქნა, არანორმალურად ვმუშაობ, რომ თბილისში გაჭირვებულ ნათესავებს დავეხმარო".

**თამრიკო გვერდწითელი:** "კულტურის დღეები მოსკოვში საშუალებას მოგვცემს, დავძლიოთ ის უარყოფითი ემოციები, რაც ბოლო წლებში პოლიტიკოსებმა დაგვიგროვეს".

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი **ზურაბ აბაშიძე:** "სწორედ კულტურის ხარჯზე გადარჩა ორი ქვეყნის ურთიერთობა, ამიტომ ეროვნული ენერგეტიკა ამ დღეებში კოლოსალურ როლს ითამაშებს".

ლექსო თორაძესთან ერთად მოსკოვში ჩამოვა ცნობილი სოპრანო იანო ალიბეგაშვილი. სამწუხაროდ, ნიკოლოზ ცისკარიძე და ბადრი მაისურაძე გასტროლებზე იქნებიან.

შარშანაც უნდოდათ ორი ქვეყნის კულტურის მუშაკებს მსგავსი ფესტივალის მოსკოვში ჩატარება, მაგრამ საქართველო-რუსეთს შორის არასასახარბიელო პოლიტიკურმა ფონმა ღონისძიება ჩაშალა. მადლობა ღმერთს, ეს სიძნელე, პოლიტიკოსებისა და დიპლომატების წყალობით, დაძლეულია (ასე თვლიან მოსკოვში) და დღეს ქართული კულტურის ფესტივალის ჩატარებისათვის ნამდვილად კარგი ფონი და სასიამოვნო ნიადაგია შექმნილი. ცნობილია, რომ ერთი თვის წინ სოჭში გაშლილ ერთ სუფრაზე რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ნანი ბრეგვაძე გვერდით მოისვა და კომპლიმენტებით აავსო. ქაბლატონ ნანისაც მიაჩნია, რომ კულტურის ფესტივალი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებაში.

მოსკოველი ქართველობა უფასო მოსაწვევებს დაეძებს - ბილეთები, ცოტა არ იყოს, ძვირია. უფასო მოსაწვევები მხოლოდ რუსეთის პოლიტიკურ ბომონდს დაურიგდა. ძვირფას სტუმრებს დიდი სიამოვნება ელით. თანაც 11 ოქტომბერს ფეხბურთია. ზურაბ აბაშიძე თვლის, რომ როგორი შედეგითაც უნდა დასრულდეს მატჩი, ქართველები მაინც კარგ ხასიათზე იქნებიან.

**ვახტანგ კიკაბიძე**: "როცა პოლიტიკაში რაღაც იცვლება, ხალხი ამას ბოლოს იგებს. რუსეთში მე ეს არ მიგრძვნია. ხალხს პოლიტიკა არ უნდა. ეს, პირველ რიგში, რუსმა პოლიტიკოსებმა უნდა გაიგონ. ნახონ და იცოდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ კულტურა გადაგვარჩენს. ამიტომაც, ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია. თბილისში, ალბათ, გაოცდებიან, ოპოზიცია ერთ ამბავს ატეხს, მაგრამ, დამიჯერეთ, ჩვენ უკეთესად გამოვიყურებით, როცა ერთად ვმღერით. მე, მაგალითად, სამ კონტრაქტზე ვთქვი უარი, ამ ფესტივალში მონაწილეობა რომ მიმეღო".



"ჩემთვის დიდი ესტრადა მაინც მოსკოვშია. თუმცა, სხვანაირად ვნერვიულობ, როცა თბილისში გამოვდივარ.

# „ჩხიკვთა ქორწილის„ სასცირკო წარმატება

## ალექსანდრე ბასილაია მოსკოვში აგრძელებს საქმიანობას, კულტურის სამინისტროს კი "ფილარმონიის" მითვისებაში ამხელს

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ალექსანდრე ბასილაიამ ქართული მას-მედიის წარმომადგენლები მიიწვია. თემა, თითქოს, მხოლოდ "ჩხიკვთა ქორწილის" წარმატებული მოსკოვური ინტერპრეტაცია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ცნობილი კომპოზიტორი და ვერც მისი გულშემატკივრების ამალა ვერ ასცდა ბოლო დროს გახმაურებული დიდი საკონცერტო დარბაზის თემას.*



ანსამბლი "ივერია" თითქმის მთელი შემადგენლობით.

გუშინდელი შეხვედრის მასპინძლებს (ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირი "მუზა XXI"-ის წევრები: ალექსანდრე ბასილაია, გია მაჭარაშვილი, ვახტან ტატიშვილი, თემურ წიკლაური და "ჩხიკვთა ქორწილის" რუსული ინტერპრეტაციის ქართველი ავტორები) რატომღაც ძალიან გაუკვირდათ, როდესაც პრესკონფერენციაზე მიწვეული ჟურნალისტების უმრავლესობას "ჩხიკვთა ქორწილის" მოსკოვურ "წარმატებებზე" მეტად ფილარმონიის გარშემო შექმნილი მდგომარეობა აინტერესებდათ. ცნობილმა ხელოვანებმა ჟურნალისტებს ასეთი ინტერესი, ლამის, ანტიპატრიოტული სულისკვეთების გამოხატვად ჩაუთვალეს.

შეუძლებლად მეჩვენება იმ პათოსის გაზიარება, რაც გუშინდელ შეხვედრას მასპინძელთა მხრიდან ფონად გასდევდა. ის, რომ "ჩხიკვთა ქორწილი" მოსკოვის სახელმწიფო ცირკში რუსული ინტერპრეტაციით (დადგმის მასშტაბურობის მიუხედავად, წარმოდგენაში, თურმე, 107 მსახიობი მონაწილეობს) წარმატებით განხორციელდა, სულაც არ იძლევა საბაბს, რომ ქართული ესტრადის გამარჯვება ვიზეიმოთ. არადა, ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლები გუშინ სწორედ ამას მოითხოვდნენ ჩვენგან. როდესაც 23 წლის განმავლობაში ქვეყნის ერთადერთი დიდი საკონცერტო დარბაზის საამაყო მუსიკალურ-თეატრალიზებული სანახაობა, თუნდაც დიდი ქვეყნის (ამ შემთხვევაში, ეს დიდი ქვეყანა სწორედ რუსეთია), საცირკო არენაზე გადაინაცვლებს, არა მგონია, ზარ-ზეიმისა და სიამაყის გრძნობის საბაბად გამოდგეს.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უფრო მეტად საინტერესო იყო ალექსანდრე ბასილაიასგან უშუალოდ მოგვესმინა კომენტარები ფილარმონიასთან დაკავშირებულ მის უკმაყოფილებაზე, მით უმეტეს, რომ მისი თბილისში არყოფნის გამო, ამის საშუალება აქამდე არ არსებობდა. როგორც ცნობილია, შარშან ფილარმონიასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნა. ამ ზაფხულს საბჭოს წევრებისგან გამხურდა (ამის შესახებ "24 საათი" წერდა) ის უკმაყოფილება, რაც არსებობს მათსა და ფილარმონიის დირექციას შორის. "13 წლის განმავლობაში დარბაზს ზარალის მეტი არაფერი უნახავს. დირექტორი კი თანამშრომლებს ჩვენთან ურთიერთობასაც უკრძალავს", - გვითხრა სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" მმართველმა დირექტორმა მიშა გიორგაძემ. არადა, სამეთვალყურეო საბჭო იმისთვის შეიქმნა, რომ გარკვეული რეკომენდაციები, მითითებები მისცეს დირექციას. გუშინდელ შეხვედრაზე საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელობა ცდილობდა, პრობლემა სხვა მხრიდან ეჩვენებინა.

"სამეთვალყურეო საბჭო კულტურის სამინისტრომ შექმნა თავის დაქვემდებარებაში, საბჭოს წევრები კი ჯამაგირს აქ, ჩვენთან იღებენ. სამინისტროს თვითონ უნდა ხელში ჩაიგდოს დარბაზი, მაგრამ ამის ნებას არ მივცემთ", - დარწმუნებულია ჯემალ ბაღაშვილი. "დღეს ეს დარბაზი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. ამაში დავრწმუნდი, რადგანაც ფილარმონია სახელმწიფოსგან ერთ თეთრსაც არ იღებს", - დაამატა დიდი საკონცერტო დარბაზის დირექციამ ალექსანდრე ბასილაიამ.

ფილარმონიის ხელმძღვანელობამ ისაუბრა, რომ დარბაზი უკანასკნელად 15 წლის წინათ გარემონტდა; რომ დარბაზში 35 წლის წინანდელი აპარატურაა. ხოლო, ის, რომ დარბაზის მომსახურებით უკმაყოფილო მომღერლების რიცხვი იზრდება, ამაში თავად მომღერლები არიან დამნაშავენი. "მეც გამიმართავს აქ კონცერტები და არავითარი ზედმეტი პრობლემა არ გამჩენია", - ფილარმონიის დირექციას მომღერალი მერაბ სეფაშვილი გამოესარჩლა. ალექსანდრე ბასილაიას დაცვას ცდილობდნენ და ჟურნალისტებისადმი რატომღაც გამძაფრებულ ანტიპათიას ამჟღავნებდნენ დარბაზის თანამშრომლები, რომლებიც, გაუგებარია რატომ, პრესკონფერენციას ესწრებოდნენ. პრესკონფერენციის სულისკვეთება ყველაზე კარგად ერთ-ერთი "ქუჩის ბიჭის" რეპლიკამ გამოხატა: "ერთმანეთზე ცუდის წერას, კარგი დავწეროთ, არ სჯობს?" – სიამოვნებით: პრესკონფერენციაზე ღვინო, მართლაც, ჩინებული იყო.

# სიყვარულით მილანიდან

## გია ონიანი და ნინო სურგულაძე ლა სკალადან "კარმენით" ბრუნდებიან

*თბილისის ოპერის თეატრისგან განსხვავებით, რომელიც ამ სეზონზე ყურადღების ცენტრში, ძირითადად, ორგანიზაციული სკანდალების წყალობით მოექცა, სიმფონიური მუსიკის ცენტრმა წლევანდელი "შემოდგომის თბილისის" ყველაზე ხმაურიანი ღონისძიება სწორედ საოპერო მუსიკას მიუძღვნა. ფესტივალის, ფაქტობრივად, უკანასკნელი კონცერტი (თუ არ ჩავთვლით 12 ოქტომბერს დაგეგმილ სიმფონიური ორკესტრის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას) ბიზეს "კარმენს" დაეთმო. მძაფრი ვნებები სიმფონიური ცენტრის სცენაზე მილანის ლა სკალას აკადემიის სტაჟიორების - გია ონიანის და ნინო სურგულაძის, ასევე, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტის ბესიკ გაბიტაშვილის შესრულებით გათამაშდა. გუშინდელი საღამო გამორჩეული იყო იუბილეს მიტანებული ორკესტრისთვისაც. "კარმენი," ვახტანგ კახიძის ხელმძღვანელობით, წლევანდელი სეზონის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ მოვლენად იქცა.*

მადი სერებრიაკოვა

ბიზეს "კარმენი" "შემოდგომის თბილისზე" საოპერო მუსიკის საკონცერტო შესრულების ტრადიციის ერთგვარი გაგრძელება იყო. გასულ წელს, მართლაც, დაუვიწყარ მოვლენად იქცა ვერდის "მაკბეტი". მასში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდა ევროპის სცენაზე მოღვაწე, ალბათ, ყველაზე აღიარებული ქართველი მომღერალი, ლადო ათანელი. ამ უკანასკნელს "შემოდგომის თბილისის" გუშინდელი სოლისტები თავისი რანგითა და მასშტაბით, შესაძლოა, ჯერ კიდევ ბევრად ჩამოუვარდებიან; და მაინც, "კარმენი" წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე პომპეზური და ამაღლვებელი ღონისძიება იყო. კმაყოფილებას ვერც მსმენელი ფარავდა. წლევანდელ ფესტივალზე რეკორდული რაოდენობის მსმენელი სწორედ "კარმენს" დაესწრო.

ბიზეს "კარმენი" ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც დიდი და პატარა, მუსიკოსი თუ მეწაღე სიამოვნებით ღიღინებს. მისი საშუალებით მომღერლებისთვის გაბრწყინებაც ადვილია, თუმცა თავის შერცხვენის საფრთხეც დიდია. ნინო სურგულაძისა და გია ონიანის გამოჩენას "კარმენში" ორმაგი ინტერესით ველოდით: პირველ რიგში, გვაინტერესებდა ევროპაში გადახვეწილი ახალგაზრდა მუსიკოსების ვოკალური მიღწევები, მეორე მხრივ კი - რა შედეგით დასრულდებოდა ახალგაზრდა მომღერლების მხრიდან "კარმენთან" შეჭიდების სითამამე. ლა სკალას სკოლაგავლილმა მომღერლებმა გამოცდას გაუძლეს. თუმცა, ამ წარმატებაში ლომის წილი დირიჟორ ვახტანგ კახიძეს, თბილისის სიმფონიურ ორკესტრს, ოპერის გუნდის ორკესტრს და თბილისის მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდსაც მიუძღვით.

"კარმენის" მთავარი გმირი მრავალი მეცო-სოპრანოსთვის საოცნებო პარტიაა. ვოკალური სირთულის მიუხედავად, მთავარი, ალბათ, მაინც იშვიათი ემოციურობით და არტისტულობით გამორჩეული სახეა, რომელსაც, განსაკუთრებული ტემპერამენტისა და მსახიობური ოსტატობის გარეშე, ვერ გააცოცხლებ. საფიქრებელია, რომ ნინო სურგულაძისთვის ეს პარტია მომავალში ერთ-ერთი საკვანძო გახდება. შესანიშნავ ხმასთან ერთად ის, განსაკუთრებული არტისტიზმის წყალობით, თავიდანვე იპყრობდა მსმენელს. თუმცა, მისთვის გუშინდელი სპექტაკლი (უფრო სწორედ, საკონცერტო შესრულება), ფაქტობრივად, მაინც "კარმენის" დებიუტი იყო. რამდენიმე წლის წინათ მას შესთავაზეს ესპანეთში, საბადელის თეატრში "კარმენის" რამდენიმე სპექტაკლის შესრულება, მაგრამ ამ მიმზიდველ წინადადებას მან უფრო პრესტიჟულ ბარსელონას თეატრში მეორეხარისხოვანი პარტია ამჯობინა (სონეტკა "ლედი მაკბეტი მცენიდან"). გუშინდელი გამოსვლით სურგულაძემ ყველას დაანახა, რომ ლა სკალას სკოლას უქმად არ ჩაუვლია. ვოკალურად, მუსიკალურად და არტისტულად აშკარად დახვეწილმა მომღერალმა ლამაზ ტემბრთან და მჟღერ, სოპრანოსავით ნათელ ბგერებთან ერთად კარმენის იმპულსური, და თან დრამატული სახის დამაჯერებელი ინტერპრეტაციაც წარმოადგინა. გუშინდელი საკონცერტო შესრულება სურგულაძისთვის, ალბათ, ძალზედ ნაყოფიერი რეპეტიცია იქნება მომავალი სპექტაკლებისთვის - 2005 წელს იგი კარმენის პარტიით ჩიკაგოსა და ტორონტოს თეატრებშია მიწვეული.

ნინო სურგულაძის ტემპერამენტული კარმენის გვერდით თავშეკავებული და სადა იყო გია ონიანის ხოზე. თუმცა, მაღალი რანგის სკოლამ (განსაკუთრებით, ხოზეს რომანსის შესრულებისას) ამჯერადაც თავი იჩინა. როდესაც ზაფხულში ონიანი თბილისში ორკესტრთან ერთად რეპეტიციებს



*გია ონიანი და ნინო სურგულაძე ლა სკალაში უფრო ხშირად მღერიან, ვიდრე თბილისში.*

გადიოდა, მისმა პედაგოგმა, მაესტრო ნოდარ ანდღულაძემ შენიშნა: **"ხოზეს რომანსს ტენორები მღერიან - როგორც ჰეროიკულ არიას. ამის გამო, იგი კარგავს იმ სასიყვარულო, ემოციურ ფუნქციას, რაც მასში კომპოზიტორმა ჩადო. ამის მიზეზი ტექნიკური სირთულეა – ტენორისთვის რთულია მაღალ რეგისტრში პიანოზე სიმღერა. თითო-ოროლა ტენორი მეგულება, ისიც ჩანაწერებზე, რომელიც ამას ახერხებს. გია ონიანი კი ამას სწორუპოვრად ასრულებს."** იტალიურმა კრიტიკამ გია ონიანის ტემბრი "ტენორების ოქროს ხანას" შეადარა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ონიანი მიუხედავად მძლავრი, ვერდის ტიპის ტენორის ხმისა, ძალზედ ტაქტიანი პარტნიორია და არ უცდია, გუშინდელი საკონცერტო შესრულება საკუთარი ტემბრითა და ვოკალური ღირსებებით თავმომწონეობის ასპარეზად ექცია.

იგივე შეიძლება ითქვას ბესიკ გაბიტაშვილზეც, რომელსაც ონიანისა და სურგულაძის ნათელი პერსპექტივების ფონზე ეფექტურობა ოდნავადაც არ დაუკარგავს. უკვე შემდგარმა მომღერალმა განსაკუთრებული დამაჯერებლობა შეჰმატა "კარმენს." **"შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, ნინოს მხოლოდ კონცერტზე შევხვედრივარ და, სპექტაკლში პირველი თანამშრომლობის კვალობაზე, შესანიშნავად ჩაიარა," – თქვა მან.**

როგორც აღინიშნა, გუშინდელი "კარმენი" წარმატებას, ბევრწილად, ორკესტრსა და გუნდს უნდა უმადლოდეს. მათი გამოსვლა თანხლებას ბევრად აღემატებოდა. უხვად წარმოდგენილ საორკესტრო ეპიზოდებთან ერთად ძალზედ პომპეზური და შთამბეჭდავი იყო ფინალური სცენა. აღსანიშნავია, რომ მუსიკალურმა ცენტრმა "კარმენის" შესრულებაში აღადგინა ბიჭუნათა გუნდის გამოყენების ტრადიცია (ოპერაში მას ხშირად ქალთა, ან შერეული გუნდი ცვლის ხოლმე).

მიუხედავად იმისა, რომ "კარმენი" საკონცერტო შესრულებით იყო წარმოდგენილი, გუშინდელი საღამო ტიპური კონცერტი მაინც არ იყო - სოლისტების ეპიზოდებთან ერთად დრამატურგიული დატვირთვა ენიჭებოდა ბიჭუნათა გუნდისა და თავად ორკესტრის წევრების მოძრაობასაც.

ერთგვარი თეატრალური კონცერტის შემდეგ კი "შემოდგომის თბილისი" ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიით დაგვირგვინდება. თბილისის სიმფონიური ორკესტრის იუბილეს აჭარის სახელმწიფო კაპელა და მისი სოლისტები - ირმა ბერძენიშვილი, ქეთევან ქემოკლიძე, თეიმურაზ გუგუშვილი და გია ასათიანიც შეუერთდებიან.

# სინდის ახალი სურნელი



კონცერნ "ველას" პარფიუმერიისა და კოსმეტიკის განყოფილებამ, Cosmopolitan Cosmetics, ცნობილი ამერიკელი მოდელის, სინდი კროუფორდის ახალი სურნელის წარმოება დაიწყო (პირველს მსოფლიო, დაახლოებით, ერთი წლის წინათ გაიცნო).

თუკი სურნელის აღწერა შეიძლება, ის, დაახლოებით, ასეთი გახლავთ: პილპილისა და ვაშლის სუნი ნაზავებია; მერე, "გულის ასამღერებლად", ჟასმინისა და მინდვრის ყვავილების არომატს იყნოსავთ, და იმისთვის, რომ ეს განცდა არასოდეს დაგავიწყდეთ, ის სანდალოზითა და წითელი ხითაა "შეკმაზული". კომპოზიცია Cindy Crawford Feminine-ის ავტორი ურსულა ვანდელი გახლავთ.

ეს მხოლოდ სუნამო როდია. ახალი ხაზი ტუალეტის წყალს, დეზოდორანტებს და სხეულის მოვლის სხვა საშუალებებსაც მოიცავს. მთელ ამ სიამოვნებას ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მცხოვრებლები 1 ოქტომბრიდან ეზიარებიან. ამერიკის შეერთებული შტატები რჩეულთა სიაში რატომღაც არ მოხვდა.

# ეკო, ალექსანდრე და გერმანელი პროდიუსერი

მარაქეშის კინოფესტივალზე, სადაც ორიოდე დღის წინ ოლივერ სტოუნი დააჯილდოეს, საინტერესო გეგმები გამოიკვეთა. გაირკვა, რომ გერმანელ პროდიუსერ თომას შულის, რომელიც ამჯერად სტოუნის "ალექსანდრეზე" მუშაობს, მომავალში უმბერტო ეკოს "ბაუდოლინოს" გადაღება სურს.

რომანი, რომლის ნაწყვეტებიც ქართულადაც ითარგმნა და ერთ-ერთ კრებულში დაიბეჭდა, შულის აზრით, მაყურებელს აუცილებლად დააინტერესებს. "ვცდილობ, მილოშ ფორმანი დავითანხმო და რეჟისორობა მას მივანდო. სცენარზე უკვე ვმუშაობთ ინგლისელ მწერალ გლენ ვილჰაიდისთან ერთად", - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

შული გადაღებების დაწყებას 2005 წელს აპირებს, სავარაუდოდ - მაროკოში, სადაც ახლა სტოუნის ფილმის რამდენიმე ეპიზოდს იღებენ.

"ალექსანდრეში" ოლივერ სტოუნი მაკედონელის ცხოვრებას იკვლევს. მსახიობთა დასში მას მთელი თანავარსკვლავედი ჰყავს მიწვეული – ირლანდიელი კოლინ ფარელი – ალექსანდრეს როლში და ანჯელინა ჯოლი და ველ კილმერი მშობლების როლში. ფილმს ჰყავს მთხრობელიც – ენტონი ჰოპკინსი. სურათი, რომლის ბიუჯეტიც 150 მილიონი დოლარია, ამერიკაში 2004 წლის ნოემბერში გამოვა.

# ცნობილი მაგი ვეფხვმა დააშავა

რამდენიმე დღის წინ ცნობილი ილუზიონისტი როი ჰორნი (დუეტიდან "ზიგფრიდი და როი") ვეფხვმა დააშავა. ლას ვეგასის სასტუმრო "მირაჟში" შოუს მსვლელობის დროს, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ვეფხვი უეცრად ჰორნს ეცა და კულისებში გაათრია. ილუზიონისტი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა მისი მდგომარეობა დღემდე კრიტიკულია.

წარმოდგენის დაწყების წინ როი ჰორნმა პუბლიკას აცნობა, რომ 7 წლის სამეფო თეთრი ვეფხვი, მეტსახელად "მონტეკორე" პირველად გამოდის სცენაზე. როცა ვეფხვი 59 წლის მსახიობს ეცა, მაყურებელთა ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ეს შოუს ნაწილია. როცა ილუზიონისტმა ვეფხვის მიკროფონით მოგერიება დაიწყო, მაშინღა მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო.

ჰორნი და ფიშბახერი წარმოშობით გერმანიიდან არიან. 1959 წლიდან ისინი ერთად მართავდნენ მაგიურ წარმოდგენებს. მათი შოუს მუდმივი მონაწილეები იყვნენ ეგზოტიკური ცხოველები, მათ შორის - თეთრი ვეფხვები. სასტუმრო "მირაჟის" სცენაზე ჰორნი და ფიშბახერი 1990 წლიდან გამოდიოდნენ. 2001 წელს კი მათ სასტუმროს ადმინისტრაციასთან სამუდამო კონტრაქტი გააფორმეს. ორი დღის წინ კი "მირაჟის" ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შოუ დაიხურა, ხოლო მის მონაწილეებს - 267 ადამიანს - ახალი სამსახურის ძებნა შესთავაზა.

ილუზიონისტი, რომელმაც დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა, კომუნიკაბელურია და ხელფეხს ამოძრავებს. ჰორნის პარტნიორი ზიგფრიდ ფიშბახერი, ღმერთს მეგობრის გადარჩენას შესთხოვს. "მან იგრძნო, რომ "მონტეკორე" კონტროლიდან გამოდიოდა და იგი ვეფხვსა და მაყურებელს შუა ჩადგა... ვეფხვზე გაბრაზებული არ ვარ, ის ისევ ოჯახის წევრად რჩება",- თქვა მან. ფიშბახერს, ისევე, როგორც შოუს მენეჯერ ბერნი იუმანს, სჯერა, რომ მისი პარტნიორი გადარჩება. ცნობილი მაგის კეთილისმსურველები კი სასტუმრო "მირაჟის" წინ იკრიბებიან და ყვავილებს და ბარათებს ტოვებენ მის წინ.



*როი ჰორნი*

# სერ ჯეიმს ბონდი



"ღმერთისა და იმპერიის სახელით" – სწორედ ასე ჟღერს ბრიტანეთის უდიდესი ჯილდოს - რაინდის საპატიო ტიტულის დევიზი, რომელიც ბრიტანეთის მეფემ 1917 წელს დაამკვიდრა. წოდება, რომელსაც დღეისთვის მსოფლიოში 100 ათასი ადამიანი ფლობს, ახალი სახელი მიემატება, რომლის ვინაობა ჯერ კიდევ 14 ივნისს დედოფალ ელისაბედ მეორის დაბადების დღეზე გახდა ცნობილი - მსახიობი როჯერ მური. ცერემონია, რომელიც 9 ოქტომბერს ბუკინგემის სასახლეში საზეიმოდ ჩატარდება, 76 წლის ყოფილ აგენტ-007-ს რაინდის საპატიო ტიტულს გადასცემს. მსახიობმა ეს უმნიშვნელოვანესი ჯილდო გაერო-ს საბავშვო ფონდში გატარებული 10-წლიანი მუშაობის გამო დაიმსახურა.

ინგლისში უკვე იმაზეც ხუმრობენ, რომ აგენტ 007-ის ცნობილი ფრაზა ოდნავ ტრანსფორმაციას განიცდის და ასე გაიჟღერებს – "მე მქვია ბონდი, სერ ჯეიმს ბონდი."

# STONE TEMPLE PILOTS ისტორიას ბარდება

დაპირებისამებრ ჯგუფ Stone Temple Pilots-ის საუკეთესო სიმღერების კრებული ნოემბრის დასაწყისში გამოჩნდება აუდიო-მაღაზიებში. ეს ინფორმაცია რიგითი ცნობა იქნებოდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ეს იქნება უკანასკნელი კომპილაცია, რომელიც Stone Temple Pilots-ის ავტორობით გამოვა. ჰიტების კრებული სახელწოდებით Thank You ამერიკული როკ-ჯგუფის გედის სიმღერად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ჯგუფი ალბომის გამოსვლისთანავე ოფიციალურად განაცხადებს დაშლის შესახებ.

როგორც ცნობილია, Stone Temple Pilots-ის ვოკალისტი სკოტ ვეილანდი პარალელურად მღერის Guns` N Roses-ის წევრებისგან შედგენილ ჯგუფში – Velvet Revolver. იმის მიუხედავად, რომ ამ ჯგუფს მხოლოდ "პინკ ფლოიდის" ჰიტის Money-ს ვერსია და ერთადერთი საკუთარი სიმღერა აქვს რეპერტუარში, ვეილანდმა მოღვაწეობის გაგრძელება სწორედ ამ ჯგუფს დაუკავშირა. რამდენიმე დღის წინათ Velvet Revolver-მა კონტრაქტი გააფორმა ხმისჩამწერ კომპანია RCA-თან, რაც იძლევა გარანტიას, რომ ვეილანდის ნარკოტიკებისადმი მისწრაფებების მიუხედავად, ჯგუფი გარკვეულ ხანს მაინც იარსებებს. რაც შეეხება ე.წ. "სიეტლური ტალღის" ფლაგმანებს - Stone Temple Pilots-ს, ის იყო ერთადერთი (თუ არ ჩავთვლით Pearl Jam-ს) 90-იანი წლების გრანჟ-როკიდან, რომელთაც მესამე ათასწლეულამდე გაძლეს. ნოემბრიდან ის უკვე ისტორიის კუთვნილება გახდება.

ფეხბურთი

# მერაბ ჟორდანია: "მოსკოვში ყველაფერი სამართლიანად იქნება"

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მერაბ ჟორდანიამ რუსეთ-საქართველოს მატჩის წინ „იზვესტიას" კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ რაზე ესაუბრა სფფ-ის პრეზიდენტი რუს ჟურნალისტს.

**- საქართველოსთვის რუსეთთან მატჩი არაფერს წყვეტს. ამიტომ არსებობს მოსაზრება, რომ ქართველები მეზობელ-მეგობრებს გადამწყვეტ შეხვედრაში პრობლემებს არ შეუქმნიან.**

- ასეთი მოსაზრება ბუნებრივია და გაოცებას არ იწვევს. თუმცა, ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრები მატჩების ჩაწყობით არასოდეს ყოფილა დაკავებული და არც დაკავდება. მოსკოვში ყველაფერი სამართლიანად იქნება. დიახ, ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს ვიაჩესლავ კოლოსკოვთან, რომელიც გულგრილი არასოდეს ყოფილა ქართული ფეხბურთის მიმართ, მაგრამ თამაშზე ეს არავითარ შემთხვევაში არ აისახება. ჩვენ პატივს ვცემთ საქმეს, რომელსაც ვაკეთებთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა და ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბევრი რამ შეგვიძლია.

**- რუსეთის წინააღმდეგ გაზაფხულის მატჩის წინ თქვენ აცხადებდით, რომ ორივე გუნდი დაახლოებით თანაბარი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, ამიტომ შანსი თანაბარია. ნახევარი წლის შემდეგ მოსაზრება არ შეიცვალეთ?**

- არა, არ შემიცვლია: შანსი თანაბარია. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მოიწადინებს. ამ მატჩს ისტორიული დატვირთვაც აქვს. ბევრ გულშემატკივარს კარგად ახსოვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მოსკოვისა და თბილისის დაპირისპირება, ამიტომ ვიომებთ.

**- ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თქვენი მოსვლა ნამდვილ სასოწარკვეთილ ნაბიჯად გამოიყურებოდა...**

- დიახ, ამას სწორედ სასოწარკვეთა ერქვა. ჩვენ ვერ გავთვალეთ, რომ ივო შუშაკი მიმდინარე შესარჩევ ტურნირს ვერ ჩაამთავრებდა. როგორც ცნობილია, „დინამოს" ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შუშაკი ვერ შეძლებდა კლუბში და ნაკრებში ერთდროულად საქმიანობას. ჩვენ შევეცადეთ, კომპრომისისთვის მიგვეღწია, მაგრამ შუშაკი ველარ შევინარჩუნეთ. ღირსეული შემცვლელის მოძებნა კი ველარ მოხერხდა. ალბათ, გესმით, არც ერთი სერიოზული სპეციალისტი ნაკრებში სამი თამაშისთვის არ იმუშავებს. ამიტომ გუნდის გაწვრთნა, ყაველაშვილთან და ქეცბაიასთან ერთად, მე მომიხდა.

**- როგორ შეაფასებთ გამოუცდელ თანაშემწეთა მუშაობას გასული ორი მატჩის მიხედვით?**

- მთელი სამუშაო, ფაქტობრივად, მათ მხრებზე გადავიდა. მე, უბრალოდ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ვირიცხებოდი. მიხეილი და თემური თავის მოვალეობას ძალიან კარგად გაუძლვნენ. ისინი სერიოზულად აპირებენ სამწვრთნელო კარიერის დაწყებას. ჩემი აზრით, მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისთვის, რომ კარგ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

**- როგორ მიიღეთ ზოგიერთი ფეხბურთელის მწარე გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ მათ სათავეში უდგას მთელი ტრიო და არა ერთი სპეციალისტი?**

- მათი გაგება შეიძლება. ეს თამაშისთვის არცთუ ოპტიმალური პირობაა, მაგრამ ყველას უნდა შეეგნო, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

**- უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თქვენს განკარგულებაშია, შეიძლება ითქვას, ვარსკვლავებით დახუნძლული თაობა. რატომ ჩააგდეთ კიდევ ერთი შესარჩევი ტურნირი?**

- დიახ, ჩვენ ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს... მაგრამ მწვრთნელობის არასტაბილურობის გამო არაფერი გამოვიდა. ჩვენმა ფედერაციამ ვერ გათვალა და ეს მთლიანად მისი შეცდომაა.

**- რამდენად სერიოზულად განიხილავდით ჯგუფიდან გასვლის შანსს ალბანეთის ნაკრებთან თბილისში გამარჯვების შემდეგ?**

- აბსოლუტურად სერიოზულად. ჩვენ შანსი გაგვიჩნდა და გვსურდა, ის ცხოვრებაში გაგვეხორციელებინა. თამაშის შემდეგ იმედი გვქონდა, რომ ყველაფერი რუსეთთან შეხვედრაში გადაწყდებოდა. თუმცა, ყველა ოცნება დაიმსხვრა ალბანეთში, სადაც უნდა მოგვეგო. მატჩის მსვლელობისას დაცვის გადაწყობა მოგვიხდა, რადგან ქემოკლიძემ, რომელიც ალბანელთა ბომბარდირ ტარეს მეურვეობდა, ტრავმა მიიღო. ამის შემდეგ ტარეს ნეიტრალიზება ველარ შევძელით და, ძირითადად, ამიტომაც დავმარცხდით.

**- საქართველოს ნაკრების კონტექსტში ყველა საუბრობს იმაზე, თუ ვინ დაიკავებს მთავარი მწვრთნელის პოსტს რუსეთთან თამაშის შემდეგ. უკანასკნელი ხმების თანახმად, თქვენ თითქოს შეხვდით იტალიელ არიგო საკის და მზად ხართ, მას წელიწადში 1,5-2 მილიონი დოლარი გადაუხადოთ.**

- არა, საკისთან ჩვენ არავითარი მოლაპარაკება არ გვქონია. აქვე გეტყვით, რომ ასეთი თანხის გაღება ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ ეს მხოლოდ ჭორია და სხვა არაფერი.

**- ორი დანარჩენი გვარი ვისენტე დელ ბოსკე და ფილიპ ტრუსიეა. ამ უკანასკნელთან მუშაობის სურვილი კი ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ლიდერმა კახა კალაძემაც გამოთქვა.**

- დელ ბოსკე - არა, ტრუსიეს კანდიდატურასაც კონკრეტულად არ განვიხილავთ. ახლა საქართველოში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიკავებს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა პრესაში ათამდე პოტენციური პრეტენდენტი გამოჩნდა. ასე ვიტყვი: ჩვენ გვაქვს უცხოელ კანდიდატთა სია, მაგრამ მათ გვარებს არ დავასახელებ - ეს არაკორექტული იქნება. ახალი მწვრთნელის ვინაობას წლის ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ დავასახელებთ.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე თქვენ 1998 წელს დაინიშნეთ. როგორ შეაფასებთ მუშაობას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?**

- ფეხბურთის დონე მნიშვნელოვანწილად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება. საქართველოში ამჟამად არ არის ისეთი ფინანსური მდგომარეობა, როგორიც ფეხბურთის ხარისხიან განვითარებას სჭირდება. ამას გარდა, ეს შესამჩნევად თრგუნავს გულშემატკივარს: ხალხს ნამდვილად არ სცხელა იმისთვის, რომ სტადიონზე დასწრების რეკორდები მოხსნას. ამის მიუხედავად, ჩემი აზრით, წინ მივდივართ. დღეს საქართველოს ჩემპიონატში არ არსებობს გუნდი, რომელიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ამასთან, წინა წლებთან შედარებით, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში დიდი კონკურენციაა. გუნდებში ბევრი ლეგიონერია, მაგრამ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდებიც ჩნდებიან. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ეროვნული ნაკრები ხარისხიანი კადრებით შეივსება და ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მოსახვედრად ბრძოლა ჩვენთვის უფრო წარმატებული იქნება.



ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ტრავმის გამო საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი მარსელ დესაი ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უკანასკნელ შეხვედრას გამოტოვებს. მის არყოფნაში კაპიტნის სამკლაური ზინედინ ზიდანს გადაეცემა. გუნდის შემადგენლობაში უილიამ გალის შეყვანის საკითხი შაბათს გადაწყდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის „ოლიმპიკის" მწვრთნელმა ალენ პერენმა აღიარა, რომ დაინტერესებულია მის გუნდში ფაბიენ ბარტეზის გადასვლით, რომელიც ბოლო დროს ველარ ხვდება „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში. გუნდის სარეზერვო მეკარე სედრიკ კორასომ ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 6 თვით გამოეთიშა. ბარტეზს შეუძლია, მისი ადგილი დაიკავოს. თუმცა, დასადგენია: ბარტეზი, რომელმაც „მარსელთან" ერთად !993 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი აიღო, დათანხმდება თუ არა რუნიეს დუბლიორობას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** „არსენალის" მცველმა კოლო ტურემ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. არსენ ვენგერი ფრიად კმაყოფილი დარჩა აფრიკელის მოქმედებით, რომელმაც თამაში ცენტრალური მცველის პოზიციაზე დაიწყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** „რომას" მცველი კრისტიან პანუჩი ეროვნულ ნაკრებს აზერბაიჯანელებთან შეხვედრაში ვერ დაეხმარება. პანუჩის ერთ-ერთ ვარჯიშზე ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. „ეს ტრავმა უკვე დიდი ხანია მაწუხებს და ბოლო ერთი თვეა, ნორმალურად თამაშის საშუალებას არ მაძლევს", - განაცხადა პანუჩიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პანუჩის ეროვნულ გუნდში „მილანის" მცველი ჯუზეპე პანკარო შეცვლის. პანკარომ „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში უკანასკნელად გასული წლის ნოემბერში თურქების წინააღმდეგ ითამაშა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუმინეთის ნაკრების მცველი კოზმინ კონტრა ფეხბურთს ორთვენახევრით გამოეთიშა. მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და ოპერაციაც გადაიტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის „ჰამბურგი" უკრაინული „დნიპროს" წინააღმდეგ უეფას თასის მატჩს შემტევი ნახევარმცველის ალექს მაიერის გარეშე ითამაშებს. მას ფეხზე ოპერაციის გაკეთება მოუწევს. აღდგენისთვის კი ორი თვე დასჭირდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბილბაოს „ატლეტიკის" ფორვარდმა ისმაილ ურსაისმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. სამშაბათს თავდამსხმელმა 32-ე დაბადების დღე იზეიმა. დღესასწაული კი გააფუჭა „ჰიმნასტიკა დე ტორელავეგამ", რომელმაც ბასკური კლუბი ესპანეთის თასის გათამაშების მატჩში დაამარცხა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მაიკლ ოუენი თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. „ლივერპულის" თავდამსხმელმა ვერ მოასწრო „არსენალთან" შეხვედრაში მიღებული ტრავმის მორჩენა. ოუენი სტამბულში არ გაემგზავრება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს, თურქეთის ნაკრებთან მატჩს ბოიკოტი არ გამოუცხადონ. ადრე ინგლისელები ამ აქციის ჩატარებას აპირებდნენ რიო ფერდინანდისადმი სოლიდარობის ნიშნად (ფერდინანდი დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობის გამო ნაკრებიდან დაითხოვეს). გუნდი სტამბულში გუშინ გაემგზავრა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არბიტრის კრიტიკისთვის „პორტსმუთის" მწვრთნელი ჰარი რედნაპი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 3000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. ინციდენტი 30 აგვისტოს, „ვულვერჰემპტონთან" მატჩის შემდეგ მოხდა. რედნაპი უკმაყოფილო დარჩა მსაჯის ენდი დ`ურსოს გადაწყვეტილებით, რომელმაც მის ფეხბურთელებს 5 ყვითელი ბარათი აჩვენა. დისკვალიფიკაცია 27 ოქტომბერს შედის ძალაში. მწვრთნელს აპელაციისთვის ორი კვირა აქვს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველის ერიკ ჯემბაჯემბას ჩარტყმისთვის ლონდონის „არსენალის" მცველი სოლ კემპბელი 20000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. ინციდენტი ინგლისის სუპერთასის მატჩის დროს მოხდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** „ფინიქსმა" კონტრაქტი გააფორმა ცენტრ დეიან კოტუროვიჩთან. კოტუროვიჩი ადრე სერბეთის ჩემპიონატში და „ბოლონიაში" გამოდიოდა. შარშანდელ სეზონში ის მატჩში, საშუალოდ, 10,5 ქულას აკეთებდა.

■ ■ ■

**კრივი.** მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კონსტანტინ ცზიუმ განაცხადა, რომ 7 თებერვალს შრამბი მიტჩელის წინააღმდეგ იჩხუბებს. ბრძოლის გამარჯვებული WBC-ის ვერსიით 63,5 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მიიღებს. თუმცა, WBC-ს შეუძლია, ცზიუს ტიტული ჩამოართვას, რადგან, ორი წელიწადია, მას წოდება არ დაუცავს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ათენში გარდაიცვალა მუშა, რომელიც ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე მუშაობდა. ეს უკვე მეხუთე მუშაა, რომელიც ოლიმპიური სოფლის მშენებლობას შეეწირა. მუშა, რომლის სახელი უცნობია, მანქანის ქვეშ მოყვა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** დოპინგის მიღებისთვის საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ 1500 მეტრზე მორბენალ ფუადა ჩუკის 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სპორტსმენის ორგანიზმში „ეპო" აღმოაჩინეს. ფედერაციამ ანულირება გაუკეთა ჩუკის შედეგს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც სპორტსმენმა მერვე ადგილი დაიკავა. აპელაციისთვის ჩუკის განკარგულებაში ორი კვირაა.

რაგბი

# ავსტრალიურ ოვალში

## ბორჯღალოსნები "მიმინოს" უყურებენ და ინგლისელებზე ფიქრობენ

iRB RUGBY WORLD CUP 2003

გიგა ბურასპილი

დღეიდან მთელი მსოფლიო ოვალურ სამყაროში გადაეშვება. დღეიდან რაგბის გულშემატკივართა მრავალმილიონიანი არმიის ყურადღება სამხრეთ ნახევარსფეროსკენაა მიპყრობილი. დღეიდან საქართველო ბორჯღალოსნებს უქომაგებს. დღეს სარაგბო ზეიმი დაიწყო - ავსტრალია მსოფლიო თასს მასპინძლობს.

ჯახი, შერკინება, ჯაჯგური, თავბრუდამხვევი გარღვევები, ფილიგრანული სიზუსტის კომბინაციები, სულისშემძვრელი მარაოები, სამხრეთული ტექნიკისა და ჩრდილოეთის ძალისმიერი დაპირისპირება და, რა თქმა უნდა, ლელოები, ლელოები, ლელოები...

მას შემდეგ, რაც ბორჯღალოსანთა წარმატებები თვალშისაცემი გახდა, მავანნი ფეხბურთსა და რაგბის შორის პარალელების გავლებით იქცევენ თავს. თუმცა, ფაქტია: სათამაშო სახეობათა ნაკრები გუნდებიდან ბორჯღალოსნები ერთადერთნი არიან, რომლებმაც მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. ქართველმა მორაგბეებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გატეხეს ნავსი, როდესაც შვიდკაცა მსოფლიო თასზე არგენტინაში გამოვიდა. მაგრამ, იმ ფაქტმა, რომ 2003 წელს ჩვენმა მორაგბეებმა მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს, ყველა ადრეულ წარმატებას ერთბაშად გადააჭარბა.

დადგა დრო, როდესაც ქართველ მორაგბეებს ძლიერ და მრისხანე მეტოქეებთან (ინგლისი, სამოა, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი) მოუწევთ შებმა. 12 ოქტომბერს ბორჯღალოსნები ძლევამოსილ მეტოქესთან, გამობრძმედილ ინგლისელებთან თამაშით ქართული სპორტის ისტორიის ახალ ფურცელს გადაშლიან.

ინგლისელებთან მატჩი კარგს არაფერს გვიქადის. თავიდანვე ნათელი იყო, რომ წარმატების არავითარი შანსი არა გვაქვს. გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი, ალბათ, ილუზიებისგან თავს შეიკავებდა.

თუ არ ჩავთვლით ექვსი ერის პირველობასა და პრესტიჟულ საკლუბო ტურნირებში გათქვეფილ ინგლისურ კლუბებს, ალბიონელები, რა ხანია, მსოფლიო თასის ბინადარნი არიან. ტრადიციებს ხომ ნულარ იტყვით. მიუხედავად ამისა, როგორც ბორჯღალოსანთა დამრიგებელი კლოდ სორელი ამბობს, მისი სამწყსო ავსტრალიაში სტატისტად ყოფნას არ აპირებს. რეალურად კი ბორჯღალოსანთა ფრანგ მწვრთნელს იმედი აქვს, რომ დაამარცხებს ურუგვაის და, შესაძლოა, სამოასაც. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე სორელი თავისი ამალით ავსტრალიაში ჩავიდოდა, აქვე აცხადებდა, რომ ურუგვაისთან და სამოასთან თამაში შეიძლებაო.

ამასობაში ბი-ბი-სის მიმომხილველები აცხადებენ, რომ ინგლისელები სადებიუტო მატჩში ქართველებს შავ დღეს დააყრიან. ოპტიმიზმის საფუძველს ის აძლევთ, რომ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი საქართველოსთან სრული მობილიზაციით, ანუ ძირითადი გუნდით აპირებს შეჭიდებას. ამის პარალელურად მოყავთ საქართველოს ნაკრების მეშვიდე ნომრის გრეგუარ იაშვილისა და უკანახაზელის ბესიკ ხამაშურიძის კომენტარები. ისინი პირველ მეტოქეზე საკმაოდ მშვიდად, აუღელვებლად საუბრობენ. მეტიც, მათი კომენტარებიდან გამომდინარე, არაფრის დათმობას არ აპირებენ, თუმცა, მეტოქეებს დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ და ვუდვორდს მადლობასაც კი უხდიან იმისთვის, რომ ასეთ სახელოვან მეტოქესთან შებმის საშუალებას აძლევს.

"ამაზე უკეთეს გუნდს ინგლისის მწვრთნელი ვერც კი შემოგვთავაზებდა. ბედნიერები ვართ, რომ ასეთ მეტოქესთან თამაშის საშუალება მოგვეცა, - ამბობს იაშვილი და იქვე დასძენს: ფანტასტიკური თამაში გველის. ერთი სული მაქვს, როდის გავალთ მოედანზე".

ბუნებრივია, იაშვილს დიდი ჯაფა დაადგება, რომ გაუმკლავდეს ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან უკანახაზელები რიჩარდ ჰილი, ლოურენს დალალიო და ნეილ ბეკი. თუმცა, როგორც ბორჯღალოსანი აცხადებს, იგი არაფრის დათმობას არ აპირებს: "მათ თამაშს ტელევიზორით ვუყურებ და ვიცი, რომ დიდი მორაგბეები არიან. ყოველთვის ვოცნებობდი, ოდესმე მათ წინააღმდეგ მეთამაშა. ახლა ოცნება ამისრულდება.

ამ თამაშით დიდ გამოცდილებას მივიღებ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ არაფრის დათმობას არ ვაპირებ. ვეცდები, დავამტკიცო, რომ არც მე ვარ მათზე ნაკლები. თუ როგორ შთაბეჭდილებას მოვახდენ მათზე, მატჩის შემდეგ მეცოდინება".

ალბათ, ძალიან გაუჭირდება ხამაშურიძესაც. ჯეისონ რობინსონთან, ჯოშ ლუისთან და ბენ კოენთან გამკლავება ქართველი მეთხუთმეტე ნომრის მთავარი საზრუნავი იქნება, მაგრამ ამ სამეულს, იაშვილისა არ იყოს, ხამაშურიძეც მშვიდად უყურებს: "მართლაც, კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მოედანზე რობინსონი იქნება თუ არა. ეს მხოლოდ სახელებია. ისინი ისეთივე მოთამაშეები არიან, როგორიც ჩვენ. მე აქ სათამაშოდ ჩამოვედი და არა როგორც მაყურებელი".

თუ რა ხდება ბორჯღალოსნებში, ამის უკეთ შესატყობად გუშინ ავსტრალიაში საქართველოს რაგბის კავშირის მედია-ოფიცერს გია კუბლაშვილს შევეხმიანეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით:

**- რეალურად რომ ვთქვათ, ინგლისელებთან მოგებაზე ფიქრი ზედმეტია. რა განწყობაა გუნდში, რას შესთავაზებთ მეტოქეს და, საერთოდ, თავად ინგლისელები როგორ გვიყურებენ?**

- ჯერ ის ვნახოთ, თავად ინგლისი რას შემოგვთავაზებს. ჩვენ სერიოზულ ბრძოლას ვაპირებთ. რა გამოგვივა, ეს მოედანზე გამოჩნდება. პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია.

სხვათა შორის, დღეს (ანუ გუშინ.-რედ.) პერტის ხელისუფლებმა საზეიმო მიღება გამართეს და მიიწვიეს ყველა ის გუნდი, რომელსაც პერტში უწევს თამაში. ბუნებრივია, იქვე იყვნენ ინგლისელები.

ერთი სიტყვით, ინგლისელები ვნახეთ. მთავარია, ბიჭებმა ირწმუნონ, რომ მათ წინააღმდეგ თამაში შეიძლება. რა თქმა უნდა, ინგლისელებს უბადლო ტექნიკა აქვთ, მაგრამ არანაკლები ამბიცია აქვს ჩვენს გუნდსაც. პრინციპში, გუნდში კარგი განწყობაა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმს გააკეთებენ.

**- სორელი შემადგენლობის დასახელებას ხვალ (ანუ დღეს) აპირებს. საინტერესოა, ინგლისელებთან მატჩზე მოედანზე ძირითად ბირთვს გამოიყვანთ თუ მაინც ძალებს დაზოგავთ და შედარებით სუსტი მეტოქისთვის - ურუგვაისთვის ან სამოასთვის შემოინახავთ?**

- ძალების დაზოგვაზე ლაპარაკიც არ არის. რა თქმა უნდა, ინგლისელებს ძირითადი შემადგენლობით დავუპირისპირდებით. არც გვიფიქრია, რომ რომელიმე მატჩს არასერიოზულად მივუდგეთ. თითოეულ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ასე რომ...

**- თავად ინგლისელები როგორ გიყურებენ? როგორც ვიცით, ძირითადი ბირთვით აპირებენ თქვენთან თამაშს. კლაივ ვუდვორდი აცხადებს, რომ სამხრეთ აფრიკასთან მატჩამდე საქართველოსთან გენერალური რეპეტიციის გავლა სურთ...**

- ის, რომ ინგლისელები ძირითადი შემადგენლობით გვეთამაშებიან, ეს ბუნებრივია. მათ მსოფლიო თასის დაუფლების პრეტენზია აქვთ და წარუმატებლობის მცირეოდენ შანსსაც კი აქედანვე გამორიცხავენ. ასეთი რამის გაფიქრება წარმოუდგენელია. პირიქით, ისინი საკუთარ პრესტიჟს ძალიან უფრთხილდებიან.

**- როგორ იქნება საქმე სამოასა და ურუგვაისთან? მათთან, ალბათ, მარტო მოგებაზე იფიქრებთ...**

- არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მართალია, არც სამოაა სამხრეთ აფრიკა და არც ურუგვაი. აქედან გამომდინარე, მათთან უფრო უკეთ შეიძლება თამაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკასთან რამის დათმობას ვაპირებდეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერზე თვის ბოლოს მივიღებთ პასუხს.

**- ინგლისელებთან, სავარაუდოდ, ვისი თამაშია გამორიცხული?**

- პირველ მატჩს ტრავმის გამო ილო ზედგენიძე და, ალბათ, ირაკლი გუნდიშვილი გამოტოვებენ. ითამაშებს ის, ვინც საუკეთესო ფორმაში იქნება.

**- ამჟამად რა ხდება, ისვენებენ თუ ვარჯიშობენ?**

- მთელი გუნდი ფილმ "მიმინოს" უყურებს - კასეტა გვაქვს წამოღებული. დილით ვივარჯიშეთ, საღამოს კი წვეულებაზე გახლდით. რაც შეეხება ხვალინდელ გეგმებს (ანუ დღევანდელს.-რედ.), ოკეანის სანაპიროზე რბენას ვაპირებთ. მერე მოედანზე ორკარას გავაჩაღებთ.


გოჩიტა ბახაიძის ფოტო
ბორჯღალოსნები დღეს ავსტრალიის სანაპიროზეც იძენძულებენ

რაგბი

# მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი

## მსოფლიო ჩემპიონატი რაგბში 2003

ტურნირი დაიწყება და დასრულდება სიდნეის "ტელსტრა სთედიუმზე" – ოლიმპიური სტადიონი, რომელიც ასევე "სტადიონ ავსტრალიას" სახელით არის ცნობილი.






"Gilbert Xact"-ი ტურნირის ოფიციალური სათამაშო ბურთი იქნება.

მსოფლიო ჩემპიონატზე ქულათა განაწილება "ზე 12"-ის ტურნირის მსგავსი სისტემით მოხდება.

| | |
|---|---|
| მოგება | 4 |
| ფრე | 2 |
| წაგება | 0 |

დამატებითი ქულები:

| | |
|---|---|
| ოთხი ან მეტი ლელოს გატანისათვის | 1 |
| 7 ან ნაკლები ქულის სხვაობით დამარცხებისათვის | 1 |

### ჯგუფი A

ავსტრალია, არგენტინა, ირლანდია, ნამიბია, რუმინეთი

| ოქტომბერი/ნოემბერი | | | | | ქალაქი |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | ავსტრალია | | | არგენტინა | სიდნეი 1 |
| 11 | ირლანდია | | | რუმინეთი | გოსფორდი |
| 14 | არგენტინა | | | ნამიბია | გოსფორდი |
| 18 | ავსტრალია | | | რუმინეთი | ბრისბეინი |
| 19 | ირლანდია | | | ნამიბია | სიდნეი 2 |
| 22 | არგენტინა | | | რუმინეთი | სიდნეი 2 |
| 25 | ავსტრალია | | | ნამიბია | ადელაიდა |
| 26 | არგენტინა | | | ირლანდია | ადელაიდა |
| 30 | ნამიბია | | | რუმინეთი | ლანჩესტონი |
| 1 | ავსტრალია | | | ირლანდია | მელბურნი |

| ჯგუფი A | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |

### ჯგუფი B

საფრანგეთი, შოტლანდია, ფიჯი, იაპონია, აშშ

| ოქტომბერი/ნოემბერი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | საფრანგეთი | | | ფიჯი | ბრისბეინი |
| 12 | შოტლანდია | | | იაპონია | თაუნსვილი |
| 15 | ფიჯი | | | აშშ | ბრისბეინი |
| 18 | საფრანგეთი | | | იაპონია | თაუნსვილი |
| 19 | შოტლანდია | | | აშშ | ბრისბეინი |
| 20 | ფიჯი | | | იაპონია | თაუნსვილი |
| 25 | საფრანგეთი | | | შოტლანდია | სიდნეი 1 |
| 27 | იაპონია | | | აშშ | გოსფორდი |
| 31 | საფრანგეთი | | | აშშ | ვოლონგონგი |
| 1 | შოტლანდია | | | ფიჯი | სიდნეი 2 |

| ჯგუფი B | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |

### ჯგუფი C

სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, სამოა, საქართველო, ურუგვაი

| ოქტომბერი/ნოემბერი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | სამ. აფრიკა | | | ურუგვაი | პერტი |
| 12 | ინგლისი | | | საქართველო | პერტი |
| 15 | სამოა | | | ურუგვაი | პერტი |
| 18 | სამ. აფრიკა | | | ინგლისი | პერტი |
| 19 | საქართველო | | | სამოა | პერტი |
| 24 | სამ. აფრიკა | | | საქართველო | სიდნეი 2 |
| 26 | ინგლისი | | | სამოა | მელბურნი |
| 28 | საქართველო | | | ურუგვაი | სიდნეი 2 |
| 1 | სამ. აფრიკა | | | სამოა | ბრისბეინი |
| 2 | ინგლისი | | | ურუგვაი | ბრისბეინი |

| ჯგუფი C | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |

### ჯგუფი D

ახალი ზელანდია, უელსი, იტალია, კანადა, ტონგა

| ოქტომბერი/ნოემბერი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | ახ. ზელანდია | | | იტალია | მელბურნი |
| 12 | უელსი | | | კანადა | მელბურნი |
| 15 | იტალია | | | ტონგა | კანბერა |
| 17 | ახ. ზელანდია | | | კანადა | მელბურნი |
| 19 | უელსი | | | ტონგა | კანბერა |
| 21 | იტალია | | | კანადა | კანბერა |
| 24 | ახ. ზელანდია | | | ტონგა | ბრისბეინი |
| 25 | იტალია | | | უელსი | კანბერა |
| 29 | კანადა | | | ტონგა | ვოლონგონგი |
| 2 | ახ. ზელანდია | | | უელსი | სიდნეი 1 |

| ჯგუფი D | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |

### სათამაშო დრო

თუ ანგარიში 80 წუთის შემდეგ კვლავ თანაბარია, ინიშნება დამატებითი დრო.



დამატებითი დრო 20 წუთს გრძელდება. 10-10 წუთი თითოეული კარის მიმართულებით.

დამატებითი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი 10 წუთი. გუნდი, რომელიც ამ 10 წუთში პირველი მიიღებს ქულას, გამარჯვებულია.

თუ ანგარიში 20 და 10 წუთიანი დამატებითი დროის შემდეგაც სწორდება, თითოეული გუნდიდან 5-5 მოთამაშე შეასრულებს დარტყმებს კარის მიმართულებით, 22 მეტრის დაშორებიდან.

### მეოთხედფინალები

თითოეული ჯგუფის პირველი/მეორე ადგილოსანი გუნდი მეოთხედფინალში ითამაშებს

მატჩების დასაწყისი მოცემულია ადგილობრივი დროით

8 ნოემბერი

| 1/4-1 | მელბურნი | 18:30 | 1/4-2 | ბრისბეინი | 20:00 |
|---|---|---|---|---|---|
| გამარჯვებული D | - | მეორე ადგილოსანი C | გამარჯვებული A | - | მეორე ადგილოსანი B |
| | | | | | |

9 ნოემბერი

| 1/4-3 | მელბურნი | 18:30 | 1/4-4 | ბრისბეინი | 20:00 |
|---|---|---|---|---|---|
| გამარჯვებული B | - | მეორე ადგილოსანი A | გამარჯვებული C | - | მეორე ადგილოსანი D |
| | | | | | |

### ნახევარფინალები

| 15 ნოემბერი | სიდნეი | 20:00 |
|---|---|---|
| გამარჯვებული 1/4-1 | - | გამარჯვებული 1/4-2 |
| | | |

| 16 ნოემბერი | სიდნეი | 20:00 |
|---|---|---|
| გამარჯვებული 1/4-3 | - | გამარჯვებული 1/4-4 |
| | | |

### მატჩი მე-3 ადგილისათვის

| 20 ნოემბერი | სიდნეი | 20:00 |
|---|---|---|
| | | |

### ფინალი

| 22 ნოემბერი | სიდნეი | 20:00 |
|---|---|---|
| | | |

### წინა გამარჯვებულები

| | | | | ტურნირის მასპინძელი ქვეყანა |
|---|---|---|---|---|
| 1987 | ახალი ზელანდია | 29 - 9 | საფრანგეთი | ახალი ზელანდია |
| 1991 | ავსტრალია | 12 - 6 | ინგლისი | ინგლისი |
| 1995 | სამხრეთ აფრიკა | 15 - 12 | ახალი ზელანდია | სამ. აფრიკა |
| 1999 | ავსტრალია | 35 - 12 | საფრანგეთი | უელსი |

### უილიამ ვებ ელისის თასი

პირველად წარმოდგენილი იქნა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატისას, რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. დამზადებულია ინგლისელი ოქრომჭედლის, გერარდის მიერ, პეგუნოტა ოსტატის, პოლ დე ლამერის მე-18 საუკუნეში შექმნილი ორიგინალის მიხედვით. თასი ატარებს ინგლისის რაგბის სკოლის მოსწავლის, უილიამ ვებ ელისის სახელს. თქმულების თანახმად, ელისმა, ფეხბურთის თამაშისას, ბურთი ხელში აიღო. სწორედ აქედან დაწყებულა რაგბი.



უმაღლესი ხარისხის მოოქროვილი ვერცხლი, სიმაღლე 38 სმ. ავსტრალიელებმა მას მოფერებით "ბილი" უწოდეს. სწორედ ავსტრალია ერთადერთი გუნდია, რომელმაც ორჯერ შეძლო "ბილის" მოპოვება.

Sources: IRB, ARU, national unions

© GRAPHIC NEWS

# რატომ არის სევდიანი ქართული რეკლამა

თამარ ბაბუაძე

*ყველას, ვისაც აინტერესებს მასების ფსიქოლოგია და მასების ფსიქოლოგიის გათვალისწინებით შექმნილი პროდუქტი – რეკლამა. ასევე მათ, ვინც ტელევიზორთან ზის და ხანდახან მაინც ფიქრობს, ღმერთო ჩემო, ეს სარეკლამო კლიპი ხომ იმ გადაცემაზე უფრო სახალისო, ემოციური და დადებითია, რომელსაც ორიოდე წუთის წინ ვუყურებდიო.*

ამერიკის სარეკლამო ინდუსტრიაში მილიონი ადამიანია დაკავებული. საქართველოდან დაახლოებით ამდენივეა წასული.

კრეატიული დირექტორის საშუალო წლიური ხელფასი საშუალო სიდიდის ამერიკულ სარეკლამო სააგენტოში 92 ათასი დოლარია.

ჩვენთან ჯერაც გვთხოვენ, ვაცალოთ, ზოგადად ყველა სფეროში...

2004 წელს კომპანია "ტოიოტა" თავისი ახალი მოდელის სარეკლამოდ 100 მილიონ დოლარს გამოჰყოფს.

ქართველი დამკვეთების ნაწილი კი დღემდე კარგად ვერ აცნობიერებს რეკლამის ადგილს ცივილურ საზოგადოებაში, არ იცავს თანამედროვე ურთიერთობების ეტიკეტს და იაფ რეკლამას დასდევს...

**ამერიკული ბაზრის პრობლემები და მიზნები:** რეკლამის აგრესიულობა, მძაფრი კონკურენცია, ბაზრის სკრუპულოზური კვლევა და კვლევის ახალი მეთოდები, კრეატიული იდეების დახვეწა.

**ქართული ბაზრის პრობლემები:** ახალ საქმიან ურთიერთობებს მიუჩვეველი დამკვეთები, მოპარული იდეები, თურქული ზეთების გასაღების დონეზე გაყინული სამამულო წარმოების ტელერეკლამები (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა), უშედეგო კონკურენცია, კრიზისული ფინანსური გარემო...

საბოლოოდ კი, ამ კონტრასტების საფუძველზე გაჩენილი კითხვა: რა ბედი ელის ქართულ რეკლამას?!...

ჩვენი ახალი რუბრიკით სწორედ ამ რიტორიკული სევდის მიზეზების დადგენას შევეცდებით. ქართული რეკლამა და მისი პრობლემები, უცხოური სარეკლამო ტრადიციები, სიახლეები, რეკლამა და პოპკულტურა, რეკლამა და არჩევნები, კონტრასტი ქართულ და სხვა პოსტ-საბჭოურ სარეკლამო ბაზრებს შორის... ამ საკითხებზე **"24 საათთან"** ერთად ქართული სარეკლამო სააგენტო **"მაგი სტილი"** იფიქრებს და ნააზრევს რეგულარული რუბრიკის სახით მოგაწოდებთ. ხშირად საკუთარ კომპეტენტურ აზრს მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილი რეკლამის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და სოციოლოგებიც გაგვაცნობენ. თუ ამ დისკუსიებში ჭეშმარიტება არ დაიბადება, რეალობის შეფასება ხომ მაინც მოხდება.

დასაწყისისთვის კი თვალი გადავავლოთ წარსულს და "მაგი სტილის" მაგალითზე გავიხსენოთ, როგორ იწერებოდა ქართული რეკლამის ისტორია.

## "ეს მეორე არხია, ეთერშია სარეკლამო ბლოკი"

ათიოდე წლის წინ რეკლამა ქართულ ცნობიერებაში ამ ფრაზით მკვიდრდებოდა. იწყებოდა რთული პროცესი, რომელსაც საბჭოურ ფასეულობებზე აღზრდილი თაობა უნდა დაერწმუნებინა, რომ სარეკლამო და სამშენებლო ბლოკები ერთმანეთისგან განსხვავდება. სერგი გვარჯალაძე ამას პირდაპირი გაგებით აკეთებდა და ეთერში მოტანილი აგურის ფილით ახალ სოციალურ ფასეულობას მაყურებელს იუმორით აჩვევდა. საზოგადოებაც თანდათან აცნობიერებდა, რომ ამიერიდან რეკლამა მათი ცხოვრების ისეთივე ქრონიკული ნაწილი გახდება, როგორც ტელესერიალი, საინფორმაციო პროგრამა, გაზეთი, ანდა ფეხბურთია (ანუ ფენომენი, რომელიც იწყება და არასდროს მთავრდება; რომელიც სახეცვლილი ფორმით მუდამ ჩვენთან არის).

"ეთერშია სარეკლამო ბლოკი" – ამ ფრაზის მიღმა კი, იმავდროულად, იბადებოდა სრულიად არასაბჭოური და სრულიად ახლებური ორგანიზაციების კლასიც – სარეკლამო სააგენტოები. ამგვარი რამ დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს მანამდე არასდროს ენახა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ თავიდან ამ სააგენტოებს არაპროფესიონალები ქმნიდნენ – დიად საბჭოეთში ხომ რეკლამის სპეციალისტებს არ ზრდიდნენ.

არაპროფესიონალებმა დაიწყეს ჩვენი პარტნიორი ფირმის, "მაგი სტილის" გამართვაც.

ფირმა ე.წ. ბაზარზე 1995 წელს გამოჩნდა. "მაგი სტილი", რომელსაც დამფუძნებლების სახელების საწყისი ასოებისგან შემდგარი სახელი ერქვა, ერთმა ეკონომისტმა, ერთმა მანქანათმშენებელმა და ერთმაც, უბრალოდ, მშენებელმა დააარსა.

ზემოთ ცნებას - "ქართულ ბაზარს" განსაზღვრება "ე.წ." მივუსადაგეთ და არც თუ უსაფუძვლოდ. "მაგი სტილის" დირექტორი **ირაკლი ჩიქოვანი** იხსენებს: "რეკლამა სამოქალაქო ომგადატანილ საქართველოში უბრალო წარმოებას ნიშნავდა. მაშინ არავის სჭირდებოდა სარეკლამო სააგენტოს სხვა სფეროები – მედიასთან ურთიერთობა, კრეატიული ჯგუფის შექმნა, ფიქრი ორიგინალურ იდეებზე, პიარი, მარკეტინგი, გარე და შიდა რეკლამის კლასიფიცირება. პირველი წელი მხოლოდ დამზადება იყო და ჩვენც ამით დავიწყეთ".

ბაზარზე, რომელიც მხოლოდ წარმოებით შემოიფარგლებოდა, და მეტიც – ხშირ შემთხვევაში უხარისხო წარმოებით, თავის დამკვიდრება "მაგი სტილისთვის", ასე თუ ისე, იოლი აღმოჩნდა. მეტიც, ის სხვათაგან თავიდანვე გამოირჩეოდა – ისე, როგორც ახლა, მაშინაც, ფირმა რეკლამის დასამზადებლად იყენებდა შედარებით ძვირ და ხარისხიან, ძირითადად, ამერიკულ, გერმანულ და ავსტრიულ მასალას მაშინ, როცა ნახევარი თბილისი თურქეთში დარბოდა, ნახევარიც აქ რჩებოდა და თურქეთიდან პირველად ასე მასობრივად ჩამოტანილ უცხოურ საქონელს უსინჯავდა გემოს.

დაახლოებით წელიწადნახევარში სააგენტო განვითარდა. რეკლამის ყველაზე მარტივი საფეხურიდან – დამზადებიდან ის რამდენიმე განხრიან ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ასე დაინერგა "მაგი სტილში" მარკეტინგი, პიარი, შეიქმნა იდეებზე მომუშავე შემოქმედთა ჯგუფი, გამოიკვეთა სააგენტოს პრიორიტეტული მხარე – გარე რეკლამა, ბეჭდვა, დიზაინი, წარმოება. ამ რვა წლის განმავლობაში ფირმამ თანდათან მოიპოვა ყველა ის თვისება, რაც წარმატებულ სარეკლამო სააგენტოს უნდა ჰქონდეს, 1999 წელს გაწევრიანდა რეკლამის მსოფლიო ასოციაციაში, 2002 წელს კი საერთაშორისო პარტნიორიც შეიძინა და ამიერკავკასიაში "ოგილვის" წარმომადგენელი გახდა.

## რეკლამა გემოვნების ინტოქსიკაციას წინააღმდეგ

"ოგილვი" მსოფლიოში სიდიდით მეოთხე სააგენტოა, რომელიც გრანდიოზულ ჯგუფში WPP-შია გაერთიანებული. მის დამკვეთებს შორის არიან "ნესტლე", "ფილიპ მორისი", "მოტოროლა" და "ფორდ მოტორი". ასე რომ, "ოგილვის" წარმომადგენლობა "მაგი სტილისთვის" სერიოზულ საერთაშორისო ნდობას და მაღალ რეპუტაციას ნიშნავს.



*ირაკლი ჩიქოვანი, "მაგი სტილის" დირექტორი*

უნდა ითქვას, რომ ქართული მხარე ამერიკელების ნდობას ამართლებს. შარშანდელ "სიფაზე" "მაგის" წარმომადგენლის, ირინა კაჭარავას დიზაინით შეფუთულმა სიგარეტმა "ჯოიმ" გრან-პრი აიღო. შემდეგ იყო კიევის სარეკლამო ფესტივალი, სადაც "მაგის" ჟურნალმა პროფესიონალებისთვის "რეკლამა და დიზაინი" თავის ნომინაციაში პირველი ადგილი მოიპოვა.

თუმცა, ირაკლი ჩიქოვანი აცხადებს, რომ მისთვის რიგ შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვანია სოლიდური ფირმიდან შეკვეთის მიღება და მისი წარმატებით განხორციელება, ვიდრე რომელიმე პრესტიჟულ ნომინაციაში გამარჯვება. "ერთხელ შეკვეთა "ფინ ტურისგან" – მობილური ტელეფონების უზარმაზარი საკომუნიკაციო კომპანიისგან მივიღეთ. ჩვენი რეკლამა მოიწონეს და სოლიდურ გამოცემაში Business World-ში, როგორც თავისი საიმიჯო გვერდი, დაბეჭდეს. ასეთი შემთხვევები, ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი ადგილის მოპოვება ფესტივალზე".

სააგენტო უცხოურ, კერძოდ კი, რუსულ კომპანიებთან წარმატებულად თანამშრომლობს. რუსი დამკვეთები მას, ძირითადად, ეტიკეტებისა და პლაკატების გამო აკითხავენ. მაგალითად, მოსკოვის პრესტიჟულ სუპერ-მარკეტებში იყიდება ქართული ელიტარული ღვინო "სულიკო", რომლის ეტიკეტის დიზაინიც "მაგი სტილს" ეკუთვნის.

რაც შეეხება ქართულ რეალობას, "მაგი სტილი" ის სააგენტოა, რომელსაც გემოვნებით დამზადებული რეკლამების უმრავლესობას უნდა ვუმადლოდეთ. ვუმადლოდეთ, რადგან თუ ქართული რეალობა რეკლამის გარეშე ველარ არსებობს, ხომ ჯობია ის კარგი იყოს? მით უფრო, რომ მდარე ხარისხის რეკლამის ყოველდღიური დოზებით მიღება გამაღიზიანებელი ხდება და გემოვნების თუ განწყობის ინტოქსიკაციას იწვევს.

### "მაგი სტილის" გამორჩეული შემოქმედების ძალზე მოკლე ჩამონათვალი

ჭითის" სარეკლამო კამპანია, რომლის დროსაც მთელი ქალაქი ბჭობდა, თუ რაში იყო საქმე;

მაღაზია "გარდერობი", რომელიც ერთ ხანს წითელი ლენტითა და ბაფთებით საჩუქარივით იყო შეფუთული;

"ალდაგის" რეკლამა ზუსტად შერჩეული ფერებით კომპანიის დახვეწილობასა და აკადემიურობას რომ გადმოცემს;

"ზელუქსის" ძროხა იუმორში გადაწყვეტილი ასევე ძალზე ეფექტური რეკლამა;

საქართველოს ბანკის რეკლამა და საგანგებოდ ამ პროექტისთვის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმიდან "გამოპარული" ლომი და ძველი ქართული ქისა, დევიზით: ელექტრონული "ქისები" საქართველოს ბანკისგან.

არ უნდა გამოგვრჩეს არც ტელე-სტუდიები, რომელსაც ხანდახან დღეში რამდენჯერმე ძალაუნებურად ვუყურებთ და არც კი ვიცით, რომ უცხოელ კონსულტანტებთან ერთად ამ სტუდიებზე "მაგი" მუშაობდა: "რუსთავი-2", ამავე კომპანიის ახალი, უნივერსალური სტუდია ეკა ხოფერიას, დავით გოგიჩაიშვილის გადაცემებისთვისა და ლოტოს გათამაშებისთვის, "იმედი", "მზე"...

## წარმატებული სააგენტოს რეცეპტი

ასე რომ, ფაქტია, ქართული რეალობის გათვალისწინებით, "მაგი სტილი" ლიდერია, რომელსაც გაზრდის და დახვეწის ამბიცია არ ასვენებს. ეს ფაქტი კი ბუნებრივად წარმოშობს ერთ ძალიან მარტივ კითხვას: რა არის აუცილებელი იმისთვის დღეს, რომ სააგენტო იქცეს ლიდერად და აიმაღლოს რეპუტაცია წლიდან წლამდე?

ათასი სხვა ინგრედიენტის გარდა, ამ რეცეპტის ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურაა. ამერიკული სახელმძღვანელოების მიხედვით, ამ სტრუქტურის ყველაზე სტანდარტული სახე ასეთია: ბაზრის კვლევის განყოფილება, მედიის დაგეგმარების განყოფილება (საგაზეთო ფართობის, საეთერო დროის ყიდვა, გარე რეკლამა, საფოსტო, სატელეფონო რეკლამა...), კრეატიული ჯგუფი და ფინანსების განყოფილება.

ცხადია, მსგავსი დაყოფა "მაგი სტილშიც" არსებობს. თუმცა, საქართველოში სააგენტოს კარგად გასამართად კიდევ ერთი მნიშვნე- [illegible] კონტაქტი უნდა გქონდეს უცხოეთთან", – აცხადებს ირაკლი ჩიქოვანი და ამ ხარვეზის გამოსწორებას თვითონაც მუდამ ცდილობს ფირმის თანამშრომლების საზღვარგარეთ გამართულ ტრენინგებზე გაშვებით. შესაბამისად, "მაგი სტილის" კვალიფიციური პერსონალი შემდეგ დამოუკიდებლად ახერხებს რომელიმე კონკრეტულ შეკვეთაზე მუშაობას, თანაც ღიმილით, თვითრწმენით და ეფექტური შედეგით.

არის კიდევ ერთი უმარტივესი დეტალი, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანი საგანგებოდ გამოყოფს – ეს იმ აზარტის სრულად შეგრძნებაა, რაც რეკლამის სფეროს ახასიათებს. "რეკლამა არის ბიზნესი, რომელიც ყველაზე მეტად შეიცავს შემოქმედების დოზებს. რეკლამა აზარტია, თამაშია – ფაქტობრივად, შენი პროდუქტით სხვას ეხმარები პროდუქტის გაყიდვაში. და თუ შენ ამ შემოქმედებითი პროცესით არ იწვი, ცხადია, შედეგი ცუდი გამოგივა", - განმარტავს "მაგი სტილის" დირექტორი, რომლისთვისაც კარგი რეკლამა, მართალია, ხელოვნება არ არის (პრინციპით: არ შეიძლება დადგე და აღტაცებით უცქირო სარეკლამო ბილბორდს ისე, როგორც ფერწერულ ტილოს), მაგრამ არის პოპ-კულტურა – გემოვნება კი აქაც საჭიროა.

## რეცეპტი-2: საერთო გარემო

მაგრამ კიდევ, რა? როგორ დაბოლოვდეს თავში დასმული რიტორიკული კითხვა – რა ეშველება ქართულ რეკლამას – კონკრეტული პასუხით? ამისთვის, ალბათ, ჯერ ქართული ბაზრის ხარვეზების გამოყოფა იქნება მართებული. თუ "მაგის" დამფუძნებლის ირაკლი ჩიქოვანის კომენტარს ამ საკითხის შესახებ ცალკეულ პუნქტებად ჩამოვაყალიბებთ, მივიღებთ კიდეც რეალურ სურათს, სათაურით, "ქართული სარეკლამო ბაზრის პრობლემები":

"საქართველოში რეკლამა მუშაობს, მაგრამ არ არსებობს ისეთი მძაფრი კონკურენცია მეწარმეებს შორის, როგორიც დასავლეთშია. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოში ბიზნესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ იმართება. იქ კი, დასავლეთში, ტვინი გააფთრებით მუშაობს, კონკურენტის იდეების დამარცხებას ცდილობს და შესაბამისად, კარგი რეკლამაც კეთდება".

"თუ ამ ლოგიკას გავყვებით, საქართველოში ის სფერო, რომელიც ცდილობს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განვითარდეს, შედარებით მაღალი დონის რეკლამებით გამოირჩევა. მაგალითად, საბანკო სფერო, სადაზღვევო ბიზნესი".

"არ არსებობს კარგი რეკლამა მაღალი დონის მარკეტინგის გარეშე. მარკეტინგი არის რეკლამის ფუნდამენტი, რასაც საქართველოში მეწარმეების დიდი ნაწილი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს".

"რეკლამა – ეს არის წრე, რომელიც მთელ სოციალურ სისტემას მოიცავს. იწყება უმაღლესი განათლებით, ეხება ბიზნესს, სახელმწიფოს უსაფრთხოებას, სტაბილურობას... აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, რა სიტუაცია გვაქვს საქართველოში"...

"ის, რომ უცხოურ კომპანიებთან ურთიერთობა გვიადვილდება, ისევ ქართველი დამკვეთების პრობლემებზე მიუთითებს. მათ იციან, რა უნდათ და ჩვენც კონკრეტულ ამოცანას გვიყენებენ, რაც მთავარია, გვენდობიან კიდეც. ისინი წინა პლანზე ხარისხს აყენებენ.

საქართველოში კი, პირიქით, მეწარმეები ხშირად ვერ აცნობიერებენ მარკეტინგული კვლევის აუცილებლობას, არ დაეძებენ ხარისხს, ოღონდ კი რეკლამა იაფი დაუჯდეთ. თანაც, ხშირად ერევიან სააგენტოს საქმეში, ჰგონიათ, რომ რეკლამა შესანიშნავად ესმით. არადა, ხშირ შემთხვევაში მათ პრეტენზიას არც ცოდნა და არც გამოცდილება არ უმაგრებს ზურგს".

"თუმცა, შანსი ქართულ ბაზარს, რა თქმა უნდა, აქვს. ამას საკუთარი გამოცდილებიდანვე ვგრძნობთ. ჩვენ ხომ გვყავს ისეთი დამკვეთები, რომლებთან მუშაობაც ადრე საშინელება იყო, მაგრამ ეტაპობრივად ისინიც შეეჩვივნენ თამაშის ახალ წესებს.

ასე რომ, საზოგადოება ვითარდება და რაც უფრო მეტად განვითარდება ქართული სახელმწიფო, მით უფრო ამაღლდება სარეკლამო ბიზნესის დონეც".

ასე რომ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მსჯელობის გაგრძელება ქართული რეკლამის შესახებ, ნამდვილად, ღირს.

გემშვიდობებით, მომავალ, სავარაუდოდ, საარჩევნო ფიქრებამდე რეკლამაზე...









- *სიგარეტ "ჯოის" კოლოფის დიზაინმა "სიფაზე" გრან-პრი აიღო.*
- *"ბაზუაზერა" - "მაგი სტილის" ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შეკვეთა სოლიდური უცხოური ფირმისგან.*
- *პროფესიონალთათვის განკუთვნილი ჟურნალის "რეკლამა და დიზაინის" ლოგოს ნაწილი.*
- *ბაქო-ხვანჭკარა-ჯეიჰანი...*



## ორშაბათი 13.10

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი „მაშველები“ **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი“ **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „ჯაშუში“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი „ეზოში გამავალი ფანჯარა“. მთ. რ-ში: კრისტოფერ რივი, დერილ ხანა.

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი“ **11.35** სატ. კინოდარბაზი - „სნაიპერი“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ოქროს მართვე **14.35** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **15.15** მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით“ **16.40** დოკ. სერიალი „გაცოცხლებული ქვები“ **17.05** რამპა **17.10** 50/50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი“ **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.35** „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „სამხედრო ხელობა“ .

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჯეიმსი და გიგანტური ფორთოხალი“ მულტფილმი **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო“ „ნაკლის გარეშე“ მთ.რ-ში რობერტ დე ნირო, ფილიპ სეიმური. **01.40** „ღამურა“ „ქალთა ბრძოლა“. მთ.რ-ში მიშელ როდრიგესი, ჯემი ტირელი. **03.00** პაუზის გარეშე .

### მზე
**09.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები“ **19.00** სერიალი „მარია ემილია“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **20.45** მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი. მისმია კლეოპატრა“ **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა“ **23.45** მხ. ფილმი „ამელი მონმარტრიდან“.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „უკანასკნელი გაქცევა“ **21.00** ვმესტე **21.30** მოგზაურობა სასტიკვეთში **22.10** მხ. ფილმი „მსაჯული დრედი“.

### კავკასია
**12.00** ინდური მხ. ფილმი „სიყვარული“ **15.00** მხ. ფილმი „ბინა“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „შფოთის თავები“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ნიქსონი“.

### იბერია
**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი „გემოვნების საქმე“ **10.20** მხ.ფ. „სუ-სიუ“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.„ლურჯი“.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.15, 17.50, 20.15** მუსიკა **10.30** რუს. სერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე“ 1-ლი ს. **11.20** მულტფილმი „ქრისტეშობის ანგელოზი“ **12.15** დოკ. სერიალი „ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები“ **13.40** „ბელისიმო“ - განუმეორებელი ლუჩიანო **14.15** „ჩემი ქვეყანა“ -გერმანული საოჯისტომო **14.50** „მსოფლიო ფეხბურთი“ **15.20** მხ. ფილმი „მდედრობითი სქესი მრავლობითი რიცხვი“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ 36-ე ს. **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ მე-7ს. **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ღამის ექიმები“ **20.00** „ოსტატი“ **21.15** სერიალი „მოჯადოება“ 1-ლი ს. **22.00** „ღამის მატარებელი“. **00.30** მხ.ფილმი „დიდი იმედები“.

### იმედი
**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** დრობება **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“ **15.15** მხ. ფილმი „გამტაცებელთა კლუბი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.25** რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ 1-ლი ს. **20.15** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **20.45** დოკ. ფილმი „კვალი ნათელი“ **23.15** მხ. ფილმი „ორკა მკვლელი ვეშაპი“.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.30** სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი-რეპტილია“ **10.55, 14.10** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია „ბედნიერი ბილეთი“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია „ბედნიერი ბილეთი“ (გაგრძ.) **14.25** ისტორიული ფილმი „დაკები“ **16.20** მულტფილმი **17.25** თრილერი „შავი არწივი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** მხატვრული ფილმი „დაცემის სიჩქარე“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** მელოდრამა „ცეკვები ლუნაზის დროს“ **02.30** დოკუმენტური ფილმი **03.40** თრილერი „იდუმალების საფარქვეშ“ **05.50** მუსიკა.

### VII არხი
**09.15** „აჩიკუდა“ **09.35** საუდიო-ვიდეო-ტელე **10.20** მელოდია **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** „ტალავერი“ - განმეორებით **12.05** ტელესერიალი „გრაფინია დე მონსორო“ მე-9ს. **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია **13.20** მობილურები **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **21.00** „ნა-ნა-ნა“ - კარაოკე **22.00** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.50** „კინოკლუბი“ - „მაიმუნების პლანეტა“ სათავგადასავლო. რეჟ: ტიმ ბარტონი. როლებში: ტიმ როთი, ჰელენა ბონემ კარტერი. **00.20** მელოდია **00.30** ტელესერიალი „ვარსკვლავური კარიბჭე“ მე-17 ს. **01.20** ტექნიკა - მობილურები.

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10** „Человек и закон“ **10.20 Боевик „Патруль времени“** **12.10** Док.фильм „Принцесса Дагмар - русская императрица“ **12.40** „Следствие ведет Колобков“ **13.20** „Город женщин“ **14.00 Худ.фильм „Стоянка поезда 2 минуты“** **15.30** Док. детектив „Заказ на самоубийство“. **16.20, 02.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“** **18.00** „Большая стирка“ **19.30** „Шутка за шуткой“ **20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“** **21.00** „Жди меня“ **22.00, 00.30** „Время“ **22.30** „Тот самый Захаров“. Трансляция юбилейного вечера. **00.50** „Искатели“. „Русская мумия“ **01.20** „Человеческие инстинкты“. Фильм 3 **02.40 Триллер „Не для моей дочери“.**

### РТР
**06.00** „Доброе утро, Россия!“ **09.45 Комедия „Вооружен и опасен“** **11.35** В „Городке“ **11.50, 14.50, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50** „Вести недели“ **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Леди Бомж“** **18.10 Сериал „Бандитский Петербург“** **19.10 Мелодрама „Ундина“** **20.00 Сериал „Комиссар Рекс“** **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **21.55 Сериал „Каменская 3“** **23.00 Сериал „Баязет“** **00.00** „Вести+“ **00.20** „Мой серебряный шар. Жена Сталина“ **01.30** „Народный артист“ **01.40** „Синемания“ **02.15** „Дорожный патруль“ **02.30 Боевик „Бонни и Клайд“**

### НТВ
**07.00** „Утро на НТВ“ **09.50** „Растительная жизнь“. Л.Новоженов **10.25** „Без рецепта“. Доктор Бранд **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Намедни“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15** „Сегодня“ **13.35 Худ.фильм „Подсудимый“** **15.35** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Безответная любовь“ **18.30 Сериал „Кодекс чести“, 6 с.** **19.35** „Внимание! Розыск!“ „Побег в средиземье“ **20.35, 01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“** **21.50 Сериал „Черный ворон“, 20 с.** **23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **23.50 Сериал „Клиент всегда мертв“, 4 с.**

## სამშაბათი 14.10

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ბუნება **18.45** პრეკროსტროკი **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი“ **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ. ფილმი „ჩიკაგო“. მთ. რ-ში: კეტრინ ზეტა-ჯონსი, რიჩარდ გირი.

### პირველი არხი
**09.00** „სვეტიცხოვლობა“ (ტრანსლაცია მცხეთიდან) **13.30** ანსამბლი „საგალობელი“ **14.30** მოკლ. მხ. ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ **15.00, 20.00** მოამბე **15.15** მხ. ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** საქართველო და გარე სამყარო **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.35** „სათავეებთან“ **22.15** მოკლ. მხ. ფილმი „ქვევრი“ **22.50** ტალანტები და თაყვანისმცემლები **23.45** მოამბე **00.00** მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები“ .

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჩვილი“ მთ.რ-ში ბრიუს უილისი, სპენსერ ბრესლინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** „ბრავო“ „ხელგაშლილი ცხოვრება“ მთ.რ-ში კეტრინ რობერტსონი, ჯონათან შეკი. **01.40** „ღამურა“ „ეჭვის ქვეშ“ მთ.რ-ში ჯინ ჰეკმანი, მონიკა ბელუჩი. **03.00** პაუზის გარეშე .

### მზე
**09.00** „ღამის მზერა“ (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები“ **19.00** სერიალი „მარია ემილია“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **20.45** მხ. ფილმი „ვამპირები“ **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა“ **23.45** მხ. ფილმი „ქალაქის პოლიცია“.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „საბოტაჟი“ **21.00** ისტორიანი **21.30** დოკ. ფილმი „ელისაბედ დედოფალი-ოქროს იუბილე“ **22.10** მხ. ფილმი „ტუჩები განვადებით“ .

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „ნიქსონი“ **15.00** მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „შფოთის თავები 2“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ბორნის პიროვნების საიდუმლო“ .

### იბერია
**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „ლურჯი“ **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.„თეთრი“ **00.55** მუსიკა.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება“ 1-ლი ს. **11.30** მხ. ფილმი „დიდი იმედები“ **13.15** დოკ. ფილმი „დევიდ გრიფიტ-კინოს მამა“ 1-ლი ნ. **14.00** მულტფილმი „უმცროსი დრაკულა“ მე-7ს. **14.50** „ოსტატი“ **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **15.35** მხ. სერიალი „ღამის ექიმები“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ღამის ექიმები“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „მოჯადოება“ **22.20** „ტელემეტრი“ **22.45** მოკლ. მხ. ფილმები „ავტოსამრეცხაო“, „მტაცებელი ფრინველი“, „ბუშტი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „ასეთია ცხოვრება“.

### იმედი
**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.05** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის“ **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“ **15.15** მხ. ფილმი „ბადრაგი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **20.15** ლარის მახე **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „მახეში გაბმული“.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.30** სათავგადასავლო ფილმი „პაერის მეფე“ **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „დაცემის სიჩქარე“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა „მინიერი სურვილები“ **15.45** მუსიკა **16.20** მულტსერიალი „ტომი და ჯერი“ **17.30** კომედია „თქვენი არჩევანი დადგა“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.15** მხატვრული ფილმი „ადამიანები შავებში-1“ **21.50** „გალერეა“ **23.00** Пресс-папье **23.05** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** კომედია „წმინდანი“ **02.50, 05.50** მუსიკა **03.40** ისტორიული ფილმი „ალექსანდრე დიდი“.

### VII არხი
**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** მელოდია **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი „გრაფინია დე მონსორო“ მე-10 ს. **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **18.20** აუდიო - ვიდეო- ტელე **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** მელოდია **21.05** „ავტოტრეკინგი“ **22.05** მობილურები **22.50** „კინოკლუბი“ - „მთიელი“. სათავგადასავლო. რეჟ: რასელ მალკაჰი. როლებში: ქრისტოფერ ლამბერტი, შონ კონერი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი „ვარსკვლავური კარიბჭე“ მე-18ს. **01.30** კომპიუტერული ტექნიკა.

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“** **10.20 Худ.фильм „Эпоха вероломства“** **12.00** Док.фильм „Охотники за уликами“ **12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.20** „Город женщин“ **14.00 Детектив „Бухта смерти“** **16.20, 01.50** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“** **18.00** „Большая стирка“ **19.30** „Кумиры“. Т.Синявская **20.50 Худ.фильм „Убойная сила: Последний причал“** **22.00, 00.30** „Время“ **22.30 Худ.фильм „Спецназ“** **23.40** Док.фильм „Маркус Вольф. Главный разведчик восточного блока“ **00.50** „На футболе“ **01.20** „Сканер“ **02.10 Триллер „Вторжение похитителей тел“** **04.20 Худ.фильм „Нюрнбергский процесс“.**

### РТР
**06.00** „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Каменская 3“** **10.45** „Не скуЧАЙ!“ с М.Евдокимовым **11.50, 14.50, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50 Сериал „Баязет“** **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Леди Бомж“** **18.10 Сериал „Бандитский Петербург“** **19.10 Мелодрама „Ундина“** **20.00 Сериал „Комиссар Рекс“** **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **23.00 Сериал „Баязет“** **00.00** „Вести+“ **00.20** „Покушение на покойника“ **01.30** „Народный артист“ **01.40 Триллер „Сердце Ангела“** **04.00** „Дорожный патруль“ **04.15 Сериал „Ангелы Чарли“** **05.10 Сериал „Волны перемен“.**

### НТВ
**07.00** „Утро на НТВ“ **09.50 Сериал „Черный ворон“** **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Их нравы“ с Дм. Захаровым **12.15** Ток-шоу „Страна советов“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** „Сегодня“ **13.30 Комедия „Второе я“** **15.35** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Как сказать начальнику - нет!“ **18.30 Сериал „Кодекс чести“, 7 с.** **19.35** Территория выживания **20.35, 01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“** **21.40 Сериал „Черный ворон“, 21 с.** **23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **23.50 Сериал „Клиент всегда мертв“, 5 с.** **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Их нравы“ с Дм. Захаровым **12.15** Ток-шоу „Страна советов“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** „Сегодня“ **13.35 Комедия „В бреду“** **15.35** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Седина в бороду - бес в ребро“ **18.30 Сериал „Кодекс чести“, 2 с.** **19.35** „Территория выживания“ **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“** **21.45 Сериал „Черный ворон“** **23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **23.50 Сериал „Клиент всегда мертв“, 2 с.** **01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“** **02.35** „Гордон“ **03.35** „Кома: это правда“.

## ოთხშაბათი 15.10

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები“ **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი“ **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ. ფილმი „მალხოლანდ დრაივი“. მთ. რ-ში: ნაომი ვოდსი, ლარა ჰელინგი.

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „წითელქუდას თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები“ **11.45** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი „გაცოცხლებული ქვები“ **15.15** მხ. ფილმი „ბრიყვების ოჯახი“ **16.50** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი“ **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.35** ავიაშოუ **21.45** „მათი შვილები“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „დაუცველი“.

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „დადლი სამართლიანი“ მთ. რ-ში ბრენდონ ფრეიზერი, სარა ჯესიკა პარკერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „მელვინეთის წესები“. მთ.რ-ში მაიკლ კეინი, ტობი მაგუაირი. **02.00** „ღამურა“ „გზააბნეული სულები“ მთ. რ-ში ვაინონა რაიდერი, ბენ ჩაპლინი. **03.00** პაუზის გარეშე.

### მზე
**09.00** „ღამის მზერა“ (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები“ **19.00** სერიალი „მარია ემილია“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **20.45** მხ. ფილმი „ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი“ **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა“ **23.45** მხ. ფილმი „საბოლოო ანალიზი“.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „ჰომერი და ედი“ **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი „ნუ გაალვიძებ მძინარე პოლიციელს“ .

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „ბორნის პიროვნების საიდუმლო“ **15.00** მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „სტიუარტ ლითლი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ჯ. ფ. კ.“

### იბერია
**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „თეთრი“ **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „წითელი“.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება“ **11.30** მხ. ფილმი „ასეთია ცხოვრება“ **13.15** „ცხელი ცხრიანი“ **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **15.35** სერიალი „ღამის ექიმები“ **16.30** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ღამის ექიმები“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.10** სერიალი „მოჯადოება“ **22.10** კონცერტი. ფრენკ სინატრა **23.30** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **00.30** მხ. ფილმი „ღმერთების დალუპვა“.

### იმედი
**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **10.30** მერიდიანი **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“ **15.15** მხ. ფილმი „თავისუფალი ვარდნა“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.30** მულამები **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **20.15** არტ-ბულვარი **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** ფანების კინოკლუბი „სიყვარულის მახე“.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.30** სათავგადასავლო ფილმი „აგენტი მეტსახელად სპოტი“ **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „ადამიანები შავებში-1“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა „ამერიკის პრეზიდენტი“ **16.20** მულტსერიალი **17.25** „ქართული კინო“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.30** მხატვრული ფილმი „ადამიანები შავებში-2“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** თრილერი „კურკუტი კაკალი-3“ **03.40** ისტორიული ფილმი „ზულუსები“ **05.50** მუსიკა.

### VII არხი
**09.10** მელოდია **09.20** „აჩიკუდა“ **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.30** მობილურები **11.15** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **12.15** ტელესერიალი „გრაფინია დე მონსორო“ მე-11ს. **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** მელოდია **21.00** „ნა-ნა-ნა“ - კარაოკე **22.00** მობილურები **22.50** „კინოკლუბი“ - „ერთი შანსი ორისათვის“. ტრილერი. რეჟ: პატრის ლეკონტი. როლებში: ჟან-პოლ ბელმონდო, ალენ დელონი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი „ვარსკვლავური კარიბჭე“ მე-19 ს. **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“** **10.20 Худ.фильм „Спецназ“** **11.30 Худ.фильм „Крестоносцы“, 1 с.** **12.40** Дисней-клуб: „Чудеса на виражах“ **13.20** „Город женщин“ **14.10 Детектив „Потерпевшие претензий не имеют“** **16.20, 01.50** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“** **18.00** „Большая стирка“ **19.30** „Смехопанорама“ **20.50 Худ.фильм „Убойная сила: Последний причал“** **22.00, 00.30** „Время“ **22.30 Худ.фильм „Спецназ“** **23.40** „Тайны века“. „Страсти над вечным покоем“ **00.50** „Короли смеха“. О.Попов **01.20** „Гении и злодеи“ **02.10 Боевик „Роллербол“** **04.30 Худ.фильм „Моби Дик“.**

### РТР
